ნუნუ აჩუაშვილი
ია გოდერძიშვილი

ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები

საერთაშორისო სტანდარტით

თბილისი
2015

უაკ 336.1

წიგნი მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის საბაზისო დანაყოფებს. მასში ასახულია ბუღალტრული აღრიცხვის თეორიული საკითხები და პრაქტიკული სავარჯიშოები, საწარმოს სამეურნეო საქმიანობის ბუღალტრული ასახვა და სრული სააღრიცხვო ციკლის განხორციელების ეტაპები.

ავტორები დეტალურად განიხილავენ საწარმოს სააღრიცხვო პერიოდის ბუღალტრულ ასახვას მისი განხორციელების დოკუმენტებს და მათი წარმოების წესებს.

წინამდებარე სახელმძღვანელო გამიზნულია ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის. ეკონომიკური პროფილის უმაღლესი სასწავლებლის ლექტორებისათვის და კოლეჯის მასწავლებლებისათვის, იგი ასევე სასარგებლო იქნება ბუღალტრული აღრიცხვის, სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის ანალიზისა და აუდიტის სფეროში დასაქმებული სპეციალისტებისათვის.

სამეცნიერო ტექნიკური რედაქტორი ტ. ქოქოლაძე

რეცენზენტები: თ. კილაძე
გ. ამყოლაძე

ISBN 978-9941-0-8366-2

წინასიტყვაობა

ჩვენი ქვეყნის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ წინა პლანზე გადმოსწია საბაზრო ეკონომიკის ფუნდამენტალური პრინციპები. მეწარმეების მიერ მათი წარმატებით განხორციელება შესაძლებელია ზუსტი და დროული აღრიცხვის წარმოებით, რომელიც შეიძლება განხორციელდეს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საშუალებით. აღნიშნული ნაშრომის მიზანია დახმარება გაუწიოს ბუღალტრული აღრიცხვის საკითხების შესწავლით დაინტერესებულ პირებს და ეკონომიკის პროფილის სტუდენტებს.

ავტორების თვალსაზრისთ ნაშრომი წარმოადგენს საწარმოს სააღრიცხვო ციკლის წარმატებით განხორციელების დამხმარე საშუალებას. იგი არ არის დაზღვეული ნაკლოვანებებისგან. მადლიერების გრძნობით მიიღება ყველა შენიშვნა და წინადადება, რომელსაც გავითვალისწინებთ შემდგომ საქმიანობაში.

გმადლობთ ყველას გაწეული დახმარებისათვის.

შინაარსი

I თავი – საწარმო, მისი ფინანსური მდგომარეობის შეფასება და აღრიცხვა. ბასსი.

1.1. საწარმოთა სამეურნეი საქმიანობის აღრიცხვა. აღრიცხვის სახეები. ---------- 6
1.2. სააღრიცხვო პოლიტიკის არსი ---------- 8
1.3. სამეწარმეო საქმიანობის ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმები ----------11
1.4. ბუღალტერთა კლასიფიკაცია----------12
1.5. ბუღალტრული აღრიცხვის რეგულირება საქართველოში ---------- 14
1.6. ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპები და ძირითადი დაშვებები ---------- 16

II თავი – ფინანსური ანგარიშგება და ბუღალტრული ბალანსი ---------- 18

2.1. ფინსნსური ანგარიშგება---------- 18
2.2 ბუღალტრული ბალანსი ---------- 20
2.3. სამეურნეო ოპერაციებით გამოწვეული ცვლილების ასახვა ბუღალტრულ ბალანსში ---------- 24

III თავი – ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდი

3.1. დოკუმენტები და ინვენტარიზაცია ---------- 26
3.2. შეფასება და კალკულაცია ---------- 31

IV თავი – ბუღალტრული ანგარიშები ---------- 43

V თავი – სააღრიცხვო ციკლი ---------- 57

5.1. სააღრიცხვო ციკლის დახასიათება ----------57
5.2. სამეურნეო ოპერაციების რეგისტრაცია ----------60
5.3. აღრიცხვის მთავარ ჟურნალიდან მონაცემების მთავარ დავთარში გადატანა ---------- 66
5.4. მოგება-ზარალის ანგარიშგება და მისი შედგენის თანმიმდევრობა ---------- 72
5.5 დროებითი ანგარიშები. შემოსავლების და ხარჯების ანგარიშების გადატანა მ/ზ ანგარიშზე ----------83

VI თავი – სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა

6.1. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების არსი, აღიარება კლასიფიკაცია, შეფასება. ----------91
6.2. მარაგების აღრიცხვის მუდმივი (უწყვეტი) და პერიოდული მეთოდი ---------- 96
6.3. დაუმთავრებელი წარმოება. ---------- 97

VII თავი – კორექტირებები და სამუშაო ცხრილი

7.1. ცვეთის ხარჯის დაანგარიშება და მისი აღრიცხვა ---------- 101
7.2. სამუშაო ცხრილი და მისი გამოყენება ---------- 108
7.3. კორექტირებული ბალანსის მომზადება ---------- 109

VIII თავი – დ.ღ.გ. და მისი აღრიცხვა ---------- 126

IX თავი – ხელფასი და მისი აღრიცხვა

9.1. ხელფასი, მისი დარიცხვა და გაცემა ---------- 133
9.2. მუშაკთა მატერიალური წახალისების სისტემები ---------- 137

X თავი – საბოლოო ბალანსი

10.1. სააღრიცხვო ციკლის დასრულება ---------- 145
10.2. ანგარიშგება ფულადი ნაკადების მოძრაობის შესახებ ---------- 146
10.3. კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება ---------- 149

XI თავი – ბუღალტრული აღრიცხვა შ.პ.ს-ში ---------- 149

11.1. ინვესტიციების არსი. მიზანი. აღრიცხვა. ----------151
11.2. მოკლევადიანი ინვესტიციების აღრიცხვა ----------153
11.3. გრძელვადიანი ინვესტიციების აღრიცხვა ---------- 155
11.4. ძირითადი საშუალებების აღრიცხვა ----------157
11.5. ფინანსური იჯარის აღრიცხვა ---------- 162
11.6. არამატერიალური აქტივების აღრიცხვა ---------- 165
ბუღალტრული აღრიცხვის

ანგარიშთა გეგმის სტრუქტურა ---------- 170
გამოყენებული ლიტერატურა ---------- 180

I თავი
საწარმო, მისი ფინანსური მდგომარეობის შეფასება და აღრიცხვა. ბასსი.

1.1 საწარმოთა სამეურნეო საქნიანობის აღრიცხვა. აღრიცხვის სახეები

ადამიანთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება წარმოების საშუალებით მიიღწევა. სამეწარმეო საქმიანობა სამეურნეო საქმიანობის ნაირსახეობაა, რომელიც მიმართულია პროდუქციის წარმოების, სამუშაოს შესრულების ან მომსახურების გაწევისაკენ. საწარმო დამოუკიდებელი სამეურნეო ერთეულია, რომელიც შექმნილია გარკვეული სახის პროდუქციის წარმოების, სამუშაოთა შესრულების და მომსახურების გაწევის მიზნით. თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში საწარმოს მხატვრულად „ეკონომიკურ მოქალაქესაც“ უწოდებენ, რადგან მოქალაქესავით მასაც აქვს: სახელი, იურიდიული მისამართი, „დაბადების თარიღი“, წარსული, აწმყო და მომავალი.

სამეწარმეო საქმიანობას წარმართავს მეწარმე, რომელიც საქმეს მოგების მიღების მიზნით უძღვება. იგი უნდა იყოს ინიციატივიანი, გაბედული, მტკიცე ნებისყოფიანი, გულწრფელი, პატიოსანი და სანდო პარტნიორი, შრომისმოყვარე და დაუზარელი, ქველმოქმედი. სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტები არიან ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც სამეურნეო საქმიანობის პროცესში სარგებლობენ გარკვეული უფლებებით და აკისრიათ მოვალეობები.

აღრიცხვა ადამიანთა ყოველგვარ საქმიანობაზე დაკვირვება და ამ სამუშაოების რაოდენობრივი დათვისობრივი ასახვაა შესაბამის დოკუმენტებში. ამ გზით მოპოვებულ ინფორმაციას სააღრიცხვო ინფორმაციას უწოდებენ.

აღრიცხვის ერთიანი სისტემა მოიცავს: ოპერატიულ-ტექ-ნიკურ, სტატისტიკურ და ბუღალტრულ აღრიცხვას.

ოპერატიული აღრიცხვა სამეურნეო ოპერაციებს და მოვლენებს ასახავს მათი მოხდენის თანავე. ეს ინფორ-მაცია გამოიყენება ოპერატიული ხელმძღვანელობისათვის.

სტატისტიკური აღრიცხვის შესწავლის ობიექტია მა-სობრივი საზოგადოებრივი მოვლენები და პროცესები. მისი საშუალებით შეიძლება მთელი ეროვნული მეურნეობის ან მისის ცალკეული დარგების დახასისთება და ანალიზი.

ბუღალტრული აღრიცხვა გამოიყენება ბიზნესის სამყა-როში, როგორც საქმიანი ინფორმაციის მოპოვების და გა-დაცემის საშუალება. მას „ბიზნესის ენასაც“ უწოდებენ. იგი ქმნის საინფორმაციო სისტემას სამეურნეო სუბიექტის შესახებ, გვაძლევს საშუალებას განვსაზღვროთ საწარმოს ქონება, მთლიანი კაპიტალი, შემოსავლები და ხარჯები და ვიანგარიშოთ მთლიანად საწარმოს სამეურნეო საქმიანო-ბის საბოლოო შედეგი.

ბუღალტრული აღრიცხვის საგანია შეისწავლოს საწარ-მოს სამეურნეო საშუალებები ანუ ქონება, სამეურნეო სა-შუალებების წარმოშობის წყაროები, ანუ მათში მიმდინარე სამეურნეო პროცესები ფულად გამოხატულებაში.

სააღრიცხვო სისტემის მთავარი მიზანია ეკონომიუ-რი სუბიექტის შესახებ ბუღალტრული ინფორმაციის წარ-მოება და ამ ინფორმაციის დაინტერესებულ პირთათვის მიწოდება. ამ ინფორმაციულ სისტემაში ხდება ბიზნესის მონაცემთა დამუშავება, რაც გადაწყვეტილების მიმღებს საშუალებას აძლევს შეაფასოს ბიზნესის ავკარგიანობა. ბუღალტრული აღრიცხვის ინფორმაციული სისტემა იყო-ფა საგარეო – ფინანსურ აღრიცხვად და შიდა – ანუ მმარ-თველობით აღრიცხვად.

მმართველობითი აღრიცხვის ინფორმაცია განკუთვნი-ლია შიდა მოხმარებისათვის და გამოიყენება სამმართველ-ლო გადაწყვეთილებათა მისაღებად. ფინანსური ანგარი-შგება მოიცავს მთელი სამეურნეო ერთეულის სამეურნეო

ფაქტებს, რომელთაც უკვე ჰქონდათ ადგილი რეალურ სინამდვილეში, განზოგადებულია ფულად მაჩვენებელში მათი მოხდენის მომენტისათვის. მმართველობითი აღრიცხვა კი მოიცავს ინფორმაციას საწარმოს ცალკეული ქვედანაყოფების საქმიანობის, პროდუქციის ცალკეული სახეების თვითღირებულების, პირდაპირი და არაპირდაპირი ხარჯების შესახებ.

ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვა ემყარება ოპერატიული აღრიცხვის მონაცემებს. ამ ინფორმაციის სათანადო დოკუმენტაციის, დაჯგუფების, შეფასების, ანგარიშებზე ასახვის და ბოლოს ბალანსსა და ანგარიშგებაში განზოგადოების გზით ხდება ინფორმაციის მიწოდება მომხმარებელთა ფართო წრისათვის.

მმართველობითი აღრიცხვა მოიცავს სააღრიცხვო ინფორმაციის ყველა სახეს, რომელიც იზომება, მუშავდება და გადაეცემა შიდასამეურნეო მოხმარებისათვის, ხელმძღვანელებისათვის და წარმოადგენს ოპტიმალური სამმართველო გადაწყვეტილებების მიღების საფუძველს.

1.2. სააღრიცხვო პოლიტიკის არსი

სააღრიცხვო პოლიტიკის შედგენას საწარმო დამოუკიდებლად ახდენს, მაგრამ ძირითადი დებულებები უნდა შეესაბამებოდეს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი – „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ – სააღრიცხვო პოლიტიკას შემდეგნაირად განმარტავს: „სააღრიცხვო პოლიტიკა არის განსაკუთრებული პრინციპების, საფუძვლების, შეთანხმებების, წესებისა და პრაქტიკული გამოცდილების ერთობლიობა, რომელიც გამოიყენება საწარმოში ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის პროცესში.“

საწარმოს მიერ შერჩეულმა სააღრიცხვო პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს ფინანსური ანგარიშგების საიმედოობა და მისი შესაბამისობა მომხმარებელთა მოთხოვნილებებთან. საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევა ხდება საწარმოს საფინანსო-ეკონომიკური და იურიდიული სამსახურის მონაწილეობით. პასუხისმგებლობა სააღრიცხვო პოლიტიკაზე ეკისრება საწარმოს ხელმძღვანელს.

სააღრიცხვო პოლიტიკა აღრიცხვის წარმოების წესების ერთობლიობაა და მოიცავს აღრიცხვის მეთოდიკის შერჩევას. იგი შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც სააღრიცხვო საქმიანობის მართვა, ამავე დროს აღრიცხვის წარმოების ხერხების ერთობლიობა, რომელიც საშუალებას გვაძლევს სამეურნეო ფაქტების აღრიცხვაში გამოყენებულ იქნას ასახვის განსხვავებული ვარიანტები.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის ან ბასსკ-ის სათანადო მითითებების არ არსებობისას საწარმოს ხელმძღვანელობა თვითონ ადგენს ისეთ სააღრიცხვო პოლიტიკას, რომელიც მომხმარებელს უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად საჭირო ინფორმაციით. ბასის თანახმად ასეთ შემთხვევაში საწარმოს ხელმძღვანელობამ უნდა გაითვალისწინოს:

1) ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების ის მოთხოვნები და რეკომენდაციები, რომლებიც ეხებიან მსგავს და მასთან დაკავშირებულ საკითხებს;
2) აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლების და ხარჯების განმარტებები, მათი შეფასებისა და აღიარების კრიტერიუმები, რომლებიც მოცემული არიან ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის სტრუქტურულ საფუძვლებში;
3) სტანდარტების შემმუშავებელი სხვა ორგანიზაციების ოფიციალური დოკუმენტები და არსებული პრაქტიკული მეთოდები, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელნი არ სცილდებიან ზემოთ მოცემული პუნქტების ფარგლებს.

სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევისას აუცილებელია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების ძირითადი დაშვებების გათვალისწინება. დარიცხვის მეთოდი გულისხმობს სამეურნეო ოპერაციების და მოვლენის აღიარებას მათი განხორციელებისთანავე.

სააღრიცხვო პოლიტიკა ითვალისწინებს აქტივების აღიარებისა და შეფასების მეთოდების, მათი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის წესის, კაპიტალის და ვალდებულებათა, შემოსავლებისა და ხარჯების ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის მეთოდების განსაზღვრას.

საწარმო უფლებამოსილია დამოუკიდებლად შეარჩიოს ბუღალტრული აღრიცხვის ფორმა და სააღრიცხვო რეგისტრები. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით მომუშავე საწარმოებს უფლება აქვთ დამოუკიდებლად შეიმუშაონ სამუშაო ანგარიშთა გეგმა საწარმოს თავისებურებათა გათვალისწინებით.

საწარმო განსაზღვრავს სააღრიცხვო აპარატის სტრუქტურას, ფასეულობათა ფაქტიური მდგომარეობის დადგენის მიზნით ინვენტარიზაციის ჩატარების წესს და ვადებს.

ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელს უნდა შეეძლოს სხვადასხვა პერიოდის ფინანსური ანგარიშგების შედარება ამიტომ ამ პერიოდის სააღრიცხვო პოლიტიკა ერთი და იგივე უნდა იყოს.

სააღრიცხვო პოლიტიკა შეიძლება შეიცვალოს, თუ ამას მოითხოვს კანონმდებლობა ან ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შემმუშავებელი ორგანო.

1.3. სამეწარმეო საქმიანობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები

საწარმოთა სამეწარმეო საქმიანობის ფორმებს ქვეყნის კანონმდებლობა განსაზღვრავს, ამიტომ სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვაგვარადაა წარმოდგენილი. საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“ განსაზღვრავს საწარმოთა შემდეგი სახის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებს:

ინდივიდუალური მეწარმე – არის ინდივიდუალური საწარმოს მფლობელი ფიზიკური პირი, რომლის სამეწარმეო საქმიანობისათვის აუცილებელია სამეწარმეო წესით მოწყობილი ორგანიზაცია, მოწესრიგებული საკასო და ბუღალტრული აღრიცხვა. იგი სამართლებრივ ურთიერთობაში გამოდის თავისი სახელით და კრედიტორებთან ვალდებულებებზე თვითონე აგებს პასუხს პირადად.

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება – არის საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე ფიზიკური პირი ერთობლივად, ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა არაერთჯერად და დამოუკიდებელ მეწარმეობას და პარტნიორები საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ როგორც სოლიდარული მევალეები შეუზღუდავად, მთელი თავისი ქონებით.

კომანდიტური საზოგადოება – არის საზოგადოება, რომელშიც რამოდენიმე პირი ერთობლივად, ერთიანი სააფირმო სახელწოდებით ეწევა არაერთჯერად და დამოუკიდებელ მეწარმეობას და ერთი ან რამდენიმე პირის პასუხისმგებლობა საზოგადოების კრედიტორების წინაშე განსაზღვრული საგარანტიო თანხის გადახდით შემოიფარგლება. ამ პირებს კომანდიტები ეწოდება, სხვა პარტნიორების პასუხისმგებლობა შეზღუდული არ არის და მათ კომპლემენტარებს უწოდებენ (კომპლემენტები მხოლოდ ფიზიკური პირები არიან) კომანდიტების საგარანტიო თანხა განისაზღვრება წესდებით.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება – არის საზოგადოება, რომლის პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება საზოგადოების ქონებით, ხოლო თითოეული პარტნიორის პასუხისმგებლობა საწესდებო კაპიტალში მისი წილით. საზოგადოების საწესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობა 200 ლარია. შენატანის ოდენობა თითოეული პარტნიორისათვის შეიძლება განსხვავებულად განისაზღვროს მაგრამ იგი ათზე უნაშთოდ უნდა იყოფოდეს.

1. 4. ბუღალტერთა კლასიფიკაცია

დღეისათვის ბუღალტრები ასრულებენ სამუშაოთა ფართო სპექტრს მათ საქმი-

ანობა საზოგადოების განვითარებასთან ერთად თანდათან გართულდა. ისინი ანხორცი-ელებენ წარმოების ფინანსური და საგადასახადო ანგარიშგებების მომზადებას და საგადასახადო სამსახურთან საქმიანობას. ზოგიერთ ქვეყანაში ბუღალტრებს ყოფენ შემდეგ კატეგორიებად: საჯარო, კერძო და სახელმწიფო ბუღალტრებად.

საჯარო ბუღალტრები არიან სერთიფიკატის მქონე ბუღალლტრები, რომელიც მათ პროფესიალიზმზე მეტყველებს და პერიოდულად მოითხოვს გამოცდების ჩაბარებას. საქართველოში ეს პროცესი საკმაოდ რთულია მაგრამ ქართველ ბუღალტრებს საშუალება ეძლევათ მიიღონ როგორც პროფესიონალიზმის დამადასტურებელი საერთაშორისო სერთიფიკატი (ACCA) ასევე ჩააბაროს ამერიკული სერთიფიცირების გამოცდები (CPA)

აუდიტი არის სერთიფიკატის მქონე საჯარო ბუღლტრის მიერ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების შესწავლა მათი სისწორის და სისრულის დადასტურების მიზნით. დამოუკიდებელი ბუღალტერი არ შეიძლება იყოს იმ საწარმოს თანამშრომელი, რომელი ორგანიზაციის აუდიტსაც ახორციელებს, მისი მოვალეობაა კეთილ-სინდისიერად შე-

ასრულოს შემოწმება.

ბუღალტრები, რომლებიც მუშაობენ საწარმოს ადმინისტრაციის შემადგენლობაში და ამ საწარმოს თანამშრომლებს წრმოადგენენ არიან ბუღალტერ – მენეჯერები. ისინი კერძო ბუღალტრებს წარმოადგენენ.

ბუღალტრულ მონაცემთა ანალიზი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ბიზნესის წარმატებული ფუნქციონირებისათვის. კერძო ბუღალტრებს ხშირად „ბუღალტერ ანალიტიკოსებს“ უწოდებენ. ბუღალტერ ანალიტიკოსი ხელმძღვანელობს საწარმოს ბუღალტერთა შტატს, ანაწილებს დავალებას შესაბამისი მიზნების გათვალისწინებით და პასუხს აგებს მათ შესრულებაზე.

კერძო ბუღალტერთა საქმიანობიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: ბუღალტრული სააღრიცხვო სისტემის შექმნა, ხარჯთაღრიცხვა, ფინანსური პროგნოზირება, საგადასახადო აღრიცხვა, შიდა კონტროლი.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ორგანიზაციათა საქმიანობა არ ითვალისწინებს მოგების მიღებას სახელმწიფო და კერძო საწარმოები აღრიცხვის თვალსაზრისით ემსგავსებიან ერთმანეთს. სახელმწიფო მართვის მუშაკები ხშირად ეყრდნობიან სახელმწიფო სექტორში მომუშავე ბუღალტრების რეკომენდაციებს.

1.5. ბუღალტრული აღრიცხვის რეგულირება საქართველოში

ბუღალტრული აღრიცხვის განვითარების ისტორია რამდენიმე ათასწლეულს ითვლის საზოგადოების განვითარებასთან ერთად იცვლებოდა აღრიცხვის ობიექტები, მეთოდები და აღრიცხვა მარტივი ფორმიდან თანამედროვე განვითარებულ ფორმად იქცა. გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენს. უკანასკნელ პერიოდამდე ჩვენთვის ცნობილი იყო და გამოიყენებოდა ბუღალტრული აღრიცხვის მხოლოდ ერთი-საბჭოთა სისტემა. იმ ეტაპზე ბუღალტრული აღრიცხვის ერთ-ერთ მიზანს სახელმწიფო ორგანოებისათვის ინფორმაციის მიწოდება წარმოადგენდა და ამ ინფორმაციას მხოლოდ სახელმწიფო მოიხმარდა.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ და მისმა ფუნდამენტალურმა პრინციპებმა განაპირობა ბუღალტრული აღრიცხვის სრულყოფა. საწარმოში ბუღალტრული აღრიცხვა დაექვემდებარა ფინანსურ მენეჯმენტს და იგი წარმოადგენს მძლავრ იარაღს ფინანსური მენეჯერებისათვის დროული და რეალური ინფორმაციის მიწოდებისათვის, რათა მან საბაზრო ეკონომიკის მკაცრი და ულმობელი კონკურენციის პირობებში მიიღოს საწარმოს ინტერესების შესაბამისი ზუსტი გადაწყვეტილება საწარმოს განკარგულებაში არსებული რესურსების ისეთი განთავსებისათვის რასაც მოყვება ფულადი რესურსის შემოდინება.

საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის დანერგვის ხელშეწყობის მიზნით 1999 წლის 5 თებერვალს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი: „ბუღალტრული აღრიცხვის და ანგარიშგების რეგულირების შესახებ“, რომლის თანახმად საქართველო აღიარებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტს.

1994 წლის 28 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „მეწარმეთა“ შესახებ. აღნიშნული მოვლენა წარმოადგენს პირველ საფუძველს ჩვენს ქვეყანაში ბუღალტრული აღრიცხვისსაერთაშორისო სტანდარტზე გადასასვლელად.

2001 წლის 1 იანვრიდან ყველა საწარმო, გარდა ინდივიდუალური მეწარმეებისა, მცირე საწარმოებისა და არაკომერციული იურიდიული პირებისა ვალდებულია ანგარიშგება წარმოადგინოს ბასსების მიხედვით. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (ბასს) წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების მომზადების შედარებით რაციონალური ნორმების „ჰიბრიდს“, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში არსებული ნორმების დეტალური შესწავლის და ანალიზის შედეგად იქნა შერჩეული.

ბასსი თავის მიზნებს ძირითადად ახორციელებს ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შემუშავებითა და გამოქვეყნებით. ხელს უწყობს ამ სტანდარტის გამოყენებას და ეხმარება მომხმარებელს ფინანსური ანგარიშგების სრული კომპლექტის შეფასებაში ან აუმჯობესებს მომხმარებლის შესაძლებლობებს მიიღოს ეფექტური ეკონომიკური გადაწყვეტილება. ბასს-ი გამოიყენება, როგორც საერთო სახელმწიფოებრივ დონეზე, ასევე ცალკეული საწარმოების მიერ.

ბუღალტერთა დამოუკიდებელი პროფესიული ორგანიზაციები შეიმუშავებენ ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების ინტერპრეტაციებს. ბურალტრული არრიცხვის სტანდარტების კომისია ამტკიცებს ქართულ ენაზე თარგმნილი სტანდარტების სამოქმედოდ შემოღებას, ბუღალტრული აღრიცხვის დროებით სტანდარტებს, ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის სტრუქტურას ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ბუღალტრული აღრიცხვის და ანგარიშგების სფეროში სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანო არის საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, რომლის კომპეტენციაა საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის ბუღალტრული ნორმების,წესების, შესაბამისი ინსტრუქციებისა და მითითებების შემუშავება და პრაქტიკაში დამკვიდრება.ფინანსთა სამინისტრო თანამშრომლობს საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიასთან და ბუღალტერთა დამოუკიდებელ პროფესიულ ორგანიზაციებთან.

1.6. ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპები და ძირითადი დაშვებები

საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების უმრავლესობა აღიარებს ბასს-ით გათვალისწინებული ფინანსური ანგარიშგების ძირითად მიზანს და საერთო კონცეფცი-ას. ჩვენს ქვეყანაში ბუღალტრული აღრიცხვის ნორმების ძირითად წყაროს წარმოადგენს ბუღალტრული აღრიცხვის საერთასორისო სტანდარტები. ფინანსური ანგარიშგების შედგენის ძირითადი პრინციპები, მახასიათებლები, წარდგენის წესები განხილულია „ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სტრუქტურულ საფუძვლებში“ და ბასს 1-ში „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“

ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების წარმოება ემყარება:

- ორმხრივობის;
- ფულადი შეფასების;
- უწყვეტობის;
- პირვანდელი ღირებულების (თვითღირებულების);
- მყარი ფულადი ერთეულის;
- რეალიზაციის;
- ავტონომიურობის;
- სიფრთხილის ანუ წინდახედულების (კონსერვატიზმის)
- არსებითობის;
- შესაბამისობის პრინციპებს.

ბასს-ით ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი დაშვებებია:

- დარიცხვის მეთოდი;
- ფუნქციონირებადი საწარმო.

დარიცხვის მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველია. ბუღალტრულ აღრიცხვაში დარიცხვის მეთოდი ნიშნავს საწარმოს აქტივების, ვალდებულებების, კაპიტალის, შემოსავლებისა და ხარჯების აღიარებას მათი მოხდენისას დაარა იმის მიხედვით როდის ჰქონდა ადგილი თანხის ფაქტიურ მიღებას ან გადახდას ე.ი. დარიცხვის მეთოდი გულისხმობს შემოსავლების და ხარჯების აღი-

არებას მათი მოხდენის მომენტის მიხედვით.

ფუნქციონირებადი საწარმო. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, იგულისხმება, რომ საწარმო ფუნქციონირებს და თავის საქმიანობას გააგრძელებს უახლოეს მომავალში არ აპირებს და არ საჭიროებს ლიკვიდაციას, ან თავის საქმიანობის მასშტაბების საგრძნობლად შემცირებას.

საწარმოს ფინანსური მიზნები – საბაზრო ეკონომიკის მთავარ მამოძრავებელ ძალას და განუყოფელ ატრიბუტს ეკონომიკური ადამიანის სამეწარმეო საქმიანობა ანუ მეწარმეობა (ბიზნესი) წარმოადგენს. მისი მიზანია მაკროეკონომიკური მასშტაბით საზოგადოებრივ და ინდივიდუალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, ხოლო მიკროეკონომიკურ დონეზე მოგების მიღება.

იმ ბიზნესში რომელშიც არ მიიღება საკმარისი მოგება, ან რომელიც ფუნქციონირებს ზარალით ხდება დაბანდებული რესურსების ამოწურვა და იგი საბოლოოდ არსებობის შეწყვეტის საშიშროების წინაშეც დგება. ამიტომ საწარმო სიცოცხლისუნარიანი რომ იყოს, მისი მფლობელები და მმართველები ვალდებულნი არიან ისე წარმართონ საქმიანობა, რომ გარანტირებული იყოს საკმარისი მოგება.

საწარმოში შეიძლება შეიქმნას სიტუაცია, როდესაც საწარმო დროის რაღაც პერიოდში გადახდისუუნარო ხდება, რაც ნიშნავს რომ მას არ გააჩნია საკმარისი რესურსი რათა გაისტუმროს ვალდებულებები. გადახდისუნარიანობა მომგებიანობასთან ერთად არის ნებისმიერი ბიზნესის ძირითადი ფინანსური მიზანი. მომგებიანი საწარმო თუ თავს აარიდებს ვალდებულებების გასტუმრებას კრედიტორების მოთხოვნით შეიძლება იძულებული გახდეს შეაჩეროს საქმიანობა და დაასრულოს კიდეც თავისი არსებობა.

საწარმოს მომგებიანობის და ფინანსური მდგომარეობის შეფასება და გადახდისუნარიანობის განსაზღვრა ხდება ბუღალტრული აღრიცხვის საშუალებით. იგი საშუალებას გვაძლევს აგრეთვე განვსაზღვროთ რა ფასი დავადოთ საქონელს და მომსახურებას, გვჭირდება თუ არა სესხის აღება და ა.შ.

II თავი
ფინანსური ანგარიშგება და ბუღალტრული ბალანსი

2.1. ფინანსური ანგარიშგება

ანგარიშგება არის დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია საწარმოს ფუნქციონირების სხვადასხვა მხარეები და ეფუძვნება სამეურნეო აღრიცხვის ურთიერთდამოკიდებულ სახეებს. განასხვავებენ: ოპერატიულ, ბუღალტრულ, საგადასახადო და სტატისტიკურ ანგარიშგებებს. ანგარიშგებას ქვემდგომი ორგანო წარუდგენს ზემდგომს ჩატარებული საქმიანობის შესახებ. მას აქვს კონკრეტული მისამართი.

ფინანსური ანგარიშგება არის საწარმოს რესურსების შეფასების და ანალიზის, შემოსავლების და ხარჯების შეფასების, გაანალიზების და პროგნოზირების წყარო. მისი მიზანია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის და მისი ცვლილებების, საწარმოს საქმიანობის შედეგების, ჩადებული კაპიტალის, ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება მომხმარებელთა ფართო წრისათვის. იგი აგრეთვე წარმოადგენს საწარმოს მიერ ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღების საფუძველს.

ფინანსური ანგარიშგება საწარმოს შესახებ სტრუქტურულად ჩამოყალიბებული ფინანსური სურათია, სადაც მოცემულია საწარმოს განკარგულებაში არსებული აქტივების და მისი წარმოშობის წყაროების შესახებ ინფორმაცია.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

1. ბალანსს,
2. მოგება-ზარალის ანგარიშგებას;
3. ანგარიშგება საწარმოს საკუთარ კაპიტალში ცვლილების შესახებ.
4. ანგარიშგება ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ,
5. განმარტებები.

ინფორმაცია, რომელიც წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა იყოს უტყუარი, რადგან იგი წარმოადგენს საფუძველს საწარმოს მიერ ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღებისას. მას აგრეთვე უნდა ახასიათებდეს აღქმადობა, შესაბამისობა, საიმედოობა, შესადარისობა.

ფინანსური შედეგები, რომელიც მოცემულია ფინანსურ ანგარიშგებაში გამოიყენება მომხმარებელთა მიერ გადაწყვეტილების მისაღებად. ინფორმაციის მომხმარებლები არიან: თვითონ საწარმო, ინვესტორები, საგადასახადო ორგანო, ბანკები, ადამიანები რომლებიც გეგმავენ ამ საწარმოში დასაქმებას, საწარმოები რომლებთანაც ურთიერთობს (დებიტორ-კრედიტორები) და სხვა.

საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს საწარმოს განკარგულებაში არსებული ეკონომიკური რესურსები, მისი ფინანსური სტრუქტურა, ლიკვიდურობა (აქტივების ფულად სწრაფად გადაქცევის უნარი) და გადახდისუნარიანობა. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ცვლილების შესახებ ინფორმაცია აუცილებელია საწარმოს საინვესტიციო, ფინანსური და საოპერაციო საქმიანობის შესაფასებლად.

ინფორმაცია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ მოცემულია ბალანსში. საწარმოსსაქმიანობის ეფექტიანობის შესახებ ინფორმაცია მოცემულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, ფულადი სახსრების მოძრაობის ინფორმაცია მოცემულია ფულადი სახსრების მოზრაობის ანგარიშგებაში. თითოეული ანგარიშგება მოიცავს დანარჩენისაგან განსხვავებულ ინფორმაციას, მაგრამ ერთი დამოუკიდებელი მიზანი ცალკე არც ერთ მათგანს არ გააჩნია და ცალკ-ცალკე არც ერთი არ იძლევა მომხმარებელთა კონკრეტული საინფორმაციო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალებას.

ფინანსურ ანგარიშგებას თან ერთვის განმარტებები, შენიშვნები, ცხრილები, დანარები და სხვა დამატებითი ინფორმაცია ბალანსის და მოგება-ზარალის ანგარიშგების

მუხლების შესახებ. მასსი შეიძლება აღწერილი იყოს იმ რისკებისა და განუსაზღვრელ გარემოებათა ახსნა, რომელთა გავლენითაც შესაძლებელია საწარმოს იმ რესურსებისა და ვალდებულებათა ცვლილება, რომლებიც არ არიან აღიარებული ბალანსში.

თუ საწარმო გამიზნულად ან იძულების წესით ლიკვიდირებული იქნა, ანდა სხვა საწარმოსთან შერწყმის ან გაკოტრების შემთხვევაში ფინანსური ანგარიშგება უნდა შედგეს ამ ფაქტის გათვალისწინერბით და აღნიშნული აისახოს ფინანსური ანგარისგების განმარტებით ნაწილში

2. 1. ბუღალტრული ბალანსი

სიტყვა „ბალანსი“ ლათინურიდან წარმოდგება და თავდაპირველი მნიშვნელობით სასწორის ორ თეფშს ნიშნავს. სიტყვასიტყვით წონასწორობის აღმნიშვნელია. ბალანსები სხვადასხვა სახისაა ჩვენ განვიხილავთ ბუღალტრულ ბალანსს.

ბუღალტრული ბალანსი ფინანსური ანგარიშგების მნიშვნელოვანი ელემენტია მასში მოცემულია საწარმოს აქტივების ანუ ქონების და მისი წარმოშობის წყაროს ანუ პასივების მდგომარეობა დროის კონკრეტული მომენტისათვის გამოხატული ფულად ფორმაში. იგი გვიჩვენებს რა ქონებას ფლობს საწარმო და რომელი წყაროებიდან არის იგი ფორმირებული, ანუ ქონების რა ნაწილი არის საკუთარი წარმოშობის და რა ნაწილი არისვალდებულება ანუ ვალი.

საწარმოს ქონებაში იგულისხმება მატერიალური და არამატერიალური საშუალებები, ფულადი საშუალებები. საწარმოს მთელი კაპიტალი კი შედგება საკუთარი კაპიტალის და ვალდებულებებისგან.

ვალდებულებები საწარმოს ვალებიასხვადასხვა ორგანიზაციების, საწარმოების ან პირების მიმართ. ორგანიზაციებს, საწარმოებს ან პირებს, რომელთა მიმართ დავალიანება გააჩნია საწარმოს კრედიტორები ეწოდება. ვალდებულების წარმოშობის საფუძველია გასული პერიოდის სამეურნეო ოპერაციები და მოვლენები, საწარმოში მიღებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები ან მომსახურება თუკი მათ წინასწარ ან მიწოდებისთანავე გადახდას არ ჰქონდა ადგილი. ვალდებულებას მიეკუთვნება აგრეთვე; გადასახდელი ხელფასი, დარიცხული ხარჯები, გადასახდელი გადასახადები, გასანაღდებელი თამასუქები, დასაფარავი სესხი და სხვა.

საწარმოს აქტივებში მფლობელთა წილს საკუთარ კაპიტალს უწოდებენ. იგი ტოლია აქტივების ღირებულებას მინუს ყველა ვალდებულების ჯამი. საკუთარი კაპიტალი წარმოადგენს საწარმოს ვალდებულებას მისი მფლობელების წინაშე. მას მიეკუთვნება: დამფუძვნებელთაშენატანები, გაუნაწილებელი მოგება და მის საფუძველზე შექმნილი ფონდები.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში საწესდებო კაპიტალი ასახავს საწარმოში მისი მფლობელის მიერ დაბანდებულ აქტივებს. კომერციულ საფუძველზე ორგანიზებულ საწარმოებს გააჩნიათკოლექტიური ან კორპორაციული საკუთრება. მათი მესაკუთრე შეიძლება იყოს რამდენიმე იურიდიული ან ფიზიკური პირი, ან აქციონერთა კრება.

ბუღალტრული ბალანსი შედგება ორი ნაწილისაგან აქტივი და პასივი. ფორმატის მიხედვით ბალანსი არის ვერტიკალური და ჰორიზონტალური. ჰორიზონტალური ბალანსი ორგვერდიანია. მარცხენა მხარე – აქტივი და მარჯვენა მხარე – პასივი. აქტივში მოცემულია საწარმოს ქონება პასივში კი მისი წარმოშობის წყარო ანუ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულება.

ვერტიკალური ბალანსი არის ცალგვერდიანი აქტივების შემდეგ მოცემულია კაპიტალი და ვალდებულებები. ბალანსის მუხლების დალაგება ხდება ლიკვიდურობის მიხედვით. ლიკვიდურობა არის აქტივის ფულად სწრაფად

გადაქცევის უნარი, რაც ყველა აქტივს სხვადსხვა აქვს.

საბალანსო ტოლობას აქვს შემდეგი სახე:

აქტივი = საკუთარი კაპიტალი + ვალდებულება

ბალანსის მუხლი არის ბალანსის აქტივების, ვალდებულებების და კაპიტალის თითოეული ელემენტი.

შ.პ.ს. „ბეტა“
ბალანსი
201.... წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქტივები	თანხა	საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	თანხა
ნაღდი ფული	15 000	საწესდებო კაპიტალი	35 000
ძირითადი საშუალებები	30 000	სავაჭრო ვალდებულებები	20 000
ნედლეული და მასალები	20 000	გადასახდელი ხელფასი	5 000
მზა პროდუქცია	10 000	მოკლევადიანი სესხი	20 000
მოთხოვნები	30 000	გრძელვადიანი სესხი	25 000
სულ აქტივი	105000	სულ პასივი	105 000

ბასის „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ - სტანდარტის თანახმად ბუღალტრული ბალანსის ელემენტები ვერტიკალური ფორმატით წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი თანმიმდევრობით.

შ.პ.ს. „ბეტა“

ბალანსი

201... წ. 31 დეკემბრისათვის

აქტივები	(ლარი)
გრძელვადიანი აქტივები	
ძირითადი საშუალებები	50 000
არამატერიალური აქტივები	35 000
სულ გრძელვადიანი აქტივები	85 000
მიმდინარე აქტივები	
საქონელი	10 000
ნედლეული და მასალები	8 000
სავაჭრო მოთხოვნები	15 000
ფულადი საშუალებები საბანკო ანგარიშებზე	20 000
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	1 000
სულ მიმდინარე აქტივები	54 000
სულ აქტივები	**139 000**
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	
საკუთარი კაპიტალი	
საწესდებო კაპიტალი	50 000
გაუნაწილებელი მოგება	9 000
სულ საკუთარი კაპიტალი	59 000
ვალდებულებები	
გრძელვადიანი ვალდებულებები	
ბანკის გრძელვადიანი სესხი	40 000
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	40 000
მოკლევადიანი ვალდებულებები	
სავაჭრო ვალდებულებები	30 000
გადასახდელი ხელფასი	8 000
გადასახდელი საშემოსავლო	1 000
გადასახდელი პროცენტები	1 000
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	40 000
სულ ვალდებულებები	80 000
სულ კაპიტალი და ვალდებულება	**139 000**

2.3. სამეურნეო ოპერაციებით გამოწვეული ცვლილებების ასახვა ბუღალტრულ ბალანსში

საწარმოს საქმიანობის ძირითად მიზანს წარმოადგენს მოგების მიღება. დასახული მიზნის მიღწევისათვის საწარმოს საქმიანობაში უამრავი სამეურნეო ოპერაცია ხორციელდება, რომლებიც შინაარსობლივად განსხვავებულია, მაგრამ ერთ მიზანს ემსახურება. თითოეული საწარმოს საქმიანობა მრავალი ოპერაციისგან შედგება რის გამოც საწარმოს აქტივები და მათი წარმოქმნის წყაროები მუდმივ მოძრაობაში იმყოფებიან.

მომარაგება-დამზადების პროცესის დროს საწარმოს რესურსები ფულადი ფორმიდან გადადის საწარმოო მარაგის ფორმაში. ამ დროს საწარმო მარაგდება ნედლეულით, ძირითადი და დამხმარე მასალებით, სათბობით და წარმოებისათვის საჭირო სხვა აქტივებით. წარმოების პროცესში იქმნება პროდუქცია, რაც გულისხმობს მომარაგებული მასალების ხარჯვას.

წარმოების პროცესის დამთავრების შემდეგ ხდება მზა პროდუქციის რეალიზაცია, რასაც მოსდევს შემოსავალი და მზა პროდუქცია ღებულობს ფულად ფორმას.

საწარმოს ფუნქციონირებისას ნებისმიერი სამეურნეო ოპერაცია იწვევს ცვლილებებს აქტივებში, საკუთარ და მოზიდულ კაპიტალში. აქედან გამომდინარე საწარმოში მუდმივად იცვლება მათი სიდიდე, მაგრამ საბალანსო ტოლობა არ ირღვევა.

ბუღალტრული აღრიცხვის ორმხრივობიდან გამომდინარე, ყველა სამეურნეო ფაქტს, გარიგებას. ოპერაციას ორი მხარე გააჩნია და ამიტომ ორმხრივად მოქმედებს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობასა და საბალანსო ტოლობაზე.

იმისათვის, რომ საწარმომ იფუნქციონიროს საჭიროა გააჩნდეს აქტივები, მათი წყაროა პროდუქციის რეალიზაციის შედეგად მიღებული ამონაგები. მომარაგების დროს

საწარმოს ფულადი რესურსი გადადის საწარმოო მარაგის ფორმაში. წარმოების პროცესში იქმნება პროდუქცია, რომლის დროსაცხდება მარაგების საწარმოო მოხმარება და იქმნება მზა პროდუქცია. მისი რეალიზაციის შემდეგ მზა პროდუქცია გადადის ისევ ფულად ფორმაში.

მაშასადამე საწარმოში საწარმოო პროცესის განხორციელება იწვევს აქტივების წრებრუნვას. ბუღალტრული აღრიცხვა აქტივების წრებრუნვას ყველა სტადიაზე ასახავს, მისი საშუალებით განისაზღვრება წრებრუნვის თითოეულ საფეხურზე დანახარჯები და შესაბამისად ეკონომიკური ეფექტი.

სამეურნეო ოპერაციები ბუღალტრულ ბალანსზე ახდენენ ოთხი ტიპის ცვლილებას:

1) ცვლილება ეხება მხოლოდ აქტივს. ასეთი ცვლილების დროს ერთი აქტივი იზრდება მეორე აქტივის შემცირების ხარჯზე, ამით ბუღალტრული ბალანსი არ იცვლება. მაგალითად საწარმოს სალაროდან 200 ლარი შევიტანეთ საწარმოს საბანკო ანგარიშზე.
2) ცვლილება, რომელიც ეხება მხოლოდ პასივს, რომლის დროსაც პასივის ერთი მუხლის შემცირებით მეორე იზრდება და ბალანსი უცვლელი რჩება. მაგალითად დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებით მოხდა 5000 ლარი მოგების რეინვესტირება.
3) ცვლილება, რომელიც ეხებაბალანსის აქტივს და პასივს და ორივე მხარე იზრდება. მაგალითად შეძენილია 3000 ლარის საქონელი შემდგომი გადახდის პირობით. რაც იმას ნიშნავს, რომ საწარმოს მოემატა 3000 ლარის აქტივი და ამავე დროს მოემატა 3000 ლარის ვალდებულება. ამ ოპერაციამ დააფიქსირა ზრდა.
4) ცვლილება, რომელიც ეხება ბალანსის აქტივს და პასივს და ორივე მხარე მცირდება. მაგალითად ბანკიდან გავისტუმრეთ მოკლევადიანი სესხი 2000 ლარი. ეს იმას ნიშნავს, რომ საწარმოს 2000 ლარით შეუმცირდა ფულადი რესურსი და ამავე დროს მოაკლდა ვალ-

დებულებაც. ოპერაციამ დააფიქსირა კლება.

საწარმოს სამეურნეო ოპერაციების შედეგები ასახვას პოვებს ანგარიშგებაში მოგება-ზარალის შესახებ. საწარმოს სამეურნეო ოპერაციებით მიღებული შემოსავლებისა და ხარჯების დაპირისპირებით განისაზღვრება ფინანსური შედეგი – მოგება ან ზარალი.

როგორც ვხედავთ, სამეურნეო ოპერაციები გავლენას ახდენს ბალანსის და მოგება-ზარალის ანგარიშგების ელემენტებზე, ეს ორი ანგარიშგება კი მჭიდრო კავშირშია.

III თავი. ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდი

ყველა მეცნიერებას აქვს თავისი საგნის შესწავლის სპეციფიკური მეთოდი და ხერხები. ამ მხრივ არც ბუღალტრული აღრიცხვაა გამონაკლისი. ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდი არის იმ წესების და ხერხების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს სამეურნეო პროცესების განხორციელებისას აქტივების, ვალდებულებების და კაპიტალის ფულად საზომ ერთეულში გამოსახვას.

ამისათვის ბუღალტრული აღრიცხვა იყენებს სპეციფიკური მეთოდის ელემენრებს:

ა) დოკუმენტაცია და ინვენტარიზაცია;
ბ) შეფასება და კალკულაცია;
გ) ანგარიშთა სისტემა და ორმაგი ჩაწერა;
დ) ბალანსი და ანგარიშგება.

3.1. დოკუმენტაცია და ინვენტარიზაცია

საწარმოში მიმდინარე სამეურნეო ოპერაციები მოითხოვს მათ გაფორმებას სათანადო დოკუმენტებში. დოკუმენტი ლათინური სიტყვაა და რაიმე სამეურნეო ფაქტის

მოხდენის წერილობითი დადასტურებაა. იგი განსხვავებული შინაარსის, სპეციფიკური მოხაზულობის და ზომის ქაღალდია, რომელიც ასახავს თითოეულ სამეურნეო ოპერაციას ან ოპერაციათა ჯგუფს.

დოკუმენტი შედგება რეკვიზიტებისგან. იგი დასმული კითხვაა რომელზეც პასუხი უნდა იქნას გაცემული. იმის მიხედვით თუ რას ასახავს დოკუმენტი მათ განსხვავებული შინაარსი და რეკვიზიტები აქვთ. დოკუმენტში აუცილებლად მოცემული უნდა იყოს საწარმოს დასახელება და მისამართი, თარიღი, მხარეთა დასახელება და დამოწმებული უნდა იყოს საწარმოს მრგვალი ბეჭდით.

ბუღალტრული დოკუმენტების განსხვავებული ფორმა და შინაარი დამოკიდებულია სამეურნეო ოპერაციის შინაარსზე, რაც მოითხოვს მათი შედგენის და გაფორმების წესის განსხვავებას. დოკუმენტების კლასიფიკაცია სხვადასხვა ნიშნის მიხედვით ხდება.

შინაარსის მიხედვით – ამ შემთხვევაში მხედველობაში მიიღება მათში ასახული აღერიცხვის ობიექტები.

დანიშნულების მიხედვით – შეიძლება იყოს განკარგულებითი, აღსრულებითი, კომბინირებული და ბუღალტრული დოკუმენტები.

მოცულობის მიხედვით – დოკუმენტები არისპირველადი და ნაერთი ანუ კრეფსითი.

გამოყენების მიხედვით – არის ერთჯერადი და მაგროვებელი.

შედგენის ადგილის მიხედვით – შიდა დოკუმენტი და გარე დოკუმენტი. დოკუმენტები უნდა გაფორმდეს სამეურნეო ოპერაციების მოხდენისთანავე და უნდა ასახავდეს რეალურ მონაცემებს. მისი შედგენის სისწორეზე პასუხს აგებს აღნიშნულ დოკუმენტზე ხელის მომწერი. დოკუმენტში რაიმე სახის გადაშლა, ამოფხეკა, გადასწორება დაუშვებელია. მაგრამ თუ აღმოჩნდა შეცდომა, ის სათანადო წესით უნდა შესწორდეს. გაურკვევლობის შემთხვევაში კი უნდა მოხდეს დოკუმენტის ბუღალტრული გაუქმება და უნდა შედგეს ახალი დოკუმენტი.

დოკუმენტი, რომელიც ჩაბარდება ბუღალტერიას უნდა შემოწმდეს გაფორმების სისწორის მხრივ, შევსებულია თუ არა ყველა რეკვიზიტი და აქვს თუ არა მას შესაბამის პასუხისმგებელ პირთა ხელმოწერა. შემდეგ მოწმდება რამდენად შეესაბამება დოკუმენტის მონაცემები სახელშეკრულებო მოთხოვნებს და ბოლოს ხდება დოკუმენტის შემოწმება არითმეტიკულად. შეცდომების აღმოჩენის შემთხვევაში იგი უბრუნდება შესასწორებლად ან შესაცვლელად მის ჩამბარებელს. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა დამუშავდეს ბუღალტრულად. თუ ოპერაციის მოხდენის შესახებ დოკუმენტი არ არსებობს ეს ოპერაცია ვერ პოვებს ბუღალტრულ ასახვას.

ბუღალტრული დოკუმენტები სათანადო დამუშავების შემდეგ იკინძება, იკერება წიგნებად და ინახება არქივში.

განვიხილოთ რამოდენიმე ბუღალტრული დოკუმენტი:

სალაროს შემოსავლის ორდერი – ეს დოკუმენტი გამოიყენება სალაროშიფულადი საშუალებების მიღებისას, იწერება ერთ ცალად. სალაროს შემოსავლის ორდერს ხელს აწერს მთავარი ბუღალტერი და მოლარე თანხის მიღებაზე. დოკუმენტს მარჯვენა მხარეს აქვს მოსახევი ქვითარი სადაც იგივე რეკვიზიტებია მოცემული. ეს ქვითარი მთავარი ბუღალტრის და მოლარის ხელმოწერის და მრგვალი ბეჭდის დასმის შემდეგ ეძლევა ფულის შემომტანს, როგორც გასამართლებელი საბუთი.

სალაროს გასავლის ორდერი – სალაროს გასავლის ორდერი იწერება ერთ ცალად. იგი წარმოადგენს მოლარისადმი დავალებას, რომ სალაროდან გასცეს ფული. ამ დოკუმენტში იწერება ვისზე გაიცა ფული, რა დანიშნულებით და თანხის მიმღების პირადი მონაცემები.

ჩეკი – იწერება ერთ ცალად და გამოიყენება ბანკიდან სალაროში ნაღდი ფულის გამოსატანად. ჩეკში არ შეიძლება გადასწორება და გაურკვევლობა, მასში იწერება ვის გამოაქვს თანხა ბანკიდან, მისი პიროვნების დამადასტურებელი მონაცემები, თანხა სიტყვებით და ციფრით, ჩეკის

მეორე გვერდზე მითითებული უნდა იყოს ბანკიდან გამოსატანი თანხის დანიშნულება, ჩეკზე ხელს აწერს საწარმოს ხელმძღვანელი და საწარმოს მთავარი ბუღალტერი, დამოწმებულია ბეჭდით. იგივე მონაცემები გადაიტანება ჩეკის ყუაზე, რომელიც რჩება საჩეკო წიგნში. ჩეკის გამოყენების ვადაა 10 დღე რომლის გამოუყენებლობის შემთხვევაში იგი უნდა გაუქმდეს.

საგადასახადო დავალება – ეს დოკუმენტი წარმოადგენს დავალებას ბანკისადმი გადამხდელის ანგარიშიდან ჩამოწეროს საგადასახადო დავალებაში მითითებული თანხა და გადაურიცხოს მიმღებს.

ანგარიშ-ფაქტურა – ინვოისი - გამოიწერება მიმწოდებელი ორგანიზაციის მიერ მყიდველის სახელზე.

ხელფასის უწყისი – ამ დოკუმენტით ხდება პერსონალთან ანგარიშსწორება, მასში მოცემულია: დარიცხული ხელფასი, დაკავებები და ხელზე გასცემი თანხა.

სამეურნეო ფაქტების მრავალრიცხოვნობის გამო სხვადასხვა სამეურნეო ოპერაციების გასაფორმებლად სხვადასხვა დოკუმენტი გამოიყენება. დოკუმენტები, ბუღალტერიაში დამუშავების შემდეგ შენახვას ექვემდებარება. დოკუმენტების მოძრაობა მოიცავს შემდეგ სტადიებს:

დოკუმენტის შედგენა;

დოკუმენტის მიღება ბუღალტერიაში;

დოკუმენტების დამუშავება;

დოკუმენტების არქივში შენახვა.

დოკუმენტების მოძრაობას მათი შედგენის ადგილიდან არქივში ჩაბარებამდე დოკუმენტბრუნვა ეწოდება. ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზაცია საწარმოში წარმოუდგენელია დოკუმენტების მოძრაობის ოპტიმალური სქემის შედგენის გარეშე, რომელსაც ადგენს საწარმოს მთავარი ბუღალტერი. პირველადი დოკუმენტების ინფორმაცია გროვდება და მათი სისტემატიზაცია ხდება სააღრიცხვო რეგისტრებში. ზოგიერთი ბუღალტრული დოკუმენტი ათი წლის განმავლობაში ინახება.

ინვენტარიზაცია არის ეკონომიკური რესურსების ფაქტიური მდგომარეობის დადგენის და სააღრიცხვო მონაცემებში არსებულთან შედარების პროცესი. ინვენტარიზაციით ვლინდება გარკვეულ პერიოდში საწარმოს მიერ გაყიდული ეკონომიკური რესურსების მდგომარეობა და ასევე დატაცების ფაქტები.

ბუღალტრული დოკუმენტები ასახავენ საწარმოს აქტივების და მათი წარმოქმნის წყაროების მდგომარეობას. სამეურნეო ოპერაციების განხორციელებისას გამოიყენება საწარმოს ეკონომიკური რესურსები. აღნიშნული რესურსები ძირითადად მოთავსებულია საწყობში, შენახვის პროცესში შესაძლებელია მათი ბუნებრივი დანაკარგი, მიღება- გასვლისას დაშვებული უზუსტობები, შეიძლება დაშვებული იქნას არითმეტიკული შეცდომები აღრიცხვაში, ან ადგილი ქონდეს ქონების დატაცებას, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაფუჭების ფაქტები, ფულადი საშუალებების მითვისება.

ინვენტარიზაციას ატარებს საწარმოს ხელმძღვანელის მიერ ამ მიზნით შექმნილი კომისია, რომელშიც აუცილებლად მონაწილეობენ აღრიცხვის მუშაკები. საწარმოში ყოველი საანგარიშგებო პერიოდია ბოლოს აზუსტებენ ქონების და ვალდებულებების ჩამონათვალს,მის რაოდენობას და ღირებულებას. ინვენტარიზაცია შეიძლება ჩატარდეს მთელი ქონების და ვალდებულებების აღწერის გზით, მას სრულ ინვენტარიზაციას უწოდებენ.

ინვენტარიზაცია სხვადასხვა ნიშნის მიხედვით შეიძლება რამდენიმე ჯგუფად დაიყოს: მოცულობის მიხედვით, დროის მიხედვით, ჩატარების პერიოდის მიხედვით.

ინვენტარიზაცია ტარდება ფასეულობათა შენახვის ადგილების მიხედვით ცალცალკე მატერიალურად პასუხისმგებელი პირების თანდასწრებით. ინვენტარიზაციის შედეგები ფორმდება ინვენტარიზაციის უწყისით, რომელსაც საინვენტარიზაციო კომისია ადგენს. უწყისს ხელს უნდა აწერდეს კომისიის ყველა წევრი. ინვენტარიზაციის

დამთავრების შემდეგ საინვენტარიზაციო უწყისი გადაეცემა ბუღალტერიას ფასეულობათა ფაქტობრივი ნაშთების სააღრიცხვო ჩანაწერებთან შედარებისათვის.

ინვენტარიზაცია ახალ თვისებებს იძენს ფინანსურ აღრიცხვაში. ბუღალტრული აღრიცხვის პრაქტიკა იყენებს მატერი

3.2. შეფასება და კალკულაცია

კალკულაცია ლათინური წარმოშობის სიტყვაა და გამოთვლას ნიშნავს. პროდუქციის, შესრულებული სამუშაოს თვითღირებულების განსაზღვრას კალკულაცია ეწოდება.

ბუღალტრული აღრიცხვა საწარმოს ქონებას და მისი წარმოქმნის წყაროებს გამოხატავს ფულად ფორმაში, რისთვისაც გამოიყენებს სხვა სახის საზომ ერთეულებს. შეფასება ბუღალტრული აღრიცხვის ობიექტის ფულადი საზომით გამოხატვის ხერხია. მისი მიზანია სამეურნეო ფაქტის ფაქტობრივი თვითღირებულების განსაზღვრა.

პროდუქციის და შესრულებული სამუშაოს თვითღირებულება მრავალი ხარჯისაგან შედგება. სწორედ ამ ხარჯების გამოთვლას თვითღირებულების კალკულაციას უწოდებენ. რომ განვსაზღვროთ შექმნილი პროდუქციის ერთეულის თვითღირებულება საჭიროა შექმნილი პროდუქციის თვითღირებულება გავყოთ შექმნილი პროდუქციის რაოდენობაზე.

საწარმოში არსებული ყველა სახის რესურსი და მათი წარმოშობის წყარო იზომება ფულად საზომ ერთეულში. მომხდარი სამეურნეო ოპერაციების ბუღალტრულ დოკუმენტებში ჩაწერისას გამოიყენება ნატურალური და შრომითი საზომი ერთეულები. აღნიშნული საზომი ერთეულები ემსახურება მომხდარი სამეურნეო ოპერაციების ფულად

ფორმაში გადაყვანას. სამეურნეო პროცესები შეიძლება ბუღალტრული აღრიცხვის საგანს წარმოადგენდეს მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ მათი გამოსახვა შეიძლება ფულადი საზომი ერთეულით.

შეფასება მაჩვენებლების განზოგადების და ფინანსური შედეგების გამოვლენის საშუალებას იძლევა, რომლიც წარმოადგენს მომხდარი სამეურნეო ფაქტის ფაქტობრივითვითღირებულების განსაზღვრას. შეფასებით განისაზღვრება წარმოებული პროდუქციის ერთეულის, შესრულებული სამუშაოს, შეძენილი მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება.

პრაქტიკული სავარჯიშოები

ამოცანა №1

შევადგინოთ საწარმო „ბეტას“ ყოველდღიური ბალანსი.

I დღე – შეიქმნა საწარმო. საწესდებო კაპიტალი არის 25 000 ლარი. თანხა შეტანილია საბანკო ანგარიშზე.

II დღე – საწარმომ შეიძინა ავრომანქანა და გადარიცხა 5 000 ლარი.

III დღე – საწარმომ შეიძინა საქონელი 3 000 ლარის, შემდგომი გადახდის პირობით.

IV დღე – საწარმომ იყიდა კომპიუტერი და გადარიცხა 2 000 ლარი.

V დღე – საწარმომ ისესხა ბანკიდან 5 000 ლარი 2 წლით.

VI დღე – საწარმომ გადაიხადა კრედიტორული დავალიანება მთლიანად.

VII დღე – საწარმომ გაყიდა მთელი საქონელი 4 000 ლარად. ახევარი მიიღო სალაროში ნახევარი მისაღები აქვს.

VIII დღე – საწარმომ გადაიხადა იჯარის ხარჯი 500 ლარი

ამოცანა №2

შევადგინოთ შ.პ.ს. „მედიატურის“ ბალანსი ყოველი დღის ბოლოს.

დღე I – ტურისტულმა სააგენტო „მედიატურმა“ დაიწყო საქმიანობა და შეიტანა საწესდებო კაპიტალი 20 000 ლარი.

დღე II – სააგენტომ შეიძინა კომპიუტერი ნაღდი ფულით 3 000 ლარად.

დღე III – შეიძინა პრინტერი 2 000 ლარად, რომელშიც ფული არ გადაუხდია, ე.ი. კრედიტორულ დავალიანებას აქვს ადგილი.

დღე IV – შ.პ.ს. „მედიატურმა“ ბანკიდან სესხით გამოიტანა 4 000 ლარი.

მოცანა №3

შევეცადოთ შევადგინოთ საწარმოს ბალანსი ყოველი დღის ბოლოს.

დღე I- საწარმო იწყებს თავის საქმიანობას და დამფუძვნებლებმა კაპიტალის შესავსებათ შეიტანეს 22 000 ლარი.

დღე II- საწარმო ყიდულობს ავტომანქანას 6 000 ლარად და იხდის ნაღდ ფულს.

დღე III – საწარმო ყიდულობს 4 000 ლარად საქონელს და იხდის ნაღდ ფულს.

დღე IV – საწარმო ყიდის წინა დღეს ნაყიდი საქონლის მთლიან მარაგს 5 000 ლარად ნაღდ ანგარიშზე.

დღე V – გადახდილია იჯარის თანხა 1 000 ლარი.

დღე VI – საწარმო ყიდულობს 3 000 ლარის ღირებულების საქონელს შემდგომი გადახდის პირობით.

დღე VI- საწარმო ყიდულობს მე-6 დღეს ნაყიდი საქონლის ნახევარს 2 000 ლარად კრედიტში (ღირებულების

შემდგომი გადახდის პირობით)

დღე VIII – საწარმომ გადაუხადა თავის სავაჭრო კრედიტორს 3 000 ლარად.

დღე IX - საწარმო იღებს გრძელვადიან სესხს 8 000 ლარს 15 თვის ვადით.

დღე X – საწარმო იღებს თავის 2 000 ლარს თავის სავაჭრო დებიტორისაგან.

დღე XI – საწარმომ გადაიხადა რეკლამის ხარჯი 500 ლარი.

ამოცანა № 4

შ.პ.ს. „მარი“ საკონდიტრო საწარმოა, იგი დაარსდა 2011 წლის 1 აპრილს. აპრილის თვეში ადგილი ჰქონდა შემდეგ ოპერაციებს:

1 აპრილი – დაარსდა შ.პ.ს. „მარი“. დამფუძვნებლებმა ბანკში საწარმოს საწარმოს სახელზე გახსნეს ანგარიში, რომელზეც შეიტანეს 50 000 ლარი.

2 აპრილი – კომპიუტერული ფირმა „ალტასგან“ შეიძინეს კომპიუტერი ოფისისათვის, მისი ღირებულება 7 500 ლარია. ფული გადახდილია ანგარიშსწორების ანგარიშიდან.

5 აპრილი – შეძენილია ავტომანქანა. საბანკო ანგარიშიდან გადახდილია 12 000 ლარი.

6 აპრილი – შეძენილია ფირმა „ელიტა“-საგა საოფისე ტექნიკა ღირებულებით 7 000 ლარის, შემდგომი გადახდის პირობით.

10 აპრილი – გადახდილია ფირმა „ელიტა“-ზე 4 000 ლარი.

15 აპრილი – შ.პ.ს. „მარიმ“ აიღო სესხად 10 000 ლარი „საქართველოს ბანკი“-დან.

25 აპრილი – საწარმომ შეიძინა მანქანა-დანადგარები 5 900 ლარად უნაღდო ანგარიშსწორებით.

27 აპრილი – საწარმომ შეიძინა 4 000 ლარის საქონელი.

ფული გადახდილია ანგარიშსწორების ანგარიშიდან.

28 აპრილი –საწარმომ გაყიდა წინა დღეს ნაყიდი საქონლის ნახევარი 3 500 ლარად.

30 აპრილი – შ.პ.ს. „მარიმ“ გადაიხადა საიჯარო ქირა 1 500 ლარი.

ამოცანა №5

შევადგინოთ საწარმო „ლუკას“ ბალანსი ყოველი დღის ბოლოს.

I დღე – დამფუძვნებელმა საწესდებო კაპიტალის შესაბამისად სალაროში შეიტანა 10 000 ლარი.

II დღე –საწარმომ შეიძინა 3 000 ლარის საქონელი შემდგომი გადახდის პირობით.

III დღე - „ლუკამ“ შეიძინა ოფისის აღჭურვილობა და გადაიხადა ნაღდი ფული 2 500 ლარი.

IV დღე – საწარმომ აიღო ბანკის სესხი 2 000 ლარი.

V დღე – საწარმომ გაყიდა მეორე დღეს შეძენილი საქონელი 4 000 ლარად ნაღდ ანგარიშზე.

VI დღე – „ლუკამ“ გადაიხადა საიჯარო ქირა 500 ლარი.

VII დღე – საწარმომ გადაიხადა მეორე დღეს შეძენილი საქონლის თანხა მთლიანად.

VIII დღე- „ლუკამ“ შეიძინა ავტომანქანა 4 500 ლარად ნაღდი ანგარიშსწორებით.

ამოცანა №6

შევადგინოთ შ.პ.ს. „ვესტას“ ბალანსი ყოველი დღის ბოლოს.

I დღე – საწარმო იწყებს საქმიანობას. დამფუძვნებლებმა შეიტანეს 20 000 ლარი.

II დღე – შ.პ.ს.-მ შეიძინა კომპიუტერი ნაღდი ანგარიშსწორებით, რომელშიც გადაიხადა 3 500 ლარი.

III დღე – საწარმომ შეიძინა ავტომანქანა 5 000 ლარად.

ნახევარი გადაიხადა ნაღდი ანგარიშსწორებით, ნახევარი გადასახდელი აქვს.

IV დღე – შ.პ.ს. „ვესტამ“ შეიძინა საქონელი ნაღდი ანგარიშსწორებით 3 000 ლარად.

V დღე – საწარმომ აიღო ბანკის სესხი 4 000 ლარი 15 თვის ვადით.

VI დღე - „ვესტამ“ გაყიდა მეოთხე დღეს შეძენილი საქონლის მესამედი 3 000 ლარად. ღირებულების შემდგომი მიღების პირობით. ე.ი. ფული არ მიუღია.

VII დღე – საწარმომ გაყიდა დარჩენილი საქონელი 2 000 ლარად. ნახევარი ნაღდ ფულზე, ნახევარი მისაღები აქვს.

VIII დღე – შ.პ.ს. „ვესტამ“ გადაიხადა რეკლამის ხარჯი 270 ლარი.

ბალანსის მუხლების დალაგების წესი (პრაქტიკული სავარჯიშოები)

ამოცანა №7

დაალაგეთ ბალანსის მუხლები აქტივებად და ვალდებულებებად:

1. ფული სალაროში;
2. შენობა;
3. ბანკის სესხი
4. მოწყობილობები;
5. სატრანსპორტო საშუალებები;
6. დებიტორული დავალიანება;
7. სავაჭრო კრედიტორი.

ამოცანა №8
დაალაგეთ მუხლები აქტივებად და პასივებად:

1. ბანკის სესხი;
2. საწესდებო კაპიტალი;
3. კრედიტორული დავალიანება;
4. ოფისის აღჭურვილობა;
5. ფული ბანკში;
6. მოგება;
7. ძირითადი საშუალებები
8. ბანკის გრძელვადიანი სესხი;
9. ფული სალაროში;
10. ჩვეულებრივი აქციები;
11. მარაგები.

ამოცანა №9

იპოვეთ შეცდომა:

აქტივი	პასივი
სატრანსპორტო საშუალებები	მანქანა-დანადგარები
საგადასახადო ვალდებულებები	პარტნიორთა კაპიტალი
გრძელვადიანი სესხები	კრედიტორული დავალიანება
საკუთარი კაპიტალი	დებიტორული დავალიანება
ოფისის აღჭურვილობა	მოგების გადასახადი
მოგება	მარაგები
საშემოსავლო გადასახადი	შენობა-ნაგებობები

ამოცანა №10

მოცემულია შ.პ.ს. „ლუკას“ სააღრიცხვო მონაცემები 2010 წლის 31 დეკემბრისათვის. გამოთვალეთ ფულის სი-

დიდე და შეადგინეთ ბალანსი.

შენობა – 35 000
მიწა – 6 000
მანქანა – დანადგარები – 15 000
ფული – ?
კრედიტორული დავალიანება – 7 000
დებიტორული დავალიანება – 5 000
გადაცახდელი ხელფასი – 500

ამოცანა №11

მოცემულია საწარმო „ბეტა“-ს საბალანსო მუხლები 2011 წლის 30 სექტემბრისათვის:

მიწა ----------100 000
შენობა ----------30 000
ოფისის აღჭურვილობა--------5 000
სავაჭრო მოთხოვნები----------8 000
ფული ---------- ?
კაპიტალი ----------90 000
სავაჭრო ვალდებულებები----- 40 000
ბანკის სესხი ----------20 000

დავალება: შეადგინეთ საბალანსო ანგარიშგება და გამოთვალეთ ფულის ოდენობა.

ამოცანა №12

მოცემულია საწარმო „ნიკე“-ს საბალანსო მუხლები 2012 წლის 31 მარტისათვის შეადგინეთ ბალანსი და გამოთვალეთ სავაჭრო ვალდებულების მოცულობა.

1. შენობა ----------30 000
2. ოფისის აღჭურვილობა ----------15 000
3. მარაგები----------20 000
4. კაპიტალი ---------- 50 000

5. ბანკის სესხი ----------40 000
6. სავაჭრო ვალდებულება ---------- ?
7. საქონელი ----------10 000
8. სავაჭრო მოთხოვნები ---------- 25 000
9. გადასახდელი ხელფასი ---------- 7 000
10. ფული ---------- 10 000

ამოცანა №13

დაალაგეთ მუხლები აქტივებად და პასივებად

1. ძირითადი საშუალებები;
2. ბანკის მოკლევადიანი სესხი;
3. ფული სალაროში;
4. ოფისის აღჭურვილობა;
5. საწესდებო კაპიტალი;
6. გრძელვადიანი სესხი;
7. აქციები;
8. დებიტორული დავალიანება;
9. მიწა;
10. გადასახდელი ხელფასები
11. ნედლეული და მასალები;
12. შენობა
13. კრედიტორული დავალიანება;
14. ფული ეროვნულ ვალუტაში;

ამოცანა №14

საწარმო „ვესტა“-ს მონაცემებით შეადგინეთ ბალანსი და გამოთვალეთ პარტნიორთა კაპიტალის თანხა.

შენობა – 20 000
პარტნიორთა კაპიტალი - ?
ფული საბანკო ანგარიშზე – 2 000
მიწა – 9 000

მანქანა-დანადგარები – 4 000
ნაღდი ფული სალაროში – 3 000
ოფისის აღჭურვილობა – 2 000
კრედიტორული დავალიანება – 1 000
ავტომობილი – 7 000
დებიტორული დავალიანება – 2 350
მოკლევადიანი სესხები – 2 140
საქონელი – 1140
საგადასახადო ვალდებულებები – 350
საკუთარი კაპიტალი – 3 350
დაუმთავრებელი წარმოება – 2 203

ამოცანა № 15

შ.პ.ს. „საბას“ მოცემულ ბალანსში მუხლების განაწილებაში არის დაშვებული შეცდომები. დაალაგეთ მუხლები სწორად აქტივებად და ვალდებულებებად და გამოთვალეთ დებიტორული დავალიანების თანხა.

აქტივი	პასივი
საწესდებო კაპიტალი – 70 000	დებიტორული დავალიანება - ?
ფული ეროვნულ ვალუტაში – 5 540	ავტომობილი – 7 000
კრედიტორული დავალიანება – 3150	გადასახდელი ხელფასები – 3 000
ბანკის გრძელვადიანი სესხი –3 400	ნაღდი ფული სალაროში – 100
მარაგები – 1 800	საქონელი –10 000
მანქანა-დანადგარები – 5 500	გადასახდელი % - 200
მასალები – 6 200	შენობა – 17 500

ამოცანა №16
დაალაგეთ საწარმოს ფინანსური ანგარიშგების სტრუქტურა ვერტიკალური ფორმატით

აქტივები

მოკლევადიანი აქტივები

1. ფული
2. ფასიანი ქაღალდები
3. სავაჭრო მოთხოვნები მინუს: საეჭვო ვალები
4. სათამასუქო მოთხოვნები
5. სასაქონლო მარაგები
6. წინასწარ გადახდილი ხარჯები

ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი

მოკლევადიანი ვალდებულებები

1. ბანკის (მოკლევადიანი) ვალი
2. დარიცხული ვალდებულებები
3. სავაჭრო ვალდებულებები
4. სათამასუქო ვალდებულებები

სულ მოკლევადიანი აქტივები
ძირითადი საშუალებები
დანადგარები და მოწყობილობები (შენობა, ჩარხები, ავტომობილები, საოფისე ავეჯი და სხვა)
მინუს: დაგროვილი ცვეთა
მიწა
სულ ძირითადი საშუალებები
არამატერიალური აქტივები
სავაჭრო მარკა
პატენტი (ტექნოლოგიურ პროცესებზე ან გამოგონებაზე)
ლიცენზია
საავტორო უფლებები
გუდვილი
სულ არამატერიალური აქტივები
სულ აქტივები

სულ მოკლევადიანი ვალდებულებები

გრძელვადიანი ვალდებულებები
სათამასუქო ვალდებულებები (გრძელვადიანი)
ბანკის ვალი (გრძელვადიანი)
ობლიგაციები
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები
საკუთარი კაპიტალი
აქციონერების საკუთარი კაპიტალი (გამოშვებულ აქციათა რაოდენობა)
გაუნაწილებელი მოგება
სულ საკუთარი კაპიტალი
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი

ამოცანა № 17

დაალაგეთ საწარმოს საბალანსო ანგარიშგების სტრუქტურა ჰორიზონტალური ფორმატით.

აქტივები

მოკლევადიანი აქტივები

ფული

ფასიანი ქაღალდები

სავაჭრო მოთხოვნები

მინუს: საეჭვო ვალების კორექტირება

სათამასუქო მოთხოვნები

სასაქონლო მარაგები

წინასწარ გადახდილი ხარჯები

სულ მოკლევადიანი აქტივები

ძირითადი საშუალებები

საწარმოს მოწყობილობები

მინუს: ცვეთა

ავტოტრანსპორტი

მინუს: ცვეთა

სულ ძირითადი საშუალებები

არამატერიალური აქტივები

სავაჭრო მარკა

გუდვილი

პატენტი (ტექნოლოგიურ პროცესებზე ან გამოგონებაზე)

ლიცენზია

საავტორო უფლებები

ფირმის დაფუძვნების ხარჯები

სულ არამატერიალური აქტივები

სულ აქტივები

სააკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები

საკუთარი კაპიტალი

აქციონერების საკუთარი კაპიტალი (გამოშვებულ აქციათა რაოდენობა)

გაუნაწილებელი მოგება

სულ საკუთარი კაპიტალი

ვალდებულებები

მოკლევადიანი ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები

სათამასუქო ვალდებულებები
გადასახდელი ხელფასები
გადასახდელი გადასახადები
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები
გრძელვადიანი ვალდებულებები
სათამასუქო ვალდებულებები
ბანკის ვალი (გრძელვადიანი)
ობლიგაციები
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები
სულ ვალდებულებები
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები

IV თავი.ბუღალტრული ანგარიშები

ბუღალტრული ანგარიში არის სააღრიცხვო ინფორმაციის ჩაწერის, დაგროვების და შენახვის სისტემა. იგი მიმდინარე ასახვის, კონტროლის და დაჯგუფების ხერხია. ბუღალტრულ ანგარიშზე აისახება აქტივების, საწესდებო კაპიტალის და ვალდებულებების ცვლილებები. ხერხს რომლის საშუალებითაც ხდება ამ ცვლილების ასახვა დიგრაფიული ანუ ორადი ასახვა ჰქვია. ამ ხერხის არსი მდგომარეობს იმაში, რომ სამეურნეო ოპერაციაში ასახული თანხა ჩაიწერება მინიმუმ ერთი ანგარიშის დებეტში და ერთი ანგარიშის კრედიტში.

ორმაგი გატარების სისტემა რენესანსის ეპოქაში შეიქმნა. მისი პირველი აღწერა 1494 წელს გამოიყენა ფრანცისკანელმა ბერმა, ლეონარდო და ვინჩის ახლო მეგობარმა ლუკა პაჩოლიმ. ეს სისტემა ორმაგობის პრინციპს ემყარება, რომლის თანახმად ყველა ეკონომიკური მოვლენა ერთმანეთის გამბათილებელი ორი ქმედებით აღიწერება: გადიდება – შემცირება, ყიდვა – გაყიდვა, წარმოქმნა – გა-

ქრობა, და ა.შ.

საწარმოში მომხდარი ყველა სამეურნეო ოპერაცია ცვლილებებს იწვევს საწარმოს აქტივებში და მათი წარმოშობის წყაროებში. აქტივების, კაპიტალი და ვალდებულებების თითოეულ მუხლს ეხსნება ცალკე ანგარიშები.

ბუღალტრული ანგარიში საწარმოს აქტივების და პასივების შესახებ ინფორმაციის შენახვის და დაჯგუფების სპეციალური სისტემაა. ანგარიშები სპეციალური მოხაზულობის ცხრილებია. მას ხსნიან ბუღალტრული ბალანსის მონაცემების საფუძველზე საანგარიშო პერიოდის დასაწყისისთვის. ბალანსის თითოეულ მუხლს ეხსნება ცალკე ანგარიშები. ბალანსს, რომლის მონაცემების საფუძველზეც იხსნება ანგარიშები საწყისი ბალანსი ეწოდება. საწარმოში საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საჭიროების მიხედვით ხდება ანგარიშების გახსნა დამატებით.

ანგარიშის უმარტივეს სახეს T(ტე) ანგარიში წარმოადგენს. იგი სამი ელემენტისგან შედგება: 1) ანგარიშის სათაური; 2) მარცხენა მხარე (დებეტი); 3) მარჯვენა მხარე „კრედიტი“. ასეთი ანგარიშები ორგვერდიანი ანგარიშებია და გამოიყენება მხოლოდ სასწავლო დაწესებულებებში.

რას შეეხება საწარმოებს ისინი გამოიყენებენ ერთ გვერდიან ანგარიშებს, რომელსაც აქვს შემდეგი სახე:

ცხრილი №1

მთავარი წიგნი (რეგისტრი)

ანგარიშის დასახელება №

თარიღი		ში-ნაარსი	აღნიშვნა გადატა-ნაზე	დებეტი	კრედიტი	სალდო

აქტივების, ვალდებულებების და კაპიტალის ამსახველ ანგარიშებზე ზრდა და კლება სხვადასხვანაირად აისახება. ანგარიშებს, რომლებიც ეხსნება აქტივების მუხლებს და ხარჯებს აქტიური ანგარიშები ეწოდება, ხოლო ანგარიშებს რომელიც ეხსნება პასივის მუხლებს და შემოსავლებს პასიური ანგარიშები ეწოდება. ამავე დროს შემოსავლების და ხარჯების ამსახველი ანგარიშები დროებითი ანგარიშებია.

აქტიურ ანგარიშებში საწყისი ნაშთი, ზრდა და საბოლოო ნაშთი დებეტის მხარეს იწერება, ხოლო პასიურ ანგარიშში პირიქით კრედიტის მხარეს.

აქტიური	
დებეტი საწყისი ნაშთი (+)	კრედიტი (-)
დებეტის რუნვა	კრედიტის ბრუნვა
საბოლოო ნაშთი	

პასიური	
დებეტი (-)	კრედიტი საწყისი ნაშ- თი (+)
დებეტის ბრუნვა	კრედიტის ბრუნვა
	საბოლოო ნაშთი

აქტიურ ანგარიშში, რომ გამოვიყვანოთ საბოლოო ნაშთი საჭიროა საწყის ნაშთს დავუმატოთ დებეტის ბრუნვა და გამოვაკლოთ კრედიტის ბრუნვა და დავწეროთ დებეტის მხარეს.

პასიურ ანგარიშში, რომ გამოვიყვანოთ საბოლოო ნაშთი საჭიროა საწყის ნაშთს დავუმატოთ კრედიტის ბრუნვა და გამოვაკლოთ დებეტის ბრუნვა და დავწეროთ კრედიტის მხარეს.

თუ საწარმო ფუნქციონირებას იწყებს მიმდინარე პერიოდში მას საწყისი ნაშთები არ ექნება, ხოლო საბოლოო ნაშთები შეადგენს ბალანსის შედგენის საფუძველს. საილუსტრაციოდ გამოვიყენოთ სალაროს ანგარიში.

სალარო (1110)

ს.ნ. 2 000 1) 3 000 3) 5 000	2) 1 500 კ
დ.ბრ. 8 000	კრ. ბრ. 1 500
ს.ნ. 8 500	

აღნიშნული ანგარიშის დებეტის მხარე ასახავს სალაროში შემოსავალს,

ხოლო კრედიტის მხარე აჯამებს სალაროდან გასავალს. მიმდინარე პერიოდში ანგარიშზე დარჩენილი საბოლოო ნაშთები მომავალი პერიოდისათვის წარმოადგენს საწყის ნაშთს.

შემოსავლებისა და ხარჯებში მიმდინარე ცვლილების ასახვისათვის გამოიყენება შემოსავლების და ხარჯების ამსახველი ანგარიშები. შემოსავლების ამსახველი ანგარიშები თავისი ბუნებით პასიური ანგარიშის მსგავსია, ხოლო ხარჯების ამსახველი ანგარიშები აქტიურის მსგავსი. შემოსავლების ზრდა იწვევს კაპიტალის გაზრდას, ხოლო ხარჯების გაზრდა კაპიტალის შემცირებას

შემოსავლების ანგარიში

დ.	კ.
შემოსავლების შემცირება ↓ კაპიტალის შემცირება	შემოსავლების ზრდა ↓ კაპიტალის ზრდა

ხარჯების ანგარიში

დ.	კ.
ხარჯების ზრდა ↓ კაპიტალის შემცირება	ხარჯების შემცირება ↓ კაპიტალის ზრდა

ბუღალტრულ ანგარიშებში მომხდარი სამეურნეო ოპერაციების ასახვა ემყარება ორმაგი ჩაწერის პრინციპს. ეკონომიკური რესურსებისა და მათი წარმოშობის წყაროებში სამეურნეო ოპერაციების გავლენა ორადი ხასიათისაა, ანუ იწვევს ზრდას ან შემცირებას. ამიტომ ეს ცვლილებები აუცილებელია აისახოს ორგან, ერთი რომელიმე ანგარიშის დებეტში და ერთი რომელიმე ანგარიშის კრედიტში. ასეთ კავშირს ბუღალტრული გატარება ეწოდება. ანგარშების ერთმანეთთან კავშირს კი ანგარიშთა კორესპოდენცია ჰქვია.

ორმაგი ჩაწერა არის სამეურნეო ოპერაციებით გამოწვეული ცვლილებების ერთი და იმავე თანხით ერთი ანგარიშის დებეტში და მეორე ანგარიშის კრედიტში ჩაწერა. ერთი და იმავე თანხის ჩაწერა ანგარიშის დებეტსა და კრედიტში საფუძვლად უდევს სადებეტო და საკრედითო ბრუნვების ჯამის ტოლობას.

რეალურ საწარმოში ყოველდღიურედ უამრავი სამეურნეო ოპერაცია ხორციელდება რომელთა ჩაწერაც მოითხოვს ანგარიშების დიდ რიცხვს. ბუღალტრული ანგარიშები ერთმანეთისგან განსხვავდებიან: ეკონომიკური შინაარსით, ფუნქციებით და დანიშნულებით. ასეთი განსხვავება მოითხოვს ანგარიშების ჩამოყალიბებას გარკვეული სისტემით, რომელსაც ანგარიშთა გეგმა ეწოდება (იხილეთ დანართი).

ანგარიშთა გეგმის განყოფილებებია:

10 00 ---------- მიმდინარე აქტივები;
20 00 ---------- გრძელვადიანი აქტივები
30 00 ---------- მიმდინარე ვალდებულებები;
40 00 ---------- გრძელვადიანი ვალდებულებები;
50 00 ---------- საკუთარი კაპიტალი;
60 00 --------- საოპერაციო შემოსავლები;
70 00 --------- საოპერაციო ხარჯები;
80 00 --------- არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები;
90 00 --------- განსაკუთრებული შემოსავლები და ხარჯები.

ანგარიშების კლასიფიკაცია – აღრიცხვაში გამოსაყენებელიანგარიშების შერჩევა დამოკიდებულია საწარმოს საქმიანობის ხასიათზე და წარმოების ორგანიზაციაზე. ბუღალტრული ანგარიშების კლასიფიკაცია არის მათი დაჯგუფება სხვადასხვა ნიშნის მიხედვით. ანგარიშების კლასიფიკაციისათვის გამოიყენება შემდეგი ნიშნები:

1.ფინანსურ ანგარიშგებასთან დამოკიდებულების მიხედვით – ანგარიშები არის ნომინალური და რეალური. რეალური ანუ მუდმივი ანგარიშებია ის ანგარიშები რომელზედაც არის სალდო და გადაიტანება ბალანსში, ხოლო ნომინალური ანუ დროებითი ანგარიშები ეწოდება იმ ანგარიშებს რომლებიც ასახავენ საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საკუთატი კაპიტალის ცვლილებას.

2. ბუღალტრულ ბალანსთან დამოკიდებულების მიხედვით – ანგარიშები არის საბალანსო და ბალანს გარეშე. საბალანსო არის ისეთი ანგარიშები, რომლებიც ასახავენ საწარმოს აქტივებსა და მათი წარმოქმნის წყაროებში მომხდარ ცვლილებებს. ისინი ბალანსში შეიტანება და მათ მთავარ ანგარიშებსაც უწოდებენ.

ბალანსგარეშე ანგარიშები გამოიყენება ისეთი რესურსების აღსარიცხავად, რომლებიც საწარმოში დროებით ირიცხებიან და მის კუთვნილებას არ წარმოადგენს და არც საკუთარი საწარმოო საჭიროებისათვის გამოყენების უფლება არ აქვთ. ისინი აღირიცხებიან ბალანსის ცხრილის გარეთ. ასეთი ანგარიშებია: საკომისიოდ მიღებული საქონელი, მოკლევადიანი იჯარით აღებული ძირითადი საშუალებები, გადასამუშავებლად მიღებული საქონელი.

ბალანსგარეშე ანგარიშებში სამეურნეო ოპერაციებით გამოწვეული ცვლილების ჩაწერა ხდება არა ორმაგი ჩაწერის წესით არამედ ერთმაგი ჩაწერის ანუ უნიგრაფიული მეთოდის გზით. ბალანსგარეშე ანგარიშები აქტიური ანგარიშებია, რადგან ისინი აღრიცხავენ მატერიალურ ფასეულობებს მათი მიღება ჩაიწერება დებეტის მხარეს, ხოლო გაცემა კრედიტის მხარეს.

3. ანგარიშები მასში ასახული ობიექტების განზოგადების ზომისა და ბუღალტრულ რეგისტრებთან დამოკი-

დებულების მიხედვით – არის სინთეზური და ანალიზური ანგარიშები. აღრიცხვაში გამოიყენება ზოგიერთი ანგარიშები რომლებიც აღრიცხვის ობიექტს ასახავენ განზოგადებულად. ისინი ბუღალტრული აღრიცხვის მთავარ რეგისტრში (წიგნში) განთავსდებიან და მათ მთავარი წიგნის ანგარიშებს უწოდებენ.

ზოგიერთი ანგარიში აქტივებს და ვალდებულებებს წარმოგვიდგენს დანაწევრებულად, თითოეული კონკრეტული ობიექტის მიხედვით, როგორც ნატურალურ ისე ფულად საზომ ერთეულში. ასეთი ანგარიშები თავსდებიან არა მთავარ წიგნში არანედდამხმარე წიგნში. დამხმარე რეგისტრი (წიგნი) ცალკე იწარმოება მთავარი რეგისტრის (წიგნის) ერთი რომელიმე ნაერთი ანგარიშისათის. მაგალითად ცალკე დამხმარე რეგისტრი (წიგნი) იწარმოება ანგარიშისათვის „მოთხოვნები მიწოდებით და მომსახურებით“. ასეთ დამხმარე რეგისტრში თითოეულ დებიტორს ცალკე ანგარიში გაეხსნება. ასევე, ცალკე დამხმარე რეგისტრი იწარმოება მთავარი რეგისტრის ნაერთი ანგარიშისთვის „ ვალდებულებები მიწოდებით და მომსახურებით“.

5. ანგარიშები ეკონომიკური შინაარსის მიხედვით:

ა) აქტივების ამსახველი ანგარიშები;

ბ) საკუთარი კაპიტალის ამსახველი ანგარიშები;

გ) ვალდებულებების ამსახველი ანგარიშები;

დ) შემოსავლების ამსახველი ანგარიშები;

ე) ხარჯების ამსახველი ანგარიშები.

აქტივების ამსახველი ამსახველი ანგარიშები აქტიური ანგარიშებია ისინი

თავის მხრივ იყოფა: ძირითადი საშუალებების ანგარიშებად და საბრუნავი საშუალებების ანგარიშებად.

ძირითადი საშუალებების ამსახველ ანგარიშებს მიეკუთვნება ძირითადი საშუალებების ანგარიშები ჯგუფების მიხედვით. ამ ანგარიშებზეაღირიცხება საწარმოს განკარგულებაში არსებული საწარმოო და არასაწარმოო დანიშნულების ძირითადი საშუალებები, მათი მოძრაობა და არსებობა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში პირვანდელი ანუ ისტორიული ღირებულებით. ანგარიშე-

ბის ამავე ჯგუფს მიეკუთვნება არამატერიალური აქტივების ანგარიშები.

საბრუნავი საშუალებების ამსახველი ანგარიშებია: სასაქონლო – მატერიალური მარაგების ანგარიშები; ფულადი საშუალებების ამსახველი ანგარიშები და მოთხოვნების ანგარიშები.

საკუთარი კაპიტალის ამსახველი ანგარიშები ასახავენ საწარმოს რესურსების ფორმირების საკუთარ წყაროებს. ისინი თავისი ბუნებით პასიური ანგარიშებია. ასეთ ანგარიშებს მიეკუთვნება: საწესდებო კაპიტალის ანგარიში, სარეზერვო კაპიტალის ანგარიში გაუნაწილებელი მოგების ანგარიში და ა.შ.

ვალდებულებების ამსახველი ანგარიშები წარმოადგენენ საწარმოს მოზიდული სახსრების წყაროებს ისინი პასიური ანგარიშებია. მოზიდული საშუალებების ამსახველი ანგარიშები იყოფა ნასესხებ საშუალებათაანგარიშებად, რომლებიც ასახავენ საწარმოს ვალდებულებებს საკრედიტო დაწესებულებების, სხვა საწარმოების, ორგანიზაციების ან პირების მიმართ. ასეთი ანგარიშებია:მოკლევადიანი სესხების ანგარიშები და გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებების ანგარიშები.

მოზიდულ საშუალებათა წყაროების ამსახველი ანგარიშების მეორე ჯგუფს მიეკუთვნება სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების ამსახველი ანგარიშები. ამავე ჯგუფს მიეკუთვნებასაგადასახადო ვალდებულებების ამსახველი ანგარიშები.

შემოსავლების ამსახველი ანგარიშები ასახავენ საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საწარმოს მიერ მიღებულ აღიარებულ შემოსავლებს. შემოსავალი საწარმომ შეიძლება მიიღოს საოპერაციო, ანუ ძირითადი საქმიანობიდან და არასაოპერაციო და გაუთვალისწინებელი შემოსავლის სახით.

საოპერაციო, ანუ ძირითადი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის აღსარიცხავად გამოიყენება ანგარიში – შემოსავალი რეალიზაციიდან. არასაოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების აღსარიცხავად გა-

მოიყენება ანგარიშები, რომლებიც ასახავენ შემოსავლებს ცალკეული სახეობის მიხედვით. მაგალითად; საპროცენტო შემოსავლის ანგაარიში, დივიდენდის ანგარიში და სხვა.

ასევე გაიხსნება გაუთვალისწინებელი შემოსავლების ამსახველი ანგარიშები მათი ცალკეული სახეების მიხედვით. შემოსავლების ამსახველი ანგარიშები თავისი ბუნებით პასიური ანგარიშებია.

ხარჯების ამსახველი ანგარიშები გამოიყენება საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საწარმოს მიერ გაწეული ხარჯების აღსარიცხავად. თავისი ბუნებით ისინი აქტიური ანგარიშებია. ხარჯების ამსახველი ანგარიშები საწარმოს საქმიანობის მიხედვით ჯგუფდება ისინი იყოფიან საოპერაციო, ანუ ძირითადი საქმიანობის, არასაოპერაციო საქმიანობის დაგაუთვალისწინებელი ანუ არაორდინალური საქმიანობის ხარჯების ამსახველ ანგარიშებად.

საოპერაციო ანუ ძირითადი საქმიანობის ხარჯების ამსახველი ანგარიშები იყოფა:

1.პროდუქციის (საქონლის) თვითღირებულების ამსახველ ანგარიშებად;

2.მიწოდების ხარჯების ამსახველ ანგარიშებად;

3.საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების ამსახველ ანგარიშებად.

სავარჯიშოები

ამოცანა №18

ავსახოთ ცვლილებები მხოლოდ სალაროს ანგარიშზე:

1. დამფუძვნებელმა ბანკში თავისი ანგარიშიდან მოხსნა თანხა 9 000 ლარი და შეიტანა სალაროში.
2. გაცემულია ანგარიშვალდებულ პირზე 1 300 ლარი საქონლის შესაძენად.
3. სალაროდან ბანკში შეტანილია 3 000 ლარი.
4. დამფუძვნებელმა სალაროდან გადაიხადა იჯარის ქირა 600 ლარი

5. კრედიტში შეძენილია ნედლეული და მასალები 3 250 ლარის.
6. ბანკიდან გადარიცხულია მოგების გადასახადი 150 ლარი.
7. დაფარულია კრედიტორული დავალიანება სალაროდან1 250 ლარი, საბანკო ანგარიშიდან 2 000 ლარი.

ამოხსნა:

შევასრულოთ გატარებები დღეების მიხედვით:

1. დებეტი – სალარო – 9 000
   კრედიტი – ბანკი – 9 000
2. დებეტი – ანგარიშვალდებული პირი – 1 300
   კრედიტი – სალარო – 1 300
3. დებეტი – ბანკი – 3 000
   კრედიტი –სალარო – 3 000
4. დებეტი – საიჯარო ქირა – 600
   კრედიტი – სალარო – 600
5. დებეტი – ნედლეული და მასალები – 3 250
   კრედიტი – კრედიტორული დავალიანება – 3 250
6. დებეტი - მოგების გადასახადი – 150
   კრედიტი – ბანკი -150
7. დებეტი – კრედიტორული დავალიანება – 3 250
   კრედიტი - სალარო – 1 250
   კრედიტი – ბანკი – 2 000

ვინაიდან ამოცანა ითხოვს ავსახოთ ცვლილებები მხოლოდ სალაროს ანგარიშზე, ამის შესაბამისად გავუხსნათ ანგარიში მხოლოდ სალაროს.

დ.	სალარო	კ.
1)9000		2) 1300 3) 3000 4) 600 7) 1250
დ.ბრ. 9 000		კ.ბრ. 6 150
ს.ნ. 2 850		

ამოცანა № 19

ავსახოთ ცვლილებები მხოლოდ საბანკო ანგარიშზე. შ.პ.ს. „ვესტას“ 2012 წლის ივლისის თვის ოპერაციები:

1 ივლისი – დამფუძვნებელმა გახსნა ბანკში ანგარიშსწორების ანგარიში და საწესდებო კაპიტალის შესავსებად შეიტანა 50 000 ლარი;

5 ივლისი – შ.პ.ს. „მარჩენალი“-საგან შეიძინა მიწის ნაკვეთი საწარმოო მიზნებისათვის 25 000 ლარად. ფული გადაიხადა ანგარიშსწორების ანგარიშიდან;

7 ივლისი – შეძენილია კრედიტით მასალები კომპანია „შოდი 09“- სგან 3 000 ლარად;

15 ივლისი – რეალიზატორმა შემოიტანა სალაროში 4 000 ლარი;

22 ივლისი – გაცემულია ანგარიშვალდებულ პირზე სალაროდან 2 000 ლარი საქონლის შესაძენად;

28 ივლისი – სალაროდან ბანკში შეტანილია 2 000 ლარი.

ამოცანა №20

შ.პ.ს. „ეგრისს“ 2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით გააჩნია შემდეგი საბალანსო მუხლები:

ა) მიწა, რომლის ღირებულებაა	22 000
ბ) შენობა	28 000
გ) ავტომანქანა	5 500
დ) ოფისის აღჭურვილობა	5 800
ე) ნედლეული და მასალები	1 300
ვ)საქონელი 7 000	
ზ) გადასახდელი მოგების გადასახადი	2 200
თ) გადასახდელი ქონების გადასახადი	613

ი) კრედიტორული დავალიანება	2 300
კ) ბანკის გრძელვადიანი სესხი	7 800

დავალება:

ა) განსაზღვრეთ მფლობელთა კაპიტალის მოცულობა;

ბ) გახსენით ბუღალტრული ანგარიშები და ჩაწერეთ შესაბამისი საწყისი ნაშთები.

ამოცანა № 21

საწარმოს მაგალითზე მოახდინეთ ბუღალტრული გატარებები და გახსენით T ანგარიშები. გამოთვალეთ ბრუნვები:

1. დაარსდა საწარმო. დამფუძნებელებმა კაპიტალის შესავსებად შეიტანეს ბანკში 20 000 ლარი;
2. კრედიტში შეძენილია 8 000 ლარის ღირებულების ავტომობილი;
3. ბანკიდან სალაროში შეტანილია 700 ლარი;
4. აღებულია სესხი 5 000 ლარი 2 წლის ვადით – თანხა საბანკო ანგარიშზეა;
5. ნაღდი ანგარისსწორებით შეძენილია 500 ლარის ნედლეული და მასალები;
6. გადარიცხულია ბანკის გრძელვადიანი სესხი 1 000 ლარი;
7. გაცემულია სალაროდან ანგარიშვალდებულ პირზე 200 ლარი საქონლის შესაძენად;
8. გადარიცხულია იჯარის თანხა 750 ლარი;
9. ანგარისვალდებულმა პირმა შეიძინა 150 ლარის საქონელი, დარჩენილი თანხა 50 ლარი დააბრუნა სალაროში;
10. გადარიცხულია საშემოსავლო გადასახადი 200 ლარი.
11. ბანკიდან გაცემულია ხელფასები 800 ლარი.

ამოცანა №22

რობერტ მეიერმა 2006 წლის 6 მაისს დაარსა საწარმო „მერკური“. მაისის თვეში ადგილი ჰქონდა შემდეგ ოპერაციებს:

7 მაისი – დამფუძვნებელმა საწესდებო კაპიტალის შესავსებად ბანკში გახსნა ანგარიში და შეიტანა 20 000 ლარი;

8 მაისი – ბანკიდან გამოიტანა 8 000 ლარი და შეიტანა სალაროში;

10 მაისი – მეიერმა გადაიხადა საიჯარო ქირა 500 ლარი;

11 მაისი – საწარმომ შეიძინა კომპიუტერი, რომელშიც გადაიხადა 1 200 ლარი;

12 მაისი – საწარმომ შეიძინა 1 500 ლარის საქონელი, რომელშიც ფული არ გადაუხდია.

14 მაისი – შეძენილია 1 350 ლარის ნედლეული და მასალები. 750 ლარი გადახდილია ნაღდი ანგარიშსწორებით, დანარჩენი ვალია;

15 მაისი – საწარმომ უნაღდო ანგარიშსწორებით შეიძინა 1 300 ლარის საოფისე აღჭურვილობა;

17 მაისი – რეალიზებულია 2 350 ლარად საქონელი. 1 000 ლარი საბანკო ანგარიშზე ჩაირიცხა. დანარჩენი მისაღებია;

25 მაისი – რობერტ მეიერმა ნაღდი ანგარიშსწორებით შეიძინა ავტოფურგონი 4 000 ლარად.

ამოცანა № 23

ახსენით ქვემოთ მოცემული ბუღალტრული გატარებები:

1. დებეტი – ბანკი – 15 000
   კრედიტი – საწესდებო კაპიტალი – 15 000
2. დებეტი – სალარო – 4 500
   დებეტი – ბანკი – 4 500

კრედიტი – ბანკის გ/სესხი – 9 000

3. დებეტი – სალარო – 1 150
   კრედიტი – ბანკი – 1 150
4. დებეტი – საქონელი – 1 330
   კრედიტი – ბანკი – 1 330
5. დებეტი – ავტომობილი – 7 000
   კრედიტი – კრედიტორული დავალიანება – 7 000
6. დებეტი – მოგების გადასახადი – 300
   კრედიტდი – ბანკი – 300
7. დებეტი – შენობა – 7 000
   კრედიტი – სალარო – 2 000
   კრედიტი – ბანკი – 3 500
   კრედიტი – კრედიტორული დავალიანება – 1 500
8. დებეტი – ხელფასის საშემოსავლო გადასახადი – 60
   კრედიტი – ბანკი – 60
9. დებეტი – ხელფასი – 240
   კრედიტი – სალარო – 240
10. დებეტი – კრედიტორული დავალიანება – 1 500
    კრედიტი – ბანკი – 1 500

ამოცანა № 24

ქვემოთ მოცემული საწარმო „ეგრისის“ 2010 წლის მონაცემების მიხედვით მოახდინეთ შესაბამისიბუღალტრული გატარებები და ავსახოთ ცვლილებები მხოლოდ საბანკო ანგარიშზე. გამოვთვალეთ საბოლოო ნაშთი საბანკო ანგარიშზე, თუ საწყისი ნაშთი ბანკში იყო 3 200 ლარი.

1) სალაროდან ბანკში შეტანილია - 4 300 ლარი;
2) შეძენილია კომპიუტერი გადარიცხვით – 1 800;
3) გადარიცხულია ბანკის მოკლევადიანი სესხი – 700 ლარი
4) ბანკიდან სალაროში შემოტანილია – 800 ლარი;
5) გადარიცხულია მოგების გადასახადი – 1 000 ლარი;

6) შეძენილია ავეჯი – 3 000 ლარის. 1 500 ლარი გაისტუმრა საწარმომ სალაროდან, 1 500 ლარი გადაირიცხა საბანკო ანგარიშიდან;
7) აღებულია 2 წლიანი სესხი 3 500 ლარი თანხა საბანკო ანგარიშზეა;
8) გასტუმრებულია კრედიტორული დავალიანება 3 000 ლარი გადარიცხვით.

V თავი. სააღრიცხვო ციკლი. საწარმოს სამეურნეო საქმიანობის შემადგენელი ოპერაციების აღრიცხვა

5.1. სააღრიცხვო ციკლის დახასიათება

სააღრიცხვო ციკლი არის პერიოდი რომლის განმავლობაში ხდება სააღრიცხვო

დამუშავების დაწყება და დასრულება, მისი შემადგენელი ეტაპებია:

1. პირველადი დოკუმეენტების შეგროვება, რომლის საფუძველზეც ბუღალტრულ აღრიცხვაში აისახება მომხდარი სამეურნეო ოპერაციები;
2. ოპერაციების ანალიზი, იგი გულისხმობს პირველადი დოკუმენტების შესწავლას და შესაბამისი ბუღალტრული გატარების ანუ მუხლის შედგენას;
3. სამეურნეო ოპერაციების რეგისტრაცია. ოპერაციების ჩაწერა მთავარ ჟურნალში შესაბამისი ანგარიშის და თანხის ჩვენებით, ანგარიშის დებეტში და ანგარიშის კრედიტში;
4. ჩანაწერების გადატანა მთავარი ჟურნალიდან ბუღალტრულ რეგისტრში – მთავარ წიგნში, აგრეთვე დამხმარე რეგისტრებში;
5. საცდელი ბალანსი. იგი მზადდება ანგარიშების დებეტისა და კრედიტის ჩანაწერების ტოლობის შემოწმების და ფინანსური ანგარიშგების მომზადების გაადვილების მიზნით. საცდელი ბალანსი წარმოადგენს

პერიოდის ბოლოსათვის მთავარი წიგნის ანგარიშების სალდოების არასისტემატიზებულ ჩამონათვალს;

6. ფინანსური ანგარიშგება. საცდელი ბალანსის საფუძველზე მზადდება ბალანსი, ანგარიშგება მოგება-ზარალის შესახებ, ანგარიშგება კაპიტალის მოძრაობის შესახებ. დაბოლოს ანგარიშგება ფულადი ნაკადების მოძრაობის შესახებ.

სამეურნეო ოპერაციბის ჩაწერა ბუღალტრულ ანგარიშებში საკმაოდ რთული და შრომატევადია. სანამ დავიწყებთ ოპერაციების ჩაწერას ბუღალტრულ ანგარიშებში მანამდე ყურადღებით უნდა შემოწმდეს ბუღალტრული დოკუმენტები. ხომ არ აკლიათ მათ რაიმე კომპონენტი, რადგან ისინი წარმოადგენენ ჩანაწერების საფუძველს.

ბუღალტრული დოკუმენტები ბუღალტერმა უნდა მოაწესრიგოს, დაალაგოს ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ერთგვაროვანი ნიშნით. შემდგომი ნაბიჯი არის დოკუმენტების ანალიზი ანუ იმის გამოკვლევა რომელ საადრიცხვო ელემენტს შეეხო ცვლილება.

მაგალითად მომწოდებელმა ორგანიზაცია „ორიონმა“ მოგვაწოდა სამშენებლო მასალები 3 000 ლარის შემდგომი გადახდის პირობით. ამ მოვლენის დამადასტურებელი საბუთები იქნება შემოსავლის ზედდებული და მომწოდებელი ორგანიზაციის ანგარიშფაქტურა. ოპერაცია შინაარსობლივად ასაბუთებს ზრდას. შესაბამისად საწარმოს გაეზარდა რესურსები და ამავე დროს გაეზარდა ვალი „ორიონის“ მიმართ ეს პროცესი შემდეგნაირად ჩაიწერება:

დებეტი – მასალები (1620) – 3 000
კრედიტი – მომწოდებელი ორგანიზაცია „ორიონი“ (3110) – 3 000

1620	
3 000	

3110	
	3 000

განხილული სამეურნეო ოპერაციით ერთმანეთს ორი ანგარიში დაუკავშირდა. სამეურნეო ოპერაციების შედეგად ორი ან მეტი ანგარიშის კავშირს ანგარიშთა კორესპოდენცია ეწოდება.

დიდი საწარმოები დღის განმავლობაში ასობით საქმიან გარიგებებში იღებენ მონაწილეობას. საწარმოს საალრიცხვო სისტემის მიერ ხდება მხოლოდ დოკუმენტებში გარიგებების დაფიქსირება, რომლებიც შემდგომ გადადის სპეციალურად შექმნილ დოკუმენტებში (ანგარიშებში). ხოლო საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მათი საშუალებით ხდება ერთი ძირითადი საბალანსო ანგარიშგების მომზადება.

თითოეულ ანგარიშს ეხსნება ცალკე ბარათი ან ცალკე ფურცელი. ესფურცლები და ბარათები, ანუ ცალკეული ანგარიშები ერთად იკინძება შეკრულია წიგნებად, ინახება და მას მთავარი დავთარი ან მათავარი საბუღალტროწიგნი ჰქვია.

სამეურნეო ოპერაციები გადიან რეგისტრაციის სამ ეტაპს:

1. დოკუმენტის ანალიზი;
2. რეგისტრაციის ჟურნალში ჩაწერა;
3. ჩანაწერის გადატანა მთავარ დავთარში.

სანამ მოვამზადებთ ფინანსურ ანგარიშგებას სამეურნეო ოპერაციები გაივლიან შემდეგ საფეხურებს:

პირველადი დოკუმენტი	→	რეგისტრაციის ჟურნალი	→	ფინანსური ანგარიშგება

5.2,სამეურნეო ოპერაციების რეგისტრაცია

საწარმოს ყოველი გარიგება იწერება სპეციალურ საბუღალტრო დავთარში, ხოლო შემდეგ ინფორმაცია გადაიქვთ მთავარ საბუღალტრო წიგნში, რომლის საშუალებით საანგარისგებო პერიოდის ბოლოს მზადდება ფინანსური ანგარიშგება.

პირველადი დოკუმენტების ანალიზის შემდეგ მომხდარი სამეურნეო ოპერაციების რეგისტრაცია ხდება მთავარ სარეგისტრაციო ჟურნალში. იგი შენდეგი სახისაა.

შ.პ.ს. „ორიენტირი“

მთავარი ჟურნალი

თარიღი		ოპერაციის შინაარსი და კომენტარები	ანგ. №	დებეტი	კრედიტი
თვე	რიცხვი				
1	2	3	4	5	6

საჟურნალო გატარება არის აღრიცხვის მთავარ ჟურნალში ბუღალტრული ინფორმაციის რეგისტრაცია, ჟურნალის ტიპი და მათი საჭირო რაოდენობა კონკრეტული საწარმოს საქმიანობით განისაზღვრება. რეგისტრაციის ჟურნალს აქვს მხოლოდ ორი ფულადი სვეტი დეებეტი და კრედიტი და იგი გამოიყენება ნებისმიერი საქმიანი გარიგების გასატაებლად.

ჟურნალის წარმოების წესი:

1) თარიღის სვეტში იწერება წელი, შემდეგ თვე და რი-

ცხვი. თვის დამთავრების შემდეგ იწერება ახალი თვე;

2) სადებეტო ანგარიშის დასახელება კეთდება უშუალოდ თარიღის შემდეგ სვეტში. პირველ სტრიქონში, თარიღის სვეტთან მაქსიმალურად ახლოს. იმავე სტრიქონის შესაბამის სვეტში შეაქვთ ანგარიშის № და დებეტის სიდიდე;
3) საკრედიტო ანგარიშის დასახელება კეთდება სადებეტო დასახელების ანგარიშის ქვემოთ ოდნავ მარჯვნივ შეწეული. ეს გაწევა ანგარიშის დაკრედიტების მაჩვენებელია;
4) გატარებას, რომელიც ერთზე მეტ დებეტურ ან კრედიტულ მონაცემს შეიცავს, რთული ანუ შედგენილი საბუღალტრო გატარება ეწოდება. მათი რაოდენობისგან დამოუკიდებლად ყოველი დებეტური გატარება იწერება კრედიტული გატარების წინ;
5) კრედიტული გატარების შემდეგ თარიღის სვეტთან მაქსიმალურად ახლოს იწერება გარიგების მოკლე შინაარსი;
6) ყოველი გარიგების გატარების შემდეგ საჭიროა ერთი სტრიქონის გამოტოვება, რათა მოხდეს გატარებული გარიგებების გამოცალკევება.

სავარჯიშო

ამოცანა № 25

მოცემულია საწარმო „თოლიას“ სამეურნეო ოპერაციები.

დავალება: მოცემული სამეურნეო ოპერაციები ჩაწერეთ შესაბამისი ბუღალტრული გატარებით, აწარმოეთ რეგისტრაციის ჟურნალი, გახსენით T ანგარიშები.

1. დაფუძვნდა საწარმო „თოლია“ საწესდებო კაპიტალი 29 000 ლარია. ეს არის ფული საბანკო ანგარიშზე.
2. უნაღდო ანგარიშსწორებით შეძენილია 12 000 ლარის ღირებულების მანქანა დანადგარები;

3. კრედიტში შეძენილია 3 000 ლარის ავეჯი;
4. შეძენილია 9 000 ლარის ავტოფურგონი საბანკო ანგარიშიდან;
5. ბანკიდან შემოტანილია სალაროში 3 200 ლარი;
6. შეძენილია 5 000 ლარის საქონელი. 1 500 ლარი საწარმომ გაისტუმრა სალაროდან, 2 500 ლარი საბანკო ანგარიშიდან, დანარჩენი ვალია;
7. გადარიცხულია 2 000 ლარი კრედიტორული დავალიანება.

ამოხსნა:

მოვახდინოთ მოცემული სამეურნეო ფაქტის ყოველი დღის დეტალური ანალიზი. შევასრულოთ გატარებები;

1. დებეტი – ბანკი – 29 000
   კრედიტი – საწესდებო კაპიტალი – 29 000
2. დებეტი – მანქანა-დანადგარები – 12 000
   კრედიტი – ბანკი – 12 000
3. დებეტი – ავეჯი – 3 000
   კრედიტი – კრედიტორული დავალიანება – 3 000
4. დებეტი – ავტოფურგონი – 9 000
   კრედიტი – ბანკი 9 000
5. დებეტი – სალარო – 3 200
   კრედიტი – ბანკი - 3 200
6. დებეტი - საქონელი - 5 000
   კრედიტი – სალარო 1 500
   კრედიტი – ბანკი – 2 500
   კრედიტი – კრედიტორული დავალიანება – 1 000
7. დებეტი – კრედიტორული დავალიანება – 2 000
   კრედიტი – ბანკი – 2 000

გავხსნათ რეგისტრაციის ჟურნალი

№	თარიღი	ოპერაციის შინაარსი	ანგარიშის №	დებეტი	კრედიტი
1	2	3	4	5	6
1	დღე 1	ბანკი საწ. კაპიტა- ლი	1210 5150	29 000	 29 000
2	დღე 2	მანქანა- დანადგარები ბანკი	2150 1210	12 000	 12 000
3	დღე 3	ავეჯი კრედიტორუ- ლი დავალიანება	2170 3110	3 000	 3 000
4	დღე 4	ავტოფურ- გონი ბანკი	2180 1210	9 000	 9 000
5	დღე 5	სალარო ბანკი	1110 1210	3 200	3 200
6	დღე 6	საქონელი სალარო ბანკი კრ. დავალი- ბა	1610 1110 1210 3110	5 000	1 500 2 500 1 000
7	დღე 7	კრ. დავა- ლიანება ბანკი	3110 1210	2 000	2 000

საწარმო „თოლიას“ მოცემული სამეურნეო ფაქტის ყოველი დღის დეტალური ანალიზის შემდეგ T ანგარიში ეხსნება საწარმოში არსებულ ყველა ანგარიშს.

დ. ბანკი	კ.
1). 29 000	2). 12 000 4) 9 000 5) 3200 6) 2500 7) 2000
დ. ბრ. 29000 ნ. 300	კ. ბრ. 28 700

დ. საწ. კაპიტალი	კ.
	1) 29 000
	კ. ბრ. 29 000 ნ. 29 000

დ. მანქანა დანადგარი.	კ
2)12 000	
ბრ.12 000 ნ. 12 000	

დ.	ავტოფურგ.	კ
4)9 000		
ბრ.9 000 ნ. 9 000		

დ. ავეჯი	კ.
3)3 000	
ბრ. 3 000 ნ. 3 000	

დ.	სალარო	კ.
5)3 200	6)1500	
ბრ.3200 ნ. 1700	ბრ.1500	

დ. საქონელი	კ.
6)5 000	
ბრ.5000 ნ.5000	

დ.	კრ.	დავალ.	კ.
		3)3000 6)1000	
7)2000			
ბრ. 2000		ბრ. 4000 ნ. 2000	

ამოცანა № 26

1. საწარმო „თოლიამ“ გაზარდა საწერდებო კაპიტალი 12 000 ლარით. საბანკო ანგარიშზე 8 000 ლარი შეიტანა, სალაროში 4 000 ლარი.
2. შეძენილია კომპიუტერი კრედიტში 3 000 ლარად.
3. საწარმომ უნაღდო ანგარიშსწორებით შეიძინა 2 300 ლარის ღირებულების ავეჯი.
4. ანგარიშვალდებულ პირზე სალაროდან გაცემულია 700 ლარი საქონლის შესაძენად.
5. ანგარიშვალდებულმა პირმა შეიძინა 570 ლარის საქონელი, დანარჩენი დააბრუნა სალაროში.
6. შეძენილია დაზგა-დანადგარი 2 000 ლარად ნახევარი გადახდილია გადარიცხვით, ნახევარი გადასახდელი აქვს საწარმოს.
7. დაფარულია კრედიტორული დავალიანება ანგარიშსწორების ანგარიშიდან 1 000 ლარი.

დავალება: მოახდინეთ შესაბამისი ბუღალტრული გატარებები. აწარმოეთ რეგისტრაციის ჟურნალი, გახსენით T ანგარიშები. ნაშთები გადმოიტანეთ წინა სავარჯიშოდან და გამოიყვანეთ საბოლოო ნაშთები.

5.3. აღრიცხვის მთავარი ჟურნალიდან მონაცემების მთავარ დავთარში გადატანა

ბუღალტრული ინფორმაციის მთავარი ჟურნალიდან მთავარ დავთარში გადაწერის პროცესს გადატანის პროცედურა ეწოდება. სასწავლო დაწესებულებებში ეს პროცესი არის T ანგარიშების გახსნა, ხოლო საწარმოში არსებულ ანგარიშებს აქვს შემდეგი სახე:

აღრიცხვის მთავარი დავთარი

ანგარიშის №

თარიღი	ანგარიშის დასახელება და აღწერა	დებეტი	კრედიტი	ნაშთი

ანგარიშებში გადატანის პროცედურა გულისხმობს თითოეული გარიგების დებეტური ნაწილის გადატანას დებეტირებადი ანგარიშის დებეტის სვეტში ხოლო კრედიტული ნაწილი კრედიტირებადი ანგარიშის კრედიტის სვეტში.

მთავარ საბუღალტრო წიგნში (დავთარში) იწერება გარიგების თარიღი, გარიგების მოკლე აღწერა და აღრიცხვის მთავარი ჟურნალის იმ გვერდის ნომერი, რომლიდანაც ხდება ბუღალტრული ინფორმაციის გადატანა.

გადატანის პროცედურის განხილულ წესს გამოიყენებენ ხელით მომუშავე ბუღალტრები. ამ სამუშაოს გაცილებით სწრაფად და უშეცდომოდ ასრულებს კომპიუტერი.

საცდელი ბალანსის მომზადება. მთავარ საბუღალ-

ტრო წიგნში შემავალ ყველა ანგარიშზე საბოლოო ნაშთების დათვლის შემდეგ ხდება საცდელი ბალანსის მომზადება – საცდელი ბალანსი არის მთავარ საბუღალტრო წიგნში შემავალი ყველა ანგარიშისა და მათი ნაშთების ორსვეტიანი ჩამონათვალი, დალაგებული მთავარ წიგნში ანგარიშთა თანმიმდევრობის მიხედვით. დებეტური ნაშთები შეაქვთ მარცხენა სვეტში, კრედიტული ნაშთები მარჯვენა სვეტში. ანგარიშებს რომლებსაც ნულოვანი ნაშთები აქვთ საცდელ ბალანსში არ შეიტანება.

საცდელი ბალანსის შედგენის მიზანია:

1. თავი მოუყაროს ყველა ანგარიშს;
2. შეამოწმოს დებეტების და კრედიტების ტოლობა.

საანგარიშო პერიოდის ბოლოს საბალანსო ანგარიშგების მომზადებამდე ჯერ ამზადებენ საცდელ ბალანსს. იმისგამო, რომ თითოეული გარიგების დებეტი და კრედიტი ტოლია ტოლი უნდა იყოსსაცდელ ბალანსში დებეტების და კრედიტების ჯამი.თუ ეს პირობა სრულდება ხდება საბალანსო ანგარიშგების მომზადებაზე გადასვლა.

თუმცა დებეტის და კრედიტის ტოლობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ანგარიშებში შეცდომა არ არის დაშვებული. შეიძლება რომელიმე ოპერაცია იყოს გამოტოვებული ან გადატანილი სხვა ანგარიშზე ან ორჯერ გატარებული. თუ საცდელ ბალანსში დებეტის და კრედიტის თანხების ტოლობა დარღვეულია ესეიგი დაშვებულია შეცდომა და იგი უნდა მოიძებნოს.

შეცდომების მოსაძებნად საჭიროა:

1) შემოწმდეს ჯამი ხელახლა;
2) განისაზღვროს დებეტის და კრედიტის სვეტებს შორის სხვაობა;
3) შემოწმდეს ყველა ანგარიშის ჯამი სწორად არის თუ არა შეტანილი;
4) საცდელ ბალანსში ანგარიშების რაოდენობა შეუდარდეს მთავარი წიგნის ანგარიშების რაოდენობას;
5) ხელახლა ვიანგარიშოთ ანგარიშების ყველა ნაშთი;

6) შემოწმდეს რეგისტრაციის ჟურნალიდან ყველა გადატანა მთავარ დავთარში.

ფინანსური დოკუმენტების შედგენა იწყება მას შემდეგ რაც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საწარმოს საქმიანობის ამსახველი ყველა გარიგება გატარებული იქნება აღრიცხვის მთავარ ჟურნალში და გადატანილი მთავარ საბუღალტრო წიგნში. ფინანსური ანგარიშგების უშუალოდ შედგენის წინა ახდენენ ჟურნალში გარიგებების ჩაწერის და მთავარ წიგნში ანგარიშების გადატანის სისწორეს. რისთვისაც ახდენენ ორი სახის საცდელ ბალანსის შედგენას. პირველში წარმოდგენილია მთავარი წიგნის ყველა ანგარიში ძირითადი გატარებების შესრულების შემდეგ, მას არაკორექტირებად საცდელ ბალანსს უწოდებენ. მეორე სახის საცდელ ბალანსს ადგენენ ცვეთის და სხვა სახის მაკორექტირებელი გატარებების შემდეგ. მას კორექტირებული საცდელი ბალანსი ჰქვია.

სავარჯიშოები

ამოცანა № 27

კომპანია „მზიური“ დაარსდა 2010 წელს. 2011 წლის 1 იანვარს საწარმოს გამოთვლილი ჰქონდა შემოსავლები და ხარჯები. ქვემოთ მოცემული 2010 წლის კომპანიის საბოლოო ნაშთების საფუძველზე შეადგინეთ საწარმოს საცდელი ბალანსი:

1. კაპიტალი – 8 000
2. ბანკი – 700
3. ოფისის აღჭურვილობა – 1 740
4. კრედიტორული დავალიანება – 1 500
5. ბანკის გრძელვადიანი სესხი – 2 000
6. მანქანა – დანადგარები – 3 330
7. გადასახდელი მოგების გადასახადი – 750
8. შენობა – 6 000
9. ქონების გადასახადი – 70
10. დებიტორული დავალიანება – 550

ამოხსნა:

შევადგინოთ საცდელი ბალანსი

საცდელი ბალანსი

ანგ. დასახლ/ბა	ანგ. №	დებეტი	კრედიტი
კაპიტალი	5150		8 000
ბანკი	1210	700	
ოფისის აღჭურვილობა	2160	1 740	
კრედიტორული დავალიანება	3130		1 500
ბანკის გ/სესხი	4140		2 000
მანქანა დანადგარები	2150	3 330	
გადასახდელი მოგების გადასახადი	3310		750
შენობა	2130	6 000	
ქონების გადასახადი	3380		70
დებიტორული დავალიანება	1410	550	
		12320	12320

ამოცანა №28

ქვემოთ მოცემული 2011 წლის საბოლოო ნაშთების მონაცემების მიხედვით შეადგინეთ შ.პ.ს. „მედიატურის“ საცდელი ბალანსი.

1. საწესდებო კაპიტალი – 220
2. სალარო – 310
3. მოკლევადიანი სესხი – 5 550
4. ოფისის აღჭურვილობა – 1 500
5. დებიტორული დავალიანება – 3 330
6. ქონების გადასახადი – 45
7. ბანკი – 320
8. კრედიტორული დავალიანება – 450
9. ბანკის გ/სესხი – 2330
10. ავტომანქანა – 3135

ამოცანა № 29

საფეხბურთო კლუბ „იმერეთის“ საფეხბურთო სეზონი იწყება 1 აგვისტოს. ამ თვეში ადგილი ჰქონდა შემდეგ გარიგებებს:

ა) წინასწარ იქნა გადახდილი 6 თვის საიჯარო ქირა საბანკო ანგარიშიდან 6 000 ლარი;

ბ) შეძენილია კომპიუტერი კრედიტით 1 500 ლარად;

გ) სალაროდან ბანკში შეტანილია 13 000 ლარი;

დ) აღებულია 1 წლიანი სესხი 3 220 ლარი. ნახევარი სალაროშია, ნახევარი – საბანკო ანგარიშზე

ე) უნაღდო ანგარიშსწორებით შეძენილია 2 830 ლარის ღირებულების საჭირო საოფისე აღჭურვილობა;

ვ) გადარიცხულია ხელფასის საშემოსავლო გადასახადი 200 ლარი

ზ) ნაღდი ანგარიშსწორებით გაცემულია 800 ლარის ხელფასები;

თ) აღებულია ბანკის გრძელვადიანი სესხი 4 000 ლარი. თანხა საბანკო ანგარიშზეა.

ი) სალაროში მიღებულია რეალიზაციიდან შემოსავალი 13 000 ლარი.

დავალება: მოახდინეთ შესაბამისი ბუღალტრული გა-

ტარებები. აწარმოეთ რეგისტრაციის ჟურნალი. გახსენით T ანგარიშები. გამოიყვანეთ საბოლოო ნაშთები. შეადგინეთ საცდელი ბალანსი.

ამოცანა № 30

საწარმო „ეგრისი“ დაარსადა 2012 წლის 10 იანვარს. 2013 წლის 1 იანვრისთვის ჰქონდა შემდეგი საწყისი ნაშთები: ბანკი – 3 628 ლარი; სალარო – 4 000 ლარი; დებიტორული დავალიანება – 700 ლარი; საქონელი – 452 ლარი; კომპიუტერი – 1 000 ლარი; ავეჯი – 700 ლარი; საწესდებო კაპიტალი – 2 200ლარი; ბანკის გ/სესხი – 6 480 ლარი; კრედიტორული დავალიანება – 1 800 ლარი.

1. შეძენილია ნედლეული და მასალები 3 230 ლარის. 1 230 ლარი გადახდილია ნაღდი ანგარიშსწორებით, დანარჩენი გადასახდელი აქვს საწარმოს;
2. გასტუმრებულია ბანკის გრძელვადიანი სესხი 462 ლარი გადარიცხვით;
3. აღებულია მოკლევადიანი სესხი 4 300 ლარი. ეს თანხა საბანკო ანგარიშზეა;
4. დაფარულია კრედიტორული დავალიანება 1 800 ლარი. 300 ლარი სალაროდან გაისტუმრეს, 1 500 ლარი ბანკიდან.
5. შეძენილია 2 150 ლარის საქონელი შემდგომი გადახდის პირობით;
6. დაფარულია დებიტორული დავალიანება. 250 ლარი გადაუხადეს საწარმოსნაღდი ანგარიშსწორებით, 450 ლარი ჩაერიცხასაწარმოს ბანკში.
7. შეძენილია ავტომობილი 3 700 ლარად. ნახევარი გადახდილია დაგარიცხვით. ნახევარი გადასახდელი აქვს.

დავალება: მოახდინეთ შესაბამისი ბუღალტრული გატარებები. აწარმოეთ რეგისტრაციის ჟურნალი. გახსენით T ანგარიშები. შეადგინეთ საცდელი ბალანსი.

5.4 მოგება – ზარალის ანგარიშგება და მისი შედგენის თანმიმდევრობა

მოგების მიღება ნებისმიერი საწარმოს საქმიანობის ძირითად მიზანს წარმმოად-გენს. საწარმოს ხელმძღვანელებს რეგულარულად სჭირდებათ ინფორმაცია თუ როგორ ფუნქციონირებს საწარმო დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში. საქმიანობის შეფასების უმნიშვნელოვანეს კრიტერიუმს წარმოადგენს წმინდა მოგების სიდიდე. ბუღალტრული აღრიცხვის ფუნქციაც სწორედ იმ სქემითაა მიმართული, რომ ადვილად გამოავლინოს საწარმოს ფინანსური შედეგი მოგება ზარალის სახით.

წმინდა მოგება არის დროის გარკვეულ პერიოდის განმავლობაში საერთო შემოსავლის მატება ამავე პერიოდის ხარჯებზე, წმინდა ზარალი – პირიქით. სწორედ ამ მიზნით საწარმოში მზადდება მოგება – ზარალის ანგარიშგება, რომელშიც ასახულია საანგარიშგებო პერიოდში საწარმოს მიერ გამომუშავებული და არა მხოლოდ მიღებული შემოსავლები და საწარმოს მიერ გაწეული (და არა მარტო გადახდილი) ხარჯები მათ შორის სხვაობა არის მოგება ან ზარალი.

მოგების გამოთვლის მარტივი ფორმულააშემოსავალს გამოკლებული ხარჯები.

საწარმოს შემოსავლის წყაროს წარმოადგენს საქონლის, მზა პროდუქციის, შესრულებული სამუშაოს ან გაწეული მომსახურების სანაცვლოდ მიღებული ღირებულება. შემოსავლის მიღება იწვევს საწარმოს აქტივების ან ვალდებულებების შემცირებას, მაგრამ თუ საწარმოს აქტივი გაიზარდა ეს ყოველთვის არ ხადება შემოსავლების ზრდის ხარჯზე. ეს შეიძლება გამოიწვიოს ვალდებულებების ზრდამ.

შემოსავლი საპირისპირო კატეგორიაა ხარჯი. საწარმოში ხარჯების გაწევის ფაქტი გულისხმობს შეძენილი საქონლის ან მომსახურების გამოყენებას. ხარჯი არის

კაპიტალის ღირებულების შემცირება. იგი არის რესურსების შეძენის და მოხმარების ფაქტი, ხარჯი საშუალებების ღირებულების შემცირებაა და ვალდებულებების ღირებულების გაზრდაა, მაგრამ საშუალებების ღირებულებების შემცირება ან ვალდებულებების გაზრდა ყოველთვის არ შეიძლება ჩაითვალოს ხარჯად.

ხარჯების გაწევის აუცილებლობა შემოსავლების მიღებას უკავშირდება. როგორც შემოსავლები, ასევე ხარჯები იყოფა საოპერაციო და არასაოპერაციო შემოსავლებად და ხარჯებად.

საოპერაციო ხარჯებს მიეკუთვნებაპროდუქციის ან მომსახურების შექმნასთან დაკავშირებული ხარჯები, მმართველობის ხარჯები და კომერციული ხარჯები. არასაოპერაციოს მიეკუთვნება მაგალითად საპროცენტო ხარჯი, სავალუტო-საკურსო სხვაობის ჯამი და ა. შ. ის ხარჯები, რომლებიც საწარმოში მიმდინარე ოპერაციებთან არ არის დაკავშირებული.

საოპერაციო შემოსავალი დაკავშირებულია საწარმოში პროფილიდან გამომდინარე ოპერაციებიდან მიღებულ შემოსავალთან. არასაოპერაციო შემოსავალს კი მიეკუთვნება სხვა შემოსავლები, რომელიც არ მიიღება საწარმოში მიმდინარე ძირითადი ოპერაციებიდან.

მოგება – ზარალის ანგარიშგების შედგენის წესი განვიხილოთ მაგალითზე.

მაგალითი: საწარმო „დელტას“ 2013 წლის 31 მაისისათვის აქვს საოპერაციო შემოსავალი- შემოსავალი რეალიზაციიდან – 10 000 ლარი და არასაოპერაციო შემოსავალი – საპროცენტო შემოსავალი – 5 000 ლარი; ხარჯები შეადგენს: თვითღირებულების ხარჯი - 1 500; სატელეფონო ხარჯი - 150; იჯარის ხარჯი - 500 ლარი; დაზღვევის - 700; ცვეთის ხარჯი - 740 ლარი; საპროცენტო ხარჯი - 200 ლარი.

მოგება – ზარალის ანგარიშგებას აქვს შემდეგი სახე

საწარმო „დელტა“
მოგება – ზარალის ანგარიშგება
31 მაისი 2013 წ.

ანგ. დასახელება	ანგ. №	დებეტი	კრედიტი
საოპერ. შემოსავ.			
შემოსავალი			
რეალიზაციიდან	6110		10 000
არას.პ. შემოსავალი			
საპროცენტო			
შემოსავალი	8110		5 000
სულ შემოსავალი			15 000
ხარჯები			
საოპერაციო ხარჯები			
რეალიზებული			
პრ. თვითღ.	7210	1 500	
სატელეფონო		7430	150
იჯარის ხარჯი		7420	500
დაზღვევის ხარჯი		7435	700
ცვეთის ხარჯი		7455	740
სულ საოპერაციო შემოსავალი			3590
არასაოპერაციო ხარჯები			
საპროცენტო ხარჯი		8210	200
სულ ხარჯები			3490
მოგება დაბეგვრამდე			11 210

სავარჯიშოები:

ამოცანა №31

2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ინდ. მეწარმე ბექა ქურხულს აქვს შემდეგი შემოსავლები და ხარჯები:

შემოსავალი რეალიზაციიდან – 29 000 ლარი

საიჯარო შემოსავალი – 19 000 ლარი;
რეკლამის ხარჯი – 2 300 ლარი;
საპროცენტო ხარჯი – 750 ლარი;
ხელფასის ხარჯი – 7 000 ლარი;
მასალის ხარჯი – 18 000 ლარი;
ტელეფონის ხარჯი – 933 ლარი;
ელ. ენერგიის ხარჯი – 1 200 ლარი;

აღნიშნული საწარმოს მაგალითზე გავიგოთ მოგება დაბეგვრამდე, მოგების გადასახადი და წმინდა მოგება.

ამოხსნა:

სულ შემოსავალი: 29 000 + 19 000 = 48 000

სულ ხარჯები: 2 300 + 750 + 7 000 + 18 000 + 933 + 1 200 = 30 183

გავიგოთ მოგება დაბეგვრამდე:

48 000 – 30 183 = 17 817

ვინაიდან დღევანდელი საგადასახადო კოდექსით ინდ მეწარმის საშემოსავლო გადასახადი 20 % - ია, რომ გავიგოთ ინდ მეწარმის საშემოსავლო გადასახადი საჭიროა 17 817 ლარი, ანუ მოგება დაბეგვრამდე გავამრავლოთ 20 % - ზე. მივიღებთ 3563,4 სადაც მიღებული თამხა არის საშემოსავლო გადასახადი.

ამის შემდეგ უნდა გავიგოთ წმინდა მოგება ანუ 17 817 – 3 563,4 = 14 253,6, სადაც 14 253,6 არის ინდ. მეწარმის წმინდა მოგება.

ვინაიდან შემოსავლები და ხარჯები დროებითი ანგარიშებია და ამ ანგარიშებზე არასოდეს არ გავაქვს არც საწყისი არც საბოლოო ნაშთები, პერიოდის ბოლოს უნდა მოხდეს შემოსავლების და ხარჯების გადატანა მოგებაზარალის ანგარიშზე (დახურვის გატარება)

ამოცანა № 32

2013 წლის 1 იანვარის მდგომარეობით საწარმო შ.პ.ს. „შოდა 09“ აქვს შემდეგი შემოსავლები და ხარჯები:

შემოსავალი რეალიზაციიდან – 105 000 ლარი;

ძირითადი მუშების ხელფასი –5 500 ლარი;

მძღოლის ხელფასი, რომელიც საწარმოს უწევს მომსახურებას და გადააქვს საჭირო სამშენებლო მასალები – 450;

საპროცენტო შემოსავალი – 3 330 ლარი;

ტელეფონის ხარჯი – 1 530 ლარი;

რეკლამის ხარჯი - 2 000 ლარი;

საიჯარო შემოსავალი – 8 850 ლარი;

მასალის ხარჯი – 27 770 ლარი;

იჯარის ხარჯი – 32 000 ლარი;

ელ. ენერგიის ხარჯი – 5 332 ლარი;

ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასი – 12 000 ლარი;

მანქანა-დანადგარების შეკეთებაზე დახარჯული თანხები – 1 738 ლარი;

დავალება: შეადგინეთ მოგება – ზარალის ანგარიშგება.

ამოცანა № 33

2010 წლის ივლისში ბექამ გახსნა საკონსულტაციო ფირმა და დაიწყო მომსახურების გაწევა ფინანსური აღრიცხვისა და საგადასახადო სისტემის საკითხებში. ადგილი ჰქონდა შემდეგ სამეურნეო ოპერაციებს:

1 ივლისი – მფლობელმა შეიტანა ბანკში 70 000 ლარი;

3 ივლისი – საწარმომ შეიძინა 32 000 ლარის ღირებულების შენობა. 20 000 გადაიხადა მაშინვე, ხოლო დანარჩენი კრედიტორული დავალიანებით;

7 ივლისი – უნაღდო ანგარიშსწორებით გადახდილია რეკლამის ხარჯი – 150 ლარი;

8 ივლისი – კრედიტში რეალიზებულია მომსახურება – 1 300 ლარი.

15 ივლისი – გამოტანილია ბანკიდან სალაროში 6 300 ლარი;

19 ივლისი – ნაღდი ანგარიშსწორებით შეძენილია საკანცელარიო ნივთები – 450 ლარის;

25 ივლისი – ნაღდი ანგარიშსწორებით გადახდილია ტელეფონის ხარჯი – 132 ლარი და ელ. ენერგიის ხარჯი 95 ლარი.

27 ივლისი – გაცემულია ანგარიშვალდებულ პირზე სალაროდან 320 ლარი სამეურნეო ხარჯებისათვის;

28 ივლისი – ანგარიშვალდებულმა პირმა შეიძინა ოფისისათვის 230 ლარის ინვენტარი, დანარჩენი თანხა დააბრუნა სალაროში;

30 ივლისი – უნაღდო ანგარიშსწორებით ბექამ შეიძინა 8 000 ლარის ღირებულების ავტომობილი;

31 ივლისი – მიღებულია ნაღდი ანგარიშსწორებით საიჯარო შემოსავალი 3 300 ლარი;

დავალება: მოახდინეთ შესაბამისი ბუღალტრული გატარებები. შეადგინეთ რეგისტრაციის ჟურნალი. გახსენით T ანგარიშები, შეადგინეთ საცდელი ბალანსი და მოგება – ზარალის ანგარიშგება.

ამოცანა №34

1. სათამაშო ბიზნესის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 40 000 ლარს. ეს არის ფული ბანკში 22 000 ლარი, კომპიუტერები – 15 000ლარი, ავეჯი – 3 000.
2. გამოტანილია ბანკიდან და შეტანილია სალაროში 2 000 ლარი;
3. უნაღდო ანგარიშსწორებით გასტუმრებულია საიჯარო ქირის ხარჯი 500 ლარი;
4. დარიცხულია საპროცენტო ხარჯი 100 ლარი;
5. უნაღდო ანგარიშსწორებით შეიძინა 19 000 ლარის

ღირებულების ფართი;

6. მიღებულია ნაღდი ანგარიშსწორებით საიჯარო შემოსავალი 3 700 ლარი;
7. ჩაერიცხათ საპროცენტო შემოსავალი – 1 700 ლარი.

დავალება: მოახდინეთ ბუღალტრული გატარებები.

ამოცანა № 35

საბამ გახსნა მომსახურების პროფილის საწარმო და მოახდინა 35 000 ლარის ინვესტირება სალაროში. საანგარიშგებო პერიოდში ადგილი ჰქონდა შემდეგ სამეურნეო ოპერაციებს:

1. შეძენილია ნაღდ ფულზე 7 000 ლარის ღირებულების ავტომობილი;
2. შეძენილია 3 200 ლარის ღირებულების ავეჯი ნაღდ ფულზე;
3. საბამ გადაიხადა ნაღდი ანგარიშსწორებით შენობის საიჯარო ქირა 650 ლარი;
4. მიიღო 550 ლარი ნაღდი ფული გაწეული მომსახურების სანაცვლოდ;
5. ნაღდი ანგარიშსწორებით შეიძინა 400 ლარის ნედლეული და მასალები;
6. ნაღდი ანგარიშსწორებით შეიძინა 500 ლარის საქონელი;
7. კრედიტში რეალიზებულია მომსახურება – 300 ლარის;
8. სალაროდან ბანკში შეტანილია 1 700 ლარი;
9. გადარიცხულია რეკლამის ხარჯი 200 ლარი
10. აღებულია ბანკის სესხი 2 წლის ვადით 5 000 ლარი, წლიური 18 %-იანი საპროცენტო განაკვეთით. ეს თანხა საბანკო ანგარიშზეა.
11. გაცემულია ანგარიშვალდებულ პირზე სალაროდან სამეურნეო ხარჯებისათვის 550 ლარი;
12. ანგარიშვალდებულმა პირმა შეიძინა ოფისისათვის

335 ლარის საკანცელარიო ნივთები. დანარჩენი დაბრუნა სალაროში;

13. საბამ მომსახურება გაუწია კლიენტს და სანაცვლოდ მიიღო 300 ლარი უნაღდო ანგარიშსწორებით;
14. დარიცხულია 1 თვის საპროცენტო ხარჯი;
15. საბამ გადაუხადა თანამშრომელს ხელფასი 2 500 ლარი სალაროდან;
16. საბამ დაასრულა ერთ-ერთი კლიენტის მიერ შეკვეთილი სამუშაო და გამოიმუშავა 4 200 ლარის ტოლი შემოსავალი. თანხა მიღებულია ბანკში.

დავალება: მოახდინეთ შესაბამისი ბუღალტრული გატარებები, შეადგინეთ რეგისტრაციის ჟურნალი, გახსენით T ანგარიშები. შეადგინეთ საცდელი ბალანსი და მოგება-ზარალის ანგარიშგება.

ამოცანა №36

2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოცემული გვაქვს საწარმო „მონიტორის“ საწყისი ნაშთები:

საწესდებო კაპიტალი – 30 783 ლარი; ბანკი – 20 000 ლარი; სალარო – 7 300 ლარი; ავეჯი – 3 500 ლარი; დებიტორული დავალიანება – 1 300 ლარი; კრედიტორული დავალიანება – 1 500 ლარი; ბანკის მოკლევადიანი სესხი – 1352 ლარი; ნედლეული და მასალები – 1 535 ლარი.

2012წელს ადგილი ქონდა შემდეგ სამეურნეო ოპერაციებს:

1. გადარიცხულია საიჯარო ქირის ხარჯი – 750 ლარი;
2. კრედიტში შეძენილია ავტომობილი 8 000 ლარად;
3. შეძენილია ნედლეული და მასალები – 4 300 ლარად ნაღდი ანგარიშსწორებით;
4. შეძენილია 3 200 ლარის საქონელი შემდგომი გადახდის პირობით;
5. აღებულია ბანკის 2 წლიანი სესხი 28 350 ლარი

წლიური 18 % - იანი განაკვეთით. ეს თანხა საბანკო ანგარიშზეა.

6. შეძენილია შენობა ოფისისათვის 30 000 ლარად გადარიცხვით;
7. ოფისისათვის შეძენილია 322 ლარის საკანცელარიო ნივთები ნაღდიანგარიშსწორებით.
8. შეძენილია კომპიუტერი გადარიცხვით – 2 000 ლარად;
9. დარიცხულია ორი თვის საპროცენტო ხარჯი;
10. კრედიტში რეალიზებულია 800 ლარის მომსახურება;
11. ბანკიდან გადარიცხულია ტელეფონის ხარჯი – 150 ლარი; კონსულტაციის ხარჯი – 50 ლარი; რეკლამის ხარჯი – 230 ლარი.
12. საწარმო „მონიტორმა“ დაასრულა ერთ-ერთი კლიენტის მიერ შეკვეთილი სამუშაო და გამოიმუშავა 5 000 ლარის ტოლი შემოსავალი. ნაღდი ფულის სახით მიღებული იქნა 2 300 ლარი, დანარჩენი მიღებული იქნება თვის ბოლოს.
13. მიღებულია ნაღდი ანგარიშსწორებით საპროცენტო შემოსავალი – 2 330 ლარი;
14. კრედიტში რეალიზებულია 700 ლარის მომსახურება;
15. საწარმომ ხელფასის სახით გასცა თანამშრომლებზე 800 ლარი;
16. გადარიცხულია ხელფასის საშემოსავლო 200 ლარი;
17. „მონიტორმა“ კომპანია „ვესტასგან“ კრედიტით შეიძინა ოფისის აღჭურვილობა 4 000 ლარად;
18. კრედიტში რეალიზებულია 3 200 ლარის მომსახურება;
19. „მონიტორმა“ კომპანია „ვესტას“ გადაუხადა მისგან შეძენილი საოფისე აღჭურვილობის ღირებულების ნაწილი 2 000 ლარი;

დავალება: როგორი ფინანსური მდგომარეობა ექნება საწარმო „მონიტორს“ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს?

ამოცანა № 37

საწყისი ნაშთები: საწესდებო კაპიტალი – 60 000 ლარი; შენობა – 50 000 ლარი; ოფისის აღჭურვილობა – 5 100 ლარი, ფული ბანკში – 17 000 ლარი; ფული სალაროში – 5 350 ლარი; კრედიტორული დავალიანება – 20 750 ლარი; დებიტორული დავალიანება – 3 300 ლარი. დაუმთავრებელი წარმოება - 200 ლარი

1. უნაღდო ანგარიშსწორებით შეძენილია 5 500 ლარის ღირებულების ავტომობილი;
2. ნაღდი ანგარიშსწორებით შეძენილია 4 000 ლარის საქონელი;
3. კრედიტში რეალიზებულია 3 000 ლარის თვითღირებულების საქონელი 5 000 ლარად;
4. კრედიტში შეძენილია 3 000 ლარის საქონელი;
5. უნაღდო ანგარიშსწორებით გადახდილია ტელეფონის ხარჯი – 75 ლარი; რეკლამის ხარჯი – 330 ლარი;
6. შეძენილია 70 ლარის საკანცელარიო ნივთები ნაღდი ანგარიშსწორებით
7. რეალიზებულია საქონელი 3 000 ლარის თვითღირებულების 4 000 ლარად. 2 000 ლარი მიღებულია სალაროში, დანარჩენი მისაღებია.
8. გადარიცხულია მოგების გადასახადი 150 ლარი;
9. დებიტორმა საწარმოს ჩაურიცხა 2 000 ლარი;
10. უნაღდო ანგარიშსწორებით რეალიზებულია 1 000 ლარის თვითღირებულების საქონელი 1 300 ლარად.
11. შეძენილია 800 ლარის ნედლეული და მასალები გადარიცხვით;
12. საწარმოში გადამუშავებულია 800 ლარის ნედლეული;
13. მიღებულია მზა პროდუქცია წარმოებიდან თვითღი-

რებულებით 1 000 ლარი;

14. საწარმომ დაასრულა ერთ-ერთი კლიენტის მიერ შეკვეთილი სამუშაო და გამოიმუშავა 5 530 ლარის ტოლი შემოსავალი. თანხა მიღებულია სალაროში.

დავალება: მოახდინეთ შესაბამისი ბუღალტრული გატარებები, შეადგინეთ რეგისტრაციის ჟურნალი, გახსენით T ანგარიშები, შეადგინეთ საცდელი ბალანსი და მოგება-ზარალის ანგარიშგება.

ამოცანა № 38

საწყისი ნაშთები: 1110 – 4 500; 1210 – 30 000; 1610 – 1 150; 1620 – 3 150; 3210 – 1 150; 3110 – 3 700; 5150 – 8 950; 4140 – 25 000.

1. შეძენილია 1 350 ლარის ნედლეული. 1 000 ლარი საწარმომ გადაიხადა ნაღდი ანგარიშსწორებით დანარჩენი გადარიცხა;
2. წარმოებაში გადამუშავებულია1 130 ლარის ნედლეული;
3. რეალიზებულია 1 150 ლარის საქონელი 2200 ლარად. ნახევარი მიღებული იქნა სალაროში, ნახევარი მისაღებია.
4. აღებულია ბანკის სესხი 6 თვის ვადით 2 000 ლარი, 10 % - იანი განაკვეთით. ეს თანხა საბანკო ანგარიშზეა.
5. დაერიცხა რეალიზატორს ხელფასი 500 ლარი;
6. ნაღდი ანგარიშსწორებით გადახდილია საიჯარო ქირის ხარჯი – 1 300 ლარი;
7. დარიცხულია 2 თვის საპროცენტო ხარჯი;
8. შეძენილია 700 ლარის საქონელი. 100 ლარი გადახდილია ნაღდი ანგარიშსწორებით, 350 – უნაღდო ანგარიშსწორებით, დანარჩენი ვალია.
9. 25 000 ლარად უნაღდო ანგარიშსწორებით შეძენილია შენობა;

10. საწარმოს ჩაერიცხა საპროცენტო შემოსავალი 3 300 ლარი;

დავალება: მოახდინეთ შესაბამისი ბუღალტრული გატარებები, შეადგინეთ რეგისტრაციის ჟურნალი, გახსენითT ანგარიშები, შეადგინეთ საცდელი ბალანსი და მოგება-ზარალის ანგარიშგება.

5.5. დროებითი ანგარიშები. შემოსავლების და ხარჯების გადატანა მოგება-ზარალის ანგარიშზე

შემოსავლების, ხარჯების და ამოღებული კაპიტალის ანგარიშები არის დროებითი ანგარიშები. მათ დროებითი ანგარიშები ჰქვიათ იმიტომ, რომ საანგარიშო პერიოდის დასაწყისში ხდება მათი გახსნა, ხოლო პერიოდის ბოლოს დახურვა. ამიტომ ამ ანგარიშებზე არ გვაქვს არც საწყისი და არც საბოლოო ნაშთები.

ანგარიშების დახურვა ხორციელდება მოგება-ზარალის ანგარიშის გამოყენებით. ამ ანგარიშზე ხდება შემოსავლების კრედიტული და ხარჯების დებეტური ნაშთების გადატანა და მათი დაბალანსება. მოგება-ზარალის ანგარიშის კრედიტული ნაშთი გვიჩვენებს საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საწარმოს მიერ მიღებულ წმინდა მოგებას, ხოლო დებეტური ნაშთი საანგარიშო პერიოდში მიღებულ წმინდა ზარალს.

საბუღალტრო წიგნში ნებისმიერი ანგარიშის შესაბამისი დებეტისა და კრედიტის გადატანა ხორციელდება აღრიცხვის მთავარი ჟურნალიდან (რეგისტრაციის ჟურნალი). შემოსავლების და ხარჯების ანგარიშების დახურვა საჭიროებს დამასრულებელი გატარებების შესრულებას მთავარ ჟურნალში და შემდგომ მთავარ წიგნში მოგების ჯამის ანგარიშზე მათ გადატანას. განვიხილოთ დროებითი ანგარიშების დახურვა:

I ეტაპი – შემოსავლების დახურვა. როგორც ვიცით შემოსავლების ამსახველ ანგარიშებს აქვს კრედიტული ნაშთი, მათ დასახურად ვაკეთებთ შემდეგ ბუღალტრულ გატარებას.

დებეტი - შემოსვლები

კრედითი – მოგება-ზარალის ანგარიში

II ეტაპი - ხარჯების დახურვა. ხარჯების ანგარიშს, როგორც ვიცით აქვს დებეტური ნაშთი. მათი დახურვისათვის ვაკეთებთ შემდეგ ბუღალტრულ გატარებას:

დებეტი – მ/ზ ანგარიში

კრედიტი – ხარჯები

III ეტაპი – მოგება-ზარალის ანგარიშის დახურვა- შემოსავლების და ხარჯების ანგარიშების დახურვისას მათი კრედიტული და დებეტური ნაშთები გადაგვაქვს მ/ზ ანგარიშზე. თუ საწარმოში ადგილი აქვს მოგებას ნაშთი გვექნება კრედტში და შემდეგი ბუღალტრული გატარებით მოვახდენთ მის გადატანას:

დებეტი – მ/ზ ანგარიში

კრედიტი –გაუნაწილებელი მოგება

თუ საწარმოში ადგილი აქვს სამეურნეო საქმიანობის ზარალით დამთავრებას, მაშინ ნაშთი გვაქვს დებეტში და მის განულებას მოვახდენთ შემდეგი ბუღალტრული გატარებით:

დებეტი – დაუფარავი ზარალი

კრედიტი – მ/ზ ანგარიში

ამოღებული კაპიტალის ანგარიშის დახურვა. საწარმოს დამფუძვნებლებმა დრო და დრო საწარმოდან შეიძლება აიღონ გარკვეული თანხა პირადი საჭიროებისათვის. ასეთი ოპერაცია არ წარმოადგენს ხარჯს. მიტომ იგი არ მონაწილეობს საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში მიღებული წმინდა მოგების განსაზღვრაში. იგი არის მფლობელის შემოსავალი მის მიერ საწარმოში დაბანდებული კაპიტალიდან. ეს პროცესი კაპიტალის ამოღებად იწოდება, იგი ამცირებს კაპიტალს და აისახება ანგარიშზე

„კაპიტალის ამოღება“.

თუ საწარმოს კაპიტალი რამდენიმე დამფუძვნებლის მიერ დაბანდებული კაპიტალისგან შედგება კაპიტალის ამოღების ანგარიში მფლობელების სახელის მიხედვით უნდა გაიხსნას. ამოღებული კაპიტალის ანგარიშის დახურვა ბუღალტრულად შემდეგნაირად აისახება;

დებეტი – კაპიტალი

კრედიტი – ამოღებული კაპიტალი

კაპიტალის ამოღებას აქვს შემდეგი ბუღალტრული გატარება:

დებეტი – ამოღებული კაპიტალი

კრედიტი – სალარო

სავარჯიშოები:

ამოცანა № 39

საწარმო „იმედს“ შემოსავალი რეალიზაციიდან აქვს 50 000 ლარი. საპროცენტო შემოსავალი – 7 000 ლარი.

საწარმოს გააჩნია ხარჯები:

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება – 2 300 ლარი; ტელეფონის ხარჯი – 330 ლარი; კონსულტაციის ხარჯი – 2 200 ლარი; საიჯარო ქირის ხარჯი – 5 533 ლარი.

დავალება: მოვახდინოთ შემოსავლების და ხარჯების გადატანა მოგება-ზარალის ანგარიშზე (დახურვის გატარებები).

ამოხსნა:

ვინაიდან შემოსავლები და ხარჯები დროებითი ანგარიშებია და ამ ანგარიშებზე არასოდეს არ გვაქვს არც საწყისი და არც საბოლოო ნაშთი, პერიოდის ბოლოს უნდა მოხდეს შემოსავლების და ხარჯების გადატანა მოგება – ზარალია ანგარიშზე (დახურვის გატარებები).

პირველ რიგში ამოცანის დასაწყისში მოცემულ ყვე-

ლა შემოსავლებს და ხარჯებს ვუხსნით T ანგარიშებს. შემოსავლების ანგარიშებში ნაშთებს ჩავწერთ კრედიტის მხარეს, ხოლო ხარჯების ანგარიშებში ნაშთები იწერება დებეტის მხარეს.

დ. 6110	კ.
50 000	50 000
=	=

დ. 8110	კ.
7 000	7 000
=	=

დ. 7210	კ.
2 300	2 300
=	=

დ. 7430	კ.
330	330
=	=

დ. 7450	კ.
2 200	2 200
=	=

დ. 7420	კ.
5533	5533
=	=

1. დ. – 6110 – 50 000
   დ. – 8110 – 7 000
   კ. – 5330 – 57 000

გავუხსნათ T ანგარიში საანგარიშო პერიოდის მოგებ-ზარალს

2. დ. – 5330 – 10 363
   კ. – 7210 – 2 300
   კ. - 743 – 330
   კ. - 7450 – 2 200
   კ. - 7420 – 5 533

დ.	5330	კ.
10363 46637		57 000
57 000		
=		=

3. 57 000 - 10363 = 46637 ამის 20% არის 9327,4

დ. – 9210 –9327,4

კ. – 3310 – 9327,4

გატარებების შესაბამისად ვუხსნით ანგარიშს მოგების გადასახადს და გადასახდელ მოგების გადასახადს.

დ.	9210	კ.
		9327.4

დ.	3310	კ.
		9327.4

4. დ. – 5330 – 46 637

კ. – 9210 – 9327,4

კ. – 5310 –37309,6

გატარების შესაბამისად ანგარიში ეხსნება გაუნაწილებელ მოგებას.

დ.	5310	კ.
		37 309,6

3310 ანგარიში დაიხურება როცა გადავრიცხავთ მოგების გადასახადს ბანკიდან.

ამოცანა № 40

საწარმო „დელტას“ 2011 წლის მონაცემებით აქვს:

1. შემოსავალი რეალიზაციიდან – 33 000 ლარი;
2. რეალიზებული მარაგის თვითღირებულება – 17000 ლარი;
3. კონსულტაციის ხარჯი – 3 200 ლარი;
4. ტელეფონის ხარჯი – 800 ლარი;
5. იჯარის ხარჯი – 7 300 ლარი;
6. საპროცენტო შემოსავალი – 2 250 ლარი;
7. რეკლამის ხარჯი – 1 350 ლარი;
8. ხელფასის ხარჯი – 9 400 ლარი;
9. საკანცელარიო ნივთები – 553 ლარი;

დავალება: შეასრულეთ შემოსავლების და ხარჯების გადატანა მოგება-ზარალის ანგარიშზე (დახურვის გატარება). შეადგინეთ საწარმოს საბოლოო ბალანსი.

ამოცანა № 41

საწარმო „ბელუქსის“ 2011 წლის საწყისი ნაშთებია:

1210 – 10 300; 1110 – 11 900; 2170 – 3 500; 2130 – 20 000; 4140 – 12 900; 3210 – 24 030; 3110 – 8 000; 5150 – 770.

1. საწარმომ ნაღდი ანგარიშსწორებით შეიძინა 100 ლარის საკანცელარიო ნივთები;
2. მომსახურება გაუწია კლიენტს და სანაცვლოდ მიიღო ნაღდი ფული 2 900 ლარი;
3. გადარიცხული იქნა უნაღდო ანგარიშსწორებით საიჯარო ქირა 650 ლარი;
4. საწარმომ მაღაზია „ალტასგან“ კრედიტით შეიძინა 3 700 ლარის ღირებულების კომპიუტერი.
5. „ბელუქსმა“ დაასრულა ერთ-ერთი კლიენტის მიერ შეკვეთილი სამუშაო და გამოიმუშავა 2 000 ლარი. ნაღდი ფულის სახით მიღებული იქნა 1 200 ლარი,

დანარჩენი ორი კვირის მერე იქნება მიღებული;

6. საწარმომ გადარიცხა ხელფასის საშემოსავლო 200 ლარი;
7. საწარმომ გასცა სალაროდან ხელფასი 1 000 ლარი;
8. „ბელუქსმა“ მაღაზია „ალტას“ გადაუხადა მისგან შეძენილი კომპიუტერის ღირებულების ნაწილი 2 000 ლარი.
9. შეძენილია 2 000 ლარის საქონელი. 500 ლარი გადახდილია სალაროდან. დანარჩენი ვალია.
10. რეალიზებულია 2 000 ლარის საქონელი 2 550 ლარად. 1 300 ლარი მიღებულია სალაროში, 550 ლარი ჩაირიცხა ბანკში, დანარჩენი მისაღებია.
11. გადახდილია ინტერნეტის გადასახადი – 40 ლარი, რეკლამის ხარჯი – 220 ლარი, უნარდო ანგარიშსწორებით;
12. მომსახურება გაუწია კლიენტს და მიიღო შემოსავალი 3 000 ლარი.

დავალება: მოახდინეთ შესაბამისი ბუღალტრული გატარებები. აწარმოეთ რეგისტრაციის ჟურნალი. გახსენით T ანგარიშები. შეადგინეთ საცდელი ბალანსი; მოგება- ზარალის ანგარიშგება და საბოლოო ბალანსი.

ამოცანა №42

ამოცანა № 41- დან გადმოიტანეთ საწარმო „ბელუქსის“ 2011 წლის საბოლოო ნაშთები 2012 წლის საწყის ნაშთებად.

1. კრედიტში რეალიზებულია 800 ლარის მომსახურება;
2. შეძენილია 1 700 ლარის ნედლეული, თანხა გადარიცხულია ბანკიდან;
3. წარმოებაში გადამუშავებულია 1 000 ლარის ნედლეული;

4. წარმოებიდან მიღებულია 800 ლარის მზა პროდუქცია;
5. ბანკის გრძელვადიან სესხს, რომელიც წლიური 16 % - იანი განაკვეთით არის აღებული, დაერიცხა 2 თვის საპროცენტო ხარჯი;
6. საწარმო „ბელუქსს“ აქვს შენობის იჯარაზე ხელშეკრულება დადებული საწარმო „ზეტა“ – სთან. წლიური თანხა შეადგენს 15 600 ლარს. საწარმო „ბელუქსმა“ უნაღდო ანგარიშსწორებით გადაიხადა 2 თვის საიჯარო ქირა.
7. რეალიზებულია 540 ლარის მზა პროდუქცია 1 070 ლარად. 300 ლარი მიღებულია სალაროში, დანარჩენი ჩაირიცხა ბანკში;
8. დაფარულია კრედიტორული დავალიანება 3 500 ლარი. 1 300 ლარი ნაღდი ანგარისსწორებით არის გადახდილი, დანარჩენი უნაღდო ანგარიშსწორებით;
9. გასტუმრებულია ბანკის გრძელვადიანი სესხი 3 000 ლარი გადარიცხვით;
10. საწარმო „ბელუქსმა“ გადაურიცხა სადაზღვევი კომპანია „ირაოს“ 200 ლარი;
11. მიღებულია საპროცენტო შემოსავალი 5 300 ლარი;

დავალება: აწარმოეთ რეგისტრაციის ჟურნალი, გახსენით T ანგარიშები, შეადგინეთ საცდელი ბალანსი, მოგება – ზარალის ანგარიშგება და საბოლოო ბალანსი

VI თავი. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა

6.1. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების არსი, აღიარება, კლასიფიკაცია, შეფასება

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები ბასს №2-ში განმარტებულია შემდეგნაირად: სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა არის აქტივი, რომელიც:

1. გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში;
2. მონაწილეობს წარმოების პროცესში და ასევე გათვალისწინებულია გასაყიდად;
3. წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით და განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისათვის ანმომსახურების გასაწევად.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემადგენლობაში შედის:

საქონელი, მზა პროდუქცია, ნახევარფაბრიკატები, დაუმთავრებელი წარმოება, ნედლეული და მასალები.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები იყოფა სასაქონლო მარაგებად და საწარმოო მარაგებად. სასაქონლო მარაგი მოიცავს ყველა იმ საქონელს, რომელიც შეძენილია შემდგომი გაყიდვის მიზნით. იგი შეიძლება იყოს სავაჭრო ორგანიზაციაში, საწყობში, გზაში და წარმოადგენდეს საწარმოს საკუთრებას. საწარმოო მარაგები განკუთვნილია საწარმოო პროცესის შეუფერხებელი განხორციელებისათვის.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები მიმდინარე აღრიცხვაში აღირიცხება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე ამ ფასეულობების სათანადო მდგომარეობაში მოყვანასა და დანიშნულების

ადგილამდე ტრანსპორტირების დანახარჯებს. შეძენის დანახარჯი მოიცავს: ნასყიდობის ფასს, საიმპორტო, საბაჟო და სხვა გადასახადებს, (უკანდაბრუნებადი გადასახადების გარდა), სატრანსპორტო, დამზადების და სხვა პირდაპირ მიკუთვნებად დანახარჯებს.

საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნიდან გამომდინარე სასაქონლო მატერიალური ფასეულობების შეძენის ფასები განსხვავებულია და აქედან გამომდინარე განსხვავებულია მათი თვითღირებულებაც. ფინანსური ანგარიშგების შედგენისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეფასებას.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების შეფასება სხვადასხვა მეთოდით შეიძლება მოხდეს, მაგრამ ყველა შემთხვევაში მან უნდა მოგვცეს უტყუარი ინფორმაცია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მარაგად დარჩენილ და რელიზებულ ფასეულობებს შორის ხარჯების განაწილების შესახებ.

ბასსი №2-ის შესაბამისად რეალიზებული ფასეულობების თვითღირებუ-ლება ხარჯად უნდა იქნეს აღიარებული, მაშინ როცა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები გაიყიდება. მათი საბალანსო ღირებულება უნდა აღიარდეს იმ პერიოდის ხარჯებად, როდესაც მიღებული იქნა შესაბამისი შემოსავლები.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულების დადგენა ხდება საბაზისო და ალტერნატიული მეთოდების გამოყენებით.

საბაზისო მეთოდებია:

1) მარაგის ერთეულის ინდივიდუალური ღირებულების, ანუ იდენტიფიცირებადი ფასების მეთოდი;
2) მარაგის პირველადი შემოსავლის, ანუ „ფიფოს“ მეთოდი (პირველი შემოსავალში – პირველი გასავალში);
3) მარაგის საშუალო შეწონილი ღირებულება.

ხოლო ნებადართული ალტერნატიული მეთოდია – მარაგების ბოლო შემოსავლის, ანუ „ლიფოს“ მეთოდი.

მაგალითი:

ფირმა ყიდულიბს და ყიდის X საქონელს სექტემბრის თვეში მარაგის მოძრაობა ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

თარიღი	რაოდენობა (ცალი)	ერთეულის ფასი	თანხა ლარებში
01.09. საწყისი მარაგი	200	25.0	5000
05.09. მიღებულია	1200	27.0	32 400
08.09. გაცემულია	800		
14.09. მიღებულია	900	30.0	27 000
18.09. გაცემულია	400		
25.09. გაცემულია	700		
28.09. მიღებულია	500	32.0	16 000

დავალება:

გაიანგარიშეთ მარაგის ღირებულება 30 სექტემბრის მდგომარეობით ფიფო და საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულებით.

ამოხსნა:

ფიფო მეთოდით მარაგის ღირებულება 30 სექტემბრისთვის გაიანგარიშება შემდეგნაირად:

თარიღი		ნაშთი	
		რაოდენობა	ღირებულება
01.09	საწყისი მარაგი:	200	500
05.09	200*25.0	1 200	2 200
	მიღება: 1 200*27.0	1 400	37 400
08.09			
	გაცემა; 200 * 25.0	(800)	(21 200)
	+ 600 * 27.0	600	16 200
14.09.	800	900	27 000
	მიღება: 900 *30.0	1 500	43 200
18.09		(400)	(10 800)
	გაცემა: 400 * 27.0	1 100	32 400
25.09.			
	გაცემა: 200 * 27.0	(700)	(20 400)
	+ 500 * 30.0	400	12 000
29.09.	700	500	16 000
	მიღება: 500 * 32.0	900	28 000

მრიგად, მარაგის ღირებულება ფიფო მეთოდით პერიოდის ბოლოს 28 000 ლარია.

საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულით მარაგის ღირებულების გაანგარიშება.

თარიღი		ნაშთი	
		რაოდენობა	ღირებულება
01.09.	საწყისი მარაგი:	200	5 000
05.09.	200 * 25.0	1 200	32 400
	მიღება: 1 200 *	1 400	37 400
08.09.	27.0	(800)	(21 368)
		600	16 032
14.09.	გაცემა: 800 *	900	27 000
	26.71	1 500	43 032
18.09.		(400)	(11 476)
	მიღება: 900 * 30.0	1 100	31 556
25.09.		(700)	(20 083)
	გაცემა: 400 *	400	11 473
29.09.	28.69	500	16 000
		900	27 473
	გაცემა: 700 * 28.69		
	მიღება: 500 * 32.0		

არაგის ღირებულება 30 სექტემბრის მდგომარეობით საშუალო შეწონილი ღირებულების მიხედვით შეადგენს 27 473 ლარს.

8 სექტემბერს საშუალო ფასი = 37 400/1 400 = 26.71

14 სექრემბერს მარაგის მიღების შემდეგ შეიცვლება საშუალო ფასი და იქნება

43 032 / 1 500 = 28.69

6.2. მარაგების აღრიცხვის მუდმივი (უწყვეტი) და პერიოდული მეთოდი

აღრიცხვის დარგის მუშაკის წინაშე დგას ორი ამოცანა: ა) გაარკვიოს რეალიზებული საქონლის თვითღირებულება, როგორც მოგება-ზარალის ერთ-ერთი მუხლი; ბ) გაიანგარიშოს საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის საწარმოს განკარგულებაში არსებული დარჩენილი მარაგების ღირებულება, როგორც აქტივში ჩასაწერი მუხლი. ბუღალტრულ აღრიცხვაში ცნობილია მარაგების აღრიცხვის ორი მეთოდი: მუდმივი და პერიოდული. მუდმივი აღრიცხვის დროს ნაყიდი საქონლის თვითოეული დასახელება შემოსავლში აიღება შემდეგი ბუღალტრული გატარებით:

დ. – საქონელი – 1610
კ. – მომწოდებელი – 3110

გასხვისების შემთხვევაში:

დ. – რეალიზებული საქონლის თვითღირ-ბა – 7210
კ. – საქონელი – 1610

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მარაგის ანგარიშის სადებეტო ნაშთი არის სახეზე არსებული მარაგების რაოდენობა, რომელიც აქტივის მუხლის სახით ჩაიწერება ბალანსში. მისი რაოდენობა დადასტურებული უნდა იყოს ინვენტარიზაციის მასლებით. პერიოდული აღრიცხვის დროს არ ხდება მარაგის სისტემატიური აღრიცხვა. გაყიდული საქონლის რაოდენობა განისაზღვრება პერიოდის ბოლოს ინვენტარიზაციით.

გაყიდული საქონლის თვითღირებულების დასადგენად – საანგარიშო პერიოდის დასაწყისში ნაშთს ემატება შესყიდვები და აკლდება ნაშთად დარჩენილი ღირებულება. ინვენტარიზაცია არის სახეზე არსებული საქონლის დათვლა და მისი შედარება საღრიცხვო მონაცემებთან.

მუდმივი მეთოდით აღრიცხვისას მარაგების გაყიდვის დროს ადგილი აქვსშემდეგ ბუღალტრულ გატარებას: როდესაც იყიდება საკუთარი წარმოების პროდუქცია;

დ. – 7100 –

კ, - 1620 ან 1640 ან 1630

როდესაც იყიდება შეძენილი საქონელი მაშინ;

დ. – 7210

კ. – 1610

გაყიდული საქონლიდან მიღებული შემოსავალი აღირიცხება:

დ. – 1110 ან 1210 ან 1410

კ. – 6110

6.3. დაუმთავრებელი წარმოება

დანახარჯები პროდუქციის თვითღირებულებაზე მიკუთვნების მიხედვით იყოფა პირდაპირ და არაპირდაპირ დანახარჯებად.პირდაპირი დანახარჯები გაწევისთანავე ჩაირთვება პროდუქციის თვითღირებულებაში, ხოლო არაპირდაპირი დანახარჯების გაწევისთანავე მიკუთვნება რომელიმე კონკრეტულ პროდუქტზე ვერ ხერხდება ან შესაძლებელია მაგრამ არაეკონომიურია.

ვთქვათ ჩვენ ვამზადებთორი სახის პროდუქტს მაგ. კაბას და შარვალს. ერთი კაბის შეკერვას უნდა სამი მეტრი ქსოვილი. თუ ერთი მეტრის ღირებულება 10 ლარია, მაშინ 30 ლარი მთლიანად დაეწერება კაბის ღირებულებას. უნდა დავითვალო რამდენს დავხარჯავთ კაბის შეკერვაზე და რამდენს შარვლის შეკერვაზე. თუ შარვლის შეკერვაზე დაიხარჯა 2 მეტრი ქსოვილი მაშინ 20 ლარი დაეწერება შარვლის თვითღირებულებას. ეს არის პირდაპირი ხარჯი. პირდაპირი ხარჯია აგრეთვე ხელფასიც, რომელიც გაიცემა მათ შეკერვაზე.

ირიბი ხარჯია მაგ. ძაფის ღირებულება, ელვა შესაკრავის, ღილების ღირებულება. ეს არის ისეთი მასალები,

რომლის მიკუთვნებაც შესაძლებელია პირდაპირ, მაგრამ არაეკონომიურია. ასევეა ირიბი ხელფასი, ელექტრო ენერგია, წყალი, ცვეთა და სხვა.

მაგალითი: ვთქვათ საწარმო აწარმოებს ორი სახის პროდუქტს Aდა B. A პროდუქტის წარმოებაზე დაიხარჯა მასალა – 6 000 ლარის, ხელფასი – 9 000 ლარი. Bპროდუქტზე მასალა –8 000 ლარის, ხელფასი – 10 000 ლარის. გარდა ამისა დაიხარჯა: ირიბი მასალა – 4 000 ლარის, ირიბი ხელფასი – 5 000 ლარის, ცვეთა – 3 000 ლარის. სულ 12 000 ლარი.

დავალება: მოახდინეთ შესაბამისი ბუღალტრული გატარებები, ირიბი ხარჯები გაანაწილეთ მასალის ხარჯის მიხედვით და გამოთვალეთ დაუმთავრებელი წარმოება.

1631	1632	1633
A	A	ირიბი ხარჯი
მასალა – 6 000	8 000	ირიბი მასალა – 4 000
ხელფასი – 9 000	10 000	ირიბი ხელფასი – 5 000
		ცვეთა - 3 000
		ჯამი - 12 000

ამოხსნა:

1. ავსახოთ მასალის ხარჯვა დაუმთავრებელ წარმოებაში:

   დებეტი – 1631 A - 6 000
   დებეტი – 1632 B - 8 000
   კრედიტი – 1620 - 14 000

2. ავსახოთ ხელფასის ხარჯვა დაუმთავრებელ წარმოებაში:

დებეტი – 1631 - 9 000
დებეტი – 1632 - 10 000
კრედიტი – 3130 – 19 000

3. ირიბი ხარჯების გატარება ბუღალტრულად:

დებეტი – 1633 – 12 000
კრედიტი – 1620 – 4 000
კრედიტი – 3130 – 5 000
კრედიტი – 2250 – 3 000

როგორ გავანაწილოთ ირიბი ხარჯები?

თუ გავანაწილებთ მასალის მიხედვით:

A (მასალა) - 6 000	6 000 / 14 000 × 12 000 = 5 140
B (მასალა) - 8 000	8 000 / 14 000 × 12 000 = 6 860
14 000	

4. A - პროდუქციას მიეკუთვნება ირიბი ხარჯებიდან - 5140

B - პროდუქციას მიეკუთვნება ირიბი ხარჯებიდან - 6860

გავატაროთ ბუღალტრულად:

დებეტი – 1631 - 5 140
დებეტი – 1632 - 6 860
კრედიტი – 1633 – 12 00

A

1631

1) 6 000	5) 15 000
2) 9 000	
4) 5 140	
20 140	
5 140	

B

1632

1) 8 000	5) 20 000
2) 10 000	
4) 6 860	
24 860	
4 860	

10 000

(დაუმთავრებელი წარმოება)

4. ვთქვათ მზა სახით

A – პროდუქცია – 15 000; B – პროდუქცია – 20 000

A – პროდუქციის მიღება B – პროდუქციის მიღება

დებეტი – 1641 – 15 000 დებეტი – 1642 – 20 000

კრედიტი – 1631 – 15 000 კრედიტი – 1632 – 20 000

სულ დავხარჯეთ მასალა	– (6 000 + 8 000)	= 14 000
ხელფასი	– (9 000 + 10 000)	= 19 000
ირიბი ხარჯი	–	12 000
		45 000

A	B
20 140	24 860

45 000

დაუმთავრებელი წარმოება არის - 10 000 (5 140 + 4 860)

ამ ამოცანაში ხარჯები განაწილდა ორივე პროდუქციაზე დახარჯული მასალის მიხედვით. იგივენაირად განაწილდება ხარჯები A და B პროდუქციაზე დახარჯული ხელფასის მიხედვით.

VII თავი. კორექტირებები და სამუშაო ცხრილი

7.1. ცვეთის ხარჯის დაანგარიშება და მისი აღრიცხვა

საწარმოში ცვეთის ხარჯის დარიცხვა ეხება ისეთ აქტივებს, რომლებიც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მოიხმარება „შემოსავლის“ შექმნის პროცესში. ასეთი აქტივისშეძენის ღირებულება ნაწილ-ნაწილ „გადადის“ ახლად შექმნილ საქონელზე ან მომსახურებაზე.ერთი საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივიდან ახალ შექმნილ პროდუქტზე გადასულ მისი საწყისი ღირებულების ნაწილს ცვეთის ხარჯი ეწოდება. ტერმინი „ცვეთა“ ნიშნავს ძირითადი საშუალებების ღირებულების შემცირებას მისი მომსახურების ვადაში ფიზიკური ან მორალური ცვეთის გამო.

ცვეთის ხარჯის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ იგი არ თხოულობს ფულად გადახდებს საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ცვეთის ხარჯის ჯამური სიდიდე წინასწარ არის გადახდილი აქტივის შეძენის მომენტში.

შესაბამისი ცვეთის განსაზღვრისას ბუღალტერმა უნდა განსაზღვროს: 1) აქტივის სალიკვიდაციო ღირებულება; 2) მომსახურების ვადა და ცვეთის განაწილების მეთოდი.

ცვეთის დარიცხვის რამოდენიმე მეთოდი არსებობს, ბუღალტერი ირჩევს ერთ რომელიმე მეთოდს. მოკლედ შევეხოთ ცვეთის დარიცხვის ერთ-ერთ უმარტივეს მეთოდს ესარის ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდი. წრფივი მეთოდით ცვეთის დარიცხვის ფორმულას აქვს შემდეგი სახე;

ცვეთის ხარჯი = პირვანდელ(თავდაპირველ)ღირ. ნარჩენი(სალიკვიდაციო) ღირ / მომსახურების წელთა რიცხვი

ცვეთის ხარჯი ამცირებს აქტივის ღირებულებას ამიტომ მისი გატარებისას უნდა ხდებოდეს შესაბამისი აქტი-

ვის კრედიტირება. ცვეთის აღრიცხვისათვის ბუღალტერიაში შემოღებულია სპეციალური ანგარიში დაგროვილი ცვეთა. ცვეთის ხარჯის ასახვა ხდება მთავარ ჟურნალში და შემდეგ აისახებიან საბალანსო ანგარიშებში.

პრაქტიკული სავარჯიშოები:

ამოცანა №43

საწარმოს ძირითადი საშუალებების პირვანდელი ღირებულება 20 000 ლარს შეადგენს. მისი სალიკვიდაციო ღირებულება გათვალისწინებულია 2 000 ლარის ოდენობით, ხოლო სასარგებლო მომსახურების ვადა ნავარაუდევია 5 წლის ხანგრძლივობით. დავარიცხოთ ზემოთ არნიშნულ ძირითად საშუალებას ცვეთა წრფივი მეთოდით. თუ ჩვენ ძირითადი საშუალებების მონაცემებს შევიტანთ წრფივი მეთოდით ცვეთის დარიცხვის ფორმულაში წლიური ცვეთა ტოლი იქნება:

წლიური ცვეთა = 20 000 – 2 000 / 5=3 600

5 წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა წრფივი მეთოდით შემდეგ სახეს მიიღებს.

ცვეთის დარიცხვა წრფივი მეთოდით (ლარი)

მაჩვენებლები	პირვანდელი ღირებულება	ცვეთის წლიური ნორმა	ცვეთა ნაზარდი ჯამით	ნარჩენი ღირებულება
შეძენის თარიღი	20 000			20 000
I წელი	20 000	3 600	3 600	16 400
II წელი	20 000	3 600	7 200	12 800
III წელი	20 000	3 600	10 800	9 200
IV წელი	20 000	3 600	14 400	5 600
V წელი	20 000	3 600	18 000	2 000

ცხრილიდან ჩანს, რომ 5 წლის განმავლობაში ცვეთის თანხა ერთნაირია, ჯამური ცვეთა იზრდება თანაბარზომიერად და ასევე თანაბარზომიერად მცირდება ნარჩენი ღირებულება. მოცემულ შემთხვევაში ყოველწლიური ცვეთის ნორმა შეადგენს 20% - ს.

ცვეთის დარიცხვის მეორე მეთოდია მწარმოებლურობის პროპორციულად ცვეთის დარიცხვის მეთოდი. მისი ფორმულა შეიძლება შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ:

ცვეთა პროდუქციის ერთეულზე=პირვანდელი ღირებულება – სალიკვიდაციო ღირე-ბა/

პროდუქციის წარმოების სავარაუდო მოცულობა

თუ დავუშვებთ, რომ ძირითადი საშუალების ზემოთ მოტანილი ობიექტი მოემსახურება 150 000 ერთეული ნაწარმის შექმნას, მათ შორის პირველ წელს გათვალისწინებულია პროდუქციის 30 000 ერთეულის, მეორე წელს-35 000, მესამე წელს – 29 000, მეოთხე წელს – 30 000 ერთეულის და ბოლო წელს – 26 000 ერთეულის წარმოება, მაშინ მწარმოებლურობის პროპორციულად ცვეთის მეთოდით ცვეთის დარიცხვა შემდეგი გრაფიკით მოხდება. თუ ამ მონაცემებს შევიტანთ ფორმულაში მივიღებთ:

ცვეთა პროდუქციის ერთეულზე = 20 000 – 2 000 / 150 000 = 0,12 %

ეს არის პროდუქციის ერთ ერთეულზე დარიცხული ცვეთა.

ცვეთის დარიცხვა მწარმოებლურობის პროპორციული მეთოდით (ლარი)

მაჩვენებლები	პირვანდელი ღირებულება	ნაწარმის რაოდენობა	ცვეთის წლიური ნორმა	ცვეთა ნაზარდი ჯამით	ნარჩენი ღირებულება
შეძენის თარიღი	20 000	-	-	-	20 000

I წელი	20 000	30 000	3 600	3 600	16 400
II წელი	20 000	35 000	4 200	7 800	12 200
III წელი	20 000	29 000	3 480	11 280	8 720
IV წელი	20 000	30 000	3 600	14 880	5 120
V წელი	20 000	26 000	3 120	18 000	2 000

მწარმოებლურობის პროპორციული მეთოდით ცვეთის დარიცხვისას ნათლად ჩანს პირდაპირი კავშირი პროდუქციის წარმოებისა და ცვეთის წლიურ თანხას შორის. ცვეთის თანხა ყოველწლიურად იზრდება შექმნილი პროდუქციის მოცულობის პროპორციულად. ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება მცირდება ასევე შექმნილი პროდუქციის მოცულობის პროპორციულად სალიკვიდაციო ღირებულებამდე.

დაჩქარებული ცვეთის მეთოდებიდან უფრო გავრცელებულია რიცხვთა ჯამისა და გაორმაგებული ნორმის მეთოდი.

რიცხვთა ჯამის მეთოდის სახელწოდება წარმოდგება იქიდან, რომ ფორმულაში მნიშვნელოვნად გამოიყენება ძირითადი საშუალების ექსპლუატაციის პერიოდში ყველა წლის რიცხვთა მნიშვნელობის ჯამი. მაგალითად, თუ აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა 5 წელია, მაშინ რიცხვთა ჯამი იქნება 1+2+3+4+5=15.

იგი ასევე შეიძლება გამოითვალოს ფორმულით:

რიცხვთა ჯამი=N (N + 1)/2

სადაც N არის ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადა. რიცხვთა ჯამი ჩვენს მაგალითში გამოითვლება შემდეგნაირად:

რიცხვთა ჯამი =5 (5 +1) / 2 = 15

რიცხვთა ჯამის მეთოდით ყოველწლიური ცვეთის თანხა იანგარიშება ფორმულით:

წლიური ცვეთა=დარჩენილი ცვეთის რაოდენობა/ რიცხვთა ჯამი × ცვეთის ღირებულება

თუ ჩვენს მონაცემებს სევიტანთ ფორმულაში გვექნება:

წლიური ცვეთა = 5 / 15 ×18 000 – (20 000 – 2 000)

ზემოთ მოტანილი ძირითადი საშუალებებისათვის ცვეთის თანხის გაანგარიშება მოცემული მეთოდის გამოყენებით, შემდეგი სახით მოხდება:

ცვეთის დარიცხვა რიცხვთა ჯამის მეთოდით (ლარი)

მაჩვენებლები	პირვანდელი ღირებულება	ცვეთის წლიური ნორმა	ცვეთა ნაზარდი ჯამით	ნარჩენი ღირებულება
შეძენის თარიღი	20 000	-	-	20 000
I წელი	20 000	5/15×18 000=6 000	6 000	14 000
II წელი	20 000	4/15×18 000=4 800	10 800	8 200
III წელი	20 000	3/15×18 000=3 600	14 400	5 600
IV წელი	20 000	2/15×18 000=2 400	16 800	3 200
V წელი	20 000	1/15×18 000=1 200	18 000	2 000

როგორც ცხრილიდან ჩანს, ცვეთის თანხა ყველაზე მეტია ექსპლუატაციის პირველ წელს და მომდევნო წლებში იგი თანდათანობით მცირდება.

ცვეთის დარიცხვის მეოთხე მეთოდია გაორმაგებული ნორმის მეთოდი, რომელიც იყენებს წრფივი მეთოდით და-

დგენილ ცვეთის ნორმას, მრავლდება ორზე (ორმაგდება) ან გამოიყენება სხვა მყარი განაკვეთი და ამ ნორმით ხდება ცვეთის წლიური თანხის დადგენა არა ძირითადი საშუალების პირვანდელი ღირებულებიდან, არამედ შემცირებული ნაშთიდან (ნარჩენი ღირებულებიდან) გამომდინარე. ვინაიდან ჩვენს მაგალითში წრფივი მეთოდის გამოყენებით გაანგარიშებული ცვეთის ნორმა 20 %-ს შეადგენდა, ამიტომ გაორმაგებული ნორმის მეთოდით გაანგარიშებული ცვეთა შემდეგ სახეს მიიღებს.

ცვეთის დარიცხვა გაორმაგებული ნორმის მეთოდით (ლარი)

მაჩვენებლები	პირვანდელი ღირებულება	ცვეთის წლიური ნორმა	ცვეთა ნაზარდი ჯამით	ნარჩენი ღირებულება
შეძენის თარიღი	20 000	-	-	20 000
I წელი	20 000	20 000-ის 40%= 8 000	8 000	12 000
II წელი	20 000	12 000-ის 40%= 4 800	12 800	7 200
III წელი	20 000	7 200-ის 40%= 2 880	15 680	4 320
IV წელი	20 000	4 320-ის 40%= 1 728	17 408	2 592
V წელი	20 000	592	18 000	2 000

როგორც ცხრილიდან ჩანს, ცვეთის თანხა, რომელიც ყველაზე მეტია ექსპლუატაციის პირველ წელს, მომდევნო წლებში თანდათანობით მცირდება და ბოლო წელს

შეზღუდულია ძირითადი საშუალების სალიკვიდაციო ღირებულებით.

ამოცანა № 44

მადაზიამ საქონლის გადასატანად შეიძინა ავტოფურგონი. მისი ღირებულება 12 000 ლარია. ავტოფურგონის სასარგებლო მომსახურების ვადა 5 წელია. 5 წლის შემდეგ ამ ძირითადი საშუალების სალიკვიდაციო ღირებულება 3 000 ლარს შეადგენს. ფირმა ვარაუდობს, რომ ავტოფურგონი 5 წლის განმავლობაში 15 000 კილომეტრს გაივლის.

დავალება: 1. გამოთვალეთ ცვეთა ხუთივე წლისთვის გამოიყენეთ ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდი. დავუშვათ, რომ ავტოფურგონმა პირველ წელს გაიარა 30 000 კმ, მეორე წელს 40 000კმ, მესამე წელს 30 000კმ, მეოთხე წელს 2 700კმ, მეხუთე წელს 23 000კმ.

2. გამოიანგარიშეთ ცვეთის დარიცხვა ყოველი წლისთვის მწარმოებლურობის პროპორციული მეთოდით და რიცხვთა ჯამის მეთოდით.

ამოცანა № 45

საწარმომ შეიძინა დაზგა-დანადგარი, რომლის პირვანდელი ღირებულება 10 000 ლარია. მისი სალოკვიდაციო ღირებულება გათვალისწინებულია 1 000 ლარის ოდენობით, ხოლო სასარგებლო მომსახურების ვადა ნავარაუდევია 5 წლის ხანგრძლივობით.

დავუშვათ, დაზგა-დანადგარი 5 წლის განმავლობაში მოემსახურება 20 000 ერთეული ნაწარმის შექმნას, მათ შორის პირველ წელს გათვალისწინებულია პროდუქციის – 8 000 ერთეულის, მეორე წელს – 5 000, მესამე წელს – 3 000, მეოთხე წელს – 2 500, და მეხუთე წელს – 1 500 ერთეულის წარმოებას.

დავალება: გამოთვალეთ ცვეთა ხუთივე წლისთვის ცვეთის დარიცხვის სხვადასხვა მეთოდით.

7.2 სამუშაო ცხრილი და მისი გამოყენება

სამუშაო ცხრილი არ წარმოადგენს ფინანსურ ანგარიშგებას. იგი დამხმარე დოკუმენტია და საშუალებას იძლევა ფინანსური ანგარიშგება მომზადდეს კორექტირებადი გატარებების გადატანამდე.

მისი მომზადება მიზნად ისახავს:

1. თვალსაჩინოდ, ნაკლები შრომითი დანახარჯებით შესრულდეს საცდელი ბალანსის, ფინანსური ანგარიშგების დამასრულებელი გატარებები და დახურვის შემდგომი ბალანსის პროცედურები;
2. მინიმუმამდე იქნას დაყვანილი სააღრიცხვო პროცედურების შესრულებისას დაშვებული შეცდომები;
3. ადვილად მოხდეს დაშვებული შეცდომების მოძებნა და გასწორება;
4. სწრაფად იქნას ინფორმაცია მოძიებული.

სამუშაო ცხრილის მომზადება ხდება საანგარიშო პერიოდის ბოლოს. იგი მოიცავს ხუთ წყვილეულ სვეტს: საცდელ ბალანსი, კორექტირებები, კორექტირებული საცდელი ბალანსი, მოგება-ზარალის ანგარიშგება, ბალანსი.

სამუშაო ფურცელს აქვს შემდეგი სახე.

სამუშაო ფურცელი

ცხრილი №

№	ანგარიშის დასახელება	საცდელი ბალანსი		კორექტირებები		კორექტირებული საცდელი ბალანსი		მოგება-ზარალის ანგარიშგება		საბოლოო ბალანსი	
		დ.	კ.	დ.	კ.	დ.	კ.	დ.	კ.	დ.	კ.

7.3 კორექტირებული ბალანსის მომზადება

სააღრიცხვო ციკლის სრულად წარმოდგენისათვის და წმინდა მოგების დაზუსტების მიზნით საჭიროა მაკორექტირებელი გატარებები, კორექტირებული საცდელი ბალანსის და სამუშაო ცხრილის მომზადება. სანამ ფინანსური ანგარიშგება მომხმარებელს მიეწოდება საჭიროა მისი კორექტირება. კორექტირება ეხება ყველა იმ ანგარიშს, რომელიც საანგარიშგებო პერიოდის მოგება – ზარალის გაანგარიშებასთან არის დაკავშირებული. ამიტომ კორექტირებები ყოველი საანგარისგებო პერიოდის ბოლოს ხდება.

არსებობს შემოსავლების და ხარჯების აღრიცხვის საკასო და დარიცხვის მეთოდები. აღნიშნული მეთოდებიდან დღეისათვის უპირატესობა ენიჭება დარიცხვის მეთოდს ამ მეთოდით შემოსავლის აღიარება ძირითადი პროცესის დამთავრებიდანვე ხდება. ეს ემთხვევა საქონლის და მომსახურების მიწოდებას, როდესაც სათანადო დოკუმენტებით გამყიდველი საკუთრების უფლებას და მასთან დაკავშირებულ რისკებს მყიდველს გადასცემს. ამ დროს ასევე ხდება ყველა ხარჯის დარეგისტრირება შესაბამის მომენტში საქონლის (მომსახურების) გამოყენებისას.

სწორედ დარიცხვის მეთოდის გამოყენება ხდის აუცილებელს ფინანსური ანგარიშგების მომზადებამდე დაზუსტდეს მისი ელემენტები რაც ხდება კორექტირებადი გატარებებით. ანგარიშგების კორექტირება ხდება შემდეგი მიზეზების გამო: 1) ზოგჯერ საწარმო თანხას ღებულობს საქონლის მიწოდებამდე. ამ შემთხვევაში მას ვალდებულება წარმოექმნება მიღებული ავანსით. მისი შეუსრულებლობის შემთხვევაში ავანსი უკან უნდა დაბრუნდეს ე.ი. მიღებული ავანსი საწარმოსათვის გამოუმუშავებული შემოსავალი ანუ ვალდებულებაა; 2) ასევე საწარმოს შეუძლია თვითონ გადაიხადოს წინასწარ თანხა მომავალ პერიოდში საქონლის ან მომსახურების მიწოდებისათვის. ასეთი გადახდა საწარმოსათვის არის აქტივი – მოთხოვნა. გაცემული ავანსი მას თანხის უკან დაბრუნების უფლებას აძლევს; 3) მიღებული ავანსების საწინააღმდეგოა, როდესაც საქონელი მიწოდებულია და იგი ჯერ არ არის

ანაზღაურებული (დებიტორული დავალიანება); 4) გაცემული ავანსის საწინააღმდეგო სიტუაციაა, როდესაც საქონელი და მომსახურება მიღებული და გამოყენებულია და მისი ღირებულება ჯერ არ არის გადახდილი, იგი ვალდებულებას წარმოადგენს.

ფინანსური ანგარიშგების მონმზადებას წინ უნდა უსწრებდეს შემოსავლების და ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების დაზუსტება, რაც კორექტირებების გზით მიიღწევა. კორექტირებადი ჩანაწერების გადატანისას შეიძლება საჭირო გახდეს დამატებითი ანგარიშების გახსნა და მათ'ში მთავარი ჟურნალიდან გადაიტანება რეგისტრირებული კორექტირებული გატარება.

მაკორექტირებელი გატარებების ერთ ტიპს-ცვეთის მაკორექტირებელ გატარებებს ჩვენ უკვე გავეცანით. ამ ტიპის მაკორექტირებელი გატარებები საშუალებას იძლევა ძირითადი საშუალების შეძენაზე გაწეული დანახარჯები გავანაწილოთსაანგარიშო პერიოდზე აქტივის გამოყენების შესაბამისად.

საქმიანობის ხასიათისა და მასშტაბიდან გამომდინარე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საწარმოებს სხვადასხვა სახის უამრავი მაკორექტირებელი გატარებების შესრულება უხდებათ. მაკორექტირებელი გატარებების მრავალფეროვნების და დიდი რაოდენობის მიუხედავად ისინი შეიძლება ოთხ ჯგუფში გავაერთიანოთ.

1. გატარებები წინასწარ გადახდილი ხარჯების განაწილების მიზნით;
2. გატერებები ავანსად მიღებული შემოსავლების განაწილების მიზნით;
3. გატარებები დაგროვილი ხარჯების აღრიცხვის მიზნით;
4. გატარებები დაგროვილი შემოსავლების აღრიცხვის მიზნით

მაკორექტირებელი გატარებები ასახვას პოულობს, როგორც მოგება-ზარალის (შემოსავლების და ხარჯების), ასევე საბალანსო ანგარიშგების ანგარიშებზე. მაკორექტირებელი გატარებების შესრულება მოითხოვს დარიცხვის კონცეფციის ღრმა ცოდნას, დაკავშირებულია მაღალ პრო-

ფესიონალიზმთან და განსხვავდება ყოველ-დღიური გარიგებების გატარებისაგან.

წინასწარ გადახდილი ხარჯების განაწილება – როდესაც საწარმო ანხორციელ-ებს ფულის გადახდას ან შეიძენს აქტივს, რომელიც ხელს უწყობს შემოსავლების გამომუშავებას რამოდენიმე საანგარისგებო პერიოდის განმავლობაში ხდება გადახდილი თანხის დადებეტება აქტივების ანგარიშზე. ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს, რომლის განმავლობაშიც შეუწყო ხელი ფულადმა გადახდამ შემოსავლების მიღებას, სრულდება მაკორექტირებელი გატარებები. ამ დროს ხდება შესაბამისი აქტივის იმ ნაწილის ხარჯების კატეგორიაში გადაყვანა, რომელიც გამოყენებული, დახარჯული იქნა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში.

წინასწარ გადახდილი ხარჯების განაწილების მიზნით შესრულებული მაკორექტირებელი გატარება შედგება შესაბამისი ხარჯის დებეტირებისა და შესაბამისი აქტივის კრედიტირებისაგა. ამ ტიპის გარიგებების მაგალითებს წარმოადგენს ცვეთის დარიცხვისა და წინასწარგადახდილი ხარჯების განაწილების მიზნით შესრულებული გატარებები.

მაგალითად საწარმომ 600 ლარად შეიძინა შენობის ერთ წლიანი სახანძრო დაზღვევის პოლისი. ეს თანხა წარმოადგენს წინასწარ გადახდილი ხარჯის კატეგორიას და ხდება მისი აქტივების ანგარიშზე დებეტირება:

დებეტი – წინასწარგადახდილი დაზღვევის ხარჯი – 600

კრედიტი – ფული - 600

საანგარიშო პერიოდის ბოლოს სადაზღვევო პოლისის შეძენაზე წინასწარ გადახდილი ხარჯის განაწილების მიზნით სრულდეება შემდეგი მაკორექტირებელი გატარება.

დებეტი – დაზღვევის ხარჯი – 50

კრედიტი –წინასწარგადახდილი დაზღვევის ხარჯი – 50

დაზღვევის წინასწარგადახდილი ხარჯი განაწილდება ერთ თვეზე (600/12=50)

აღნიშნული მაკორექტირებელი გატარების შედეგად მოხდა წინასწარ გადახდილი ხარჯების (აქტივის) შესაბა-

მისი ნაწილის 50 ლარის, მიმდინარე საანგარიშო პერიოდის ხარჯებში გადაყვანა სადაზღვევო ხარჯების ნაწილი „უკან დაბრუნდა“ წინასწარ გადახდილი დაზღვევის სახით და მოხდა შესაბამისი აქტივის მიმდინარე ღირებულების შემცირება სათანადო სიდიდის თანხით.

საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხარჯების სწორად განაწილების მიზნით გამოიყენება შემდეგი მაკორექტირებელი გატარება

დებეტი – წინასწარ გადახდილი დაზღვევის ხარჯი – 550
კრედიტი – დაზღვევის ხარჯი – 550

მაგალითად საწარმომ შეიძინა 720 ლარის ოფისის მარაგები (წებო, სამაგრები, საბუღალტრო ფორმები და სხვა). ოფისის მარაგების შეძენაზე გადახდილი თანხა აისახება აქტივის ანგარიშზე

დებეტი – ოფისის მარაგები – 720
კრედიტი – ფული – 720

საანგარიშო პერიოდის ბოლოს საწყობში არსებული გაუხარჯავი ოფისის მარაგების თანხამ შეადგინა 500 ლარი ე.ი. გახარჯულა 220. აქტივის ეს ნაწილი მაკორექტირებელი გატარებით გადადის ხარჯში.

დებეტი – ოფისის მარაგზე ხარჯი – 220
კრედიტი – ოფისის მარაგები – 220

ავანსად მიღებული შემოსავლების განაწილება – ზოგჯერ მომხმარებლები წინასწარ იხდიან მომსახურების ან შესასყიდი საქონლის ღირებულებას. თავისი ეკონომიკური შინაარსით წინასწარ მიღებული თანხები არ წარმოადგენს შემოსავლებს, რადგან ჯერ არ მომხდარა მათი გამომუშავება. მომხმარებლისაგან წინასწარ ფულის მიღების ოპერაცია აღირიცხება მირებული ავანსების ანგარიშზე. ანგარიში მიღებული ავანსები აისახება საბალანსო ანგარიშგებაში ვალდებულების განაკვეთში.

სხვა ვალდებულებებისგან განსხვავებით მიღებული ავანსების დაფარვა უნდა მოხდეს მათი გამომუშავებით და არა თანხის გადახდით როგორც ამას ადგილი აქვს ბანკის ვალის დაფარვის შემთხვევაში. შემოსავლების წინასწარ მიღების ოპერაციის ჟურნალში გატარება ხდება:

დებეტი – ფული

კრედიტი – მიღებული ავანსები

მიღებული ავანსების განაწილების მიზნით ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს სრულდება მაკორექტირებელი გატარებები:

დებეტი – მიღებული ავანსები

კრედიტი – შემოსავლები

თანხა განისაზღვრება მიღებული ავანსის იმ ნაწილის სიდიდით, რომლისგამომუშავებაც განხორციელდა შესაბამის საანგარიშო პერიოდში.

დაგროვილი ხარჯების აღრიცხვა –აქ თავს იყრის ის ხარჯები, რომელსაც უკვე ჰქონდა ადგილი,ხელი შეუწყეს შემოსავლის მიღებას, მაგრამ მათი გადახდა მოხდება მომავალში. ასეთ ხარჯებს დაგროვილი ხარჯები ეწოდება (მაგ. სესხის პროცენტი, რომელიც ყოველდღიურად გროვდება საანგარიშო პერიოდის განმავლობაში და მისი გადახდა მოხდება მომავალში სესხის უკან დაბრუნების თარიღის მომენტისას).

მაგალითად: 1 ნოემბერს საწარმომ ხელი მოაწერა თამასუქს და ბანკიდან აიღო სამ თვიანი კრედიტი 3 000 ლარის ოდენობით. სესხის წლიური პროცენტი შეადგენს 12%-ს საწარმოს ბუღალტერმა შეასრულა შემდეგი გატარება.

ბანკიდან სესხის აღება:

დებეტი – ბანკი – 3 000

კრედიტი – სათამასუქო ვალდებულებები – 3 000

სამი თვის შემდეგ საწარმომ უკან უნდა დააბრუნოს 3 000 ლარი და პროცენტის სახით გადაუხადოს 3 000 × 0.12 ×3/12 = 90 ლარი. მიუხედავად იმისა რომ პირველი ორი თვის განმავლობაში საწარმო არ იხდის პროცენტს, შესატყვისობის პრინციპის თანახმად თვითვეულ თვეზე მოდის ჯამური პროცენტის 1/3 ანუ 30 ლარი. ნოემბრის ბოლოს ბუღალტერმა უნდა მოახდინოს შემდეგი სახის მაკორექტირებელი გატარება:

დებეტი – საპროცენტო ხარჯი	30
კრედიტი – გადასახდელი პროცენტი	30

მაგალითად: 20 ნოემბერს საწარმომ სამუშაოზე აიყვანა თანამშრომელი. ხელშეკრულება ითვალისწინებს ხუთ დღიან სამუშაო კვირას ყოველ პარასკევს 225 ლარის ოდენობის ხელფასის გადახდით. პირველი ხელფასი გაიცა 14 ნოემბერს ხოლო მეორე მოხდება 1 დეკემბერს. 30 ნოემბერს, საანგარიშო პერიოდის ბოლოს თანამშრომელს გამომუშავებული აქვს ერთი კვირის ხელფასის 4/5, ანუ 225 × 4/5 = 180 ლარის. აღნიშნული 180 ლარის და კიდევ ერთი დღის – 45 ლარის გადახდა მოხდება 1 დეკემბერს. დარიცხვის კონცეფციის შესაბამისად ბუღალტერი 30 ნოემბერს შემდეგ მაკორექტირებელ გატარებს შეასრულებს.

ოთხი დღის ხელფასის და შესაბამისი დავალიანების აღრიცხვა;

დებეტი – ხელფასის ხარჯი	180
კრედიტი – გასაცემი ხელფასები	180

1 დეკემბერს 225 ლარის ტოლი ხელფასის გაცემის ფაქტი ბუღალტრის მიერ შემდეგი რთული ბუღალტრული გატარებით აღირიცხება.

ორ საანგარიშო პერიოდზე გასანაწილებელი ხელფასის აღრიცხვა:

დებეტი – გასაცემი ხელფასები	180
დებეტი – ხელფასის ხარჯი	45
კრედიტი – ფული	225

დაგროვილი შემოსავლების აღრიცხვა – საწარმომ შეიძლება გამოიმუშავოს შემოსავალი მიმდინარე საანგარიშო პერიოდში, მაგრამ შესაბამის ანგარიშს მომხმარებელს მომავალში გაუგზავნის. მსგავსი შემთხვევა შეიძლება დაკავშირებული იყოს იგივე მომხმარებლისათვის მომავალშიც მომსახურების გაწევასთან და მხოლოდ სრული მომსახურების დასრულების შემდეგ გაეგზავნება ანგარიში.

მაგალითად: საწარმომ 15 ნოემბერს გააფორმა ხელშეკრულება კლიენტთან, რომლის თანახმადაც კლიენტი ყოველი თვის 15 რიცხვში, დაწყებული 15 დეკემბრიდან საწარმოს 240 ლარს გადაუხდის. 30 ნოემბერს ამ შემოსავლის ნაწილი გამომუშავებულია საწარმოს მიერ, მაგრამ

მისი მიღება მოხდება მომავალ საანგარიშგებო პერიოდში. 30 ნოემბერს ადგილი ექნება შემდეგ ბუღალტრულ გატარებას:

დაგროვილი შემოსავლის აღრიცხვის მაკორექტირებელი გატარება:

დებეტი –	მისაღები შემოსავლები	120
კრედიტი –	შემოსავალი მომსახურებიდან	120

15 დეკემბერს 240 ლარის მიღება საწარმოს აღრიცხვის ჟურნალში აისახება შემდეგი გატაებით:

ორ საანგარიშო პერიოდზე განაწილებული შემოსავლის აღრიცხვა:

დებეტი –	ფული	240
კრედიტი –	მისაღები შემოსავლები	120
კრედიტი –	შემოსავალი მომსახურებიდან	120

სადემონსტრაციო ამოცანა:

საწარმოს ფისკალური წელიწადი კალენდარულ წელიწადს ემთხვევა 201× წლის 31 დეკემბერს საწარმოს მიერ მომზადებულ საცდელ ბალანსს აქვს სემდეგი სახე:

გეოფიზიკური საწარმო „დელტა“
საცდელი ბალანსი
31 დეკემბერი 201× წელი

1	მოწყობილობები	20 000	
2	დაგროვილი ცვეთა: მოწყობილობების		1 200
3	წინასწარ გადახდილი იჯარის ხარჯი	3 300	
4	წინასწარ გადახდილი ხარჯი ჟურნალ-გაზეთებზე	960	
5	ოფისის მარაგები	1 300	
6	ფული	12 540	
7	კაპიტალი		17 040
8	ამოღებული კაპიტალი	27 000	

9	მიღებული ავანსები		35 650
10	სათამასუქო ვალდებულებები		5 000
11	შემოსავალი მომსახურებიდან		90 860
12	ხელფასის ხარჯი	66 900	
13	სატელეფონო მომსახურების ხარჯი	2 550	
14	იჯარის ხარჯი	11 000	
15	სხვადასხვა ხარჯები	4 200	
		149 750	149 750

სხვა მონაცემები:

ა) პირველი წლის 11 თვის განმავლობაში იჯარის ხარჯი შეფასებული იყო 1 000 ლარად თვეში. 1 დეკემბერს ახალი ხელშეკრულების მიხედვით იჯარის ხარჯი განისაზღვრა1 100 ლარად და საწარმომ წინასწარ გადაიხადა სამი თვის იჯარა;

ბ) ჟურნალ-გაზეთების გამოწერაზე წინასწარ გადახდილი ხარჯები წლის განმავლობაში შემცირდა 710 ლარით;

გ) 31 დეკემბრის აღწერის მონაცემებით ოფისის მარაგების ღირებულება განისაზღვრა 450 ლარით

დ)მოწყობილობების მომსახურების ვადა შეფასებული იქნა 10 წელიწადად;

ე) სათამასუქო ვალდებულებაზე საპროცენტო ხარჯმა საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის შეადგინა 100 ლარი;

ვ) მომხმარებლისათვის წლის განმავლობაში გაწეული მომსახურების ფასმა შეადგინა 32 550 ლარი:

ზ) 31 დეკემბრისათვის საწარმომ 3 000 ლარის საკონსულტაციო მომსახურება გაუწია კლიენტს, რომელსაც ჯერ არ განუხორციელებია მომსახურების გადასახადის გადახდა;

თ) გასაცემი ხელფასის სიდიდემ 31 დეკემბერს შეადგენინა 2 200 ლარი.

დავალება: მოვამზადოთ გეოფიზიკური საწარმოს სამუშაო ფურცელი.

ამოხსნა:

კორექტირებები:

ა) დებეტი – იჯარის ხარჯი – 1 100

კრედიტი – წინასწარ გადახდილი იჯარის ხარჯი –1 100

ბ) დებეტი – ხარჯი ჟურნალ – გაზეთებზე – 70

კრედიტი – წინასწარ გადახდილი ხარჯი ჟურნალ-გაზეთებზე – 70

გ) დებეტი – მოხმარებული ოფისი მარაგების ხარჯი – 850

კრედიტი – ოფისის მარაგები – 850

1 300 – 450 =850

დ) ცვეთის ხარჯი = 20 000/10= 2 000

დებეტი – მოწყობილობების ცვეთის ხარჯი – 2 000

კრედიტი – მოწყობილობების დაგროვილი ცვეთა – 2 000

ე) დებეტი – საპროცენტო ხარჯი – 100

კრედიტი – გადასახდელი პროცენტი – 100

ვ) დებეტი - მიღებული ავანსი – 32 550

კრედიტი – შემოსავალი მომსახურებიდან – 32 550

ზ) დებეტი – მისაღები შემოსავლები – 3 000

კრედიტი – შემოსავალი მომსახურებიდან –3 000

თ) დებეტი – ხელფასის ხარჯი – 2 200

კრედიტი – გადასახდელი ხელფასი – 2 200

გეოფიზიკური საწარმო „დელტა“

სამუშაო ცხრილი

1 იანვარი – 31 დეკემბერი 200× წ.

ანგარიშ-ების დასახ-ელება	საცდელი ბალანსი		კორექტირე-ბები		კორექტირე-ბული საცდ-ელი ბალანსი		მოგება-ზარალის ანგარიშ-გება		საბალან-სო ანგა-რიშგება	
	დ	კ	დ	კ	დ	კ	დ	კ	დ	კ
ოწყობი-ლობები	20000				20000				20000	
დაგროვი-ლი ცვე-თა მოწყო-ბილობის		1200		2000		3200				3200
წინასწარ-გადახდი-ლი ხარჯ ჟურნალ-გაზეთებზე	960			70	250				250	
წინასწარ გადახდი-ლი იჯარის ხარჯი	3300			1100	2200				2200	
ოფისის მარაგები	1300			850	450				450	
ული	12540				12540				12540	
აპიტალი		17040				17040				17040
ამოღებუ-ლი კაპი-ტალი	27000				27000				27000	
მიღებული ავანსები		35650	32550			3100				3100
სათა-მასუქო ვალდე-ბულებები		5000				5000				5000
შემო-სავალი მომსახ-ურებიდან		90860		32550		126410		126410		
				3000						

ხელფასის ხარჯი	66900		2200		69100		69100			
სატელეფონო მომს-სახურების ხარჯი	2550				2550		2500			
იჯარის ხარჯი	11000		1100		12100		12100			
სხვადასხვა ხარჯები	4200				4200		4200			
	149750	149750								
ხარჯი ჟურნალ გაზეთებზე			70		70		70			
ხარჯ. მოხმ. მარაგ.			850		850		850			
ცვეთის ხარჯ. მოწ.			2000		2000		2000			
საპროცენტო ხარჯ			100		100		100			
გადასახდელი %				100		100				100
მისაღები შემოსავალები			3000		3000				3000	
გასაცემი ხელფასი				2200		2200				2200
			42510	42510	157050	157050	91610	126410	65440	30640
							34800			34800
							126410	126410	65440	65440

პრაქტიკული სავარჯიშოები:

ამოცანა № 46

რობერტსის უძრავი ქონების საწარმო
საცდელი ბალანსი
31 ოქტომბერი, 20----წელი

მიწა	130 000	
შენობა	36 000	
ოფისის აღჭურვილობა	5 400	
სავაჭრო მოთხოვნები	17 890	
ფული	15 490	
ჯეიმს რობერტსი, კაპიტალი		180 000
ჯეიმს რობერტსი, ამოღებული კაპიტალი	1 800	
სავაჭრო ვალდებულებები		23 814
საკომისიო შემოსავალი		10 640
რეკლამის ხარჯი	630	
ხელფასის ხარჯი	7 100	
სატელეფონო მომსახურების ხარჯი	144	
	214 454	214 454

დავალება: მოამზადეთ ცვეთის მაკორექტირებელი გატარებები; შეადგინეთ კორექტირებული საცდელი ბალანსი; მოგება – ზარალის ანგარიშგება; დამასრულებელი ბუღალტრული გატარებები; დახურვის შემდგომი საცდელი ბალანსი.

ამოცანა № 47

ელენ ნორტონის უძრავი ქონების საწარმოს საანგარიშო პერიოდი შეადგენს 1 თვეს. 1 იანვარს საწარმომ შეიძინა შენობა და ოფისის აღჭურვილობა და დაიწყო საქმიანობა. შენობის მომსახურების ვადა შეფასებულ იქნა 30 წელიწადად. ხოლო ოფისის აღჭურვილობის – 5 წელიწადად. მათი სალიკვიდაციო ღირებულება მომსახურების ვადის გასვლის შემდეგ, ბუღალტრის აზრით, პრაქტიკულად 0-ის ტოლი გახდება. ქვემოთ წარმოდგენილია საწარმოს საცდელი ბალანსი.

ნორტონის უძრავი ქონების საწარმო
საცდელი ბალანსი
31 მარტი, 20---წ.

მიწა	25 000	
შენობა	72 000	
დაგროვილი ცვეთა: შენობის		400
ოფისის აღჭურვილობა	24 000	
დაგროვილი ცვეთა; ოფისის აღჭურვილობის		800
სავაჭრო მოთხოვნები	5 000	
ფული	6 500	
ე. ნორტონი, კაპიტალი		37 800
ე. ნორტონი, ამოღებული კაპიტალი	2 000	
სავაჭრო ვალდებულებები		10 000
სათამასუქო ვალდებულებები		81 000
საკომისიო შემოსავალი		20 000

რეკლამის ხარჯი	900	
ავტომობილის იჯარის ხარჯი	700	
ხელფასის ხარჯი	13 300	
სატელეფონო მომსახურების ხარჯი	600	
	150 000	150 000

დავალება:

მოამზადეთ: ა) მარტის თვის ცვეთის მაკორექტირებელი გატარებები;

ბ) მარტის თვის ბოლოსათვის შედგენილი კორექტირებული საცდელი ბალანსი;

გ) მარტის თვისათვის შედგენილი მოგება-ზარალის ანგარიშგება;

დ) მარტის თვის ბოლოს დამასრულებელი ბუღალტრული გატარებები;

ე) დახურვის შემდგომი საცდელი ბალანსი.

ამოცანა № 48

სრული სააღრიცხვო ციკლი

ალის სტეინმა სამედიცინო განათლების დასრულების შემდეგ 1 მაისს დაარსა სამედიცინო მომსახურების მცირე საწარმო. მოღვაწეობის პირველი თვის განმავლობაში ადგილი ჰქონდა შემდეგ გარიგებებს:

1 მაისი – სტეინმა საკუთარი დანაზოგიდან ბიზნესში დააბანდა 121 000 დოლარი;

1 მაისი – გადახდილი იქნა შენობის იჯარა 1 700 დოლარი;

2 მაისი – 7 200 დოლარად შეძენილი იქნა ოფისის აღჭურვილობა;

3 მაისი – 9 000 დოლარად შეძენილი იქნა სამედიცინო ინსტრუმენტები; 1 000 გადახდილი იქნა შეძენის მომენტში; ხოლო დარჩენილ ნაწილზე გაიცა თამასუქი;

4 მაისი – სამშენებლო კომპანიამ სტეინის საწარმოსთან

გააფორმა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ამ უკანასკნელმა უნდა უზრუნველყოს კომპანიის სამედიცინო მომსახურება მშენებლობის დროს მომხდარი უბედური შემთხვევებისას. ამ მომსახურების სანაცვლოდ სამშენებლო კომპანია სტეინის საწარმოს ყოველთვიურად 400 დოლარის ტოლ ჰონორარს გადაუხდის. მაისის თვის ჰონორარი მიღებულ იქნა ხელშეკრულების გაფორმებისთანავე;

15 მაისი – მაისის პირველ ნახევარში სამშენებლო კომპანიიდან მიღებული შემოსავლის გარდა სტეინის საწარმომ გამოიმუშავა 1 600 დოლარი, საიდანაც 600 დოლარი მიღებული იქნა მაშინვე;

15 მაისი – გაცემულ იქნა 1 000 დოლარის ტოლი თვის პირველი ნახევრის ხელფასები;

16 მაისი – ექიმმა სტეინმა პირადი საჭიროებისათვის ბიზნესიდან 975 დოლარი ამოიღო;

19 მაისი – სტეინის საწარმომ გაუწია სამედიცინო მომსახურება სამშენებლო კომპანიის მუშებს, რომლებმაც დაზიანება მიიღეს მშენებლობაზე მომხდარი შემთხვევის გამო. ამ მომსახურებისათვის საწარმოს არ მიუღია დამატებითი შემოსავალი, რადგან სამშენებლო კომპანიამ 4 მაისს წინასწარ გადაუხადა მას მთელი თვის მომსახურების ღირებულება;

27 მაისი – რამდენიმე პიროვნებას საწარმომ ჩაუტარა სამედიცინო გამოკვლევა, რის სანაცვლოდა მიიღო 25 დოლარი, ხოლო 35 დოლარს მიიღებს 1 ივნისამდე;

31 მაისი – ზემოთ ჩამოთვლილი შემოსავლების გარდა სტეინის სამედიცინო მომსახურების საწარმომ მაისის მე-2 ნახევარში დამატებით გამოიმუშავა
4 000 დოლარი, აქედან – 2 100დოლარი ფულის სახით მიიღო;

31 მაისი – გაიცა 1 000 დოლარის ტოლი მაისის მე-2 ნახევრის ხელფასები;

31 მაისი – მომწოდებლისგან მიღებულ იქნა შეტყობინება მაისში მოწოდებული მედიკამენტებისა და სხვა

სამკურნალო საშუალებების ღირებულების,
640 დოლარის გადახდის მოთხოვნით;
31 მაისი – გადახდილ იქნა მაისის თვის კომუნალური მომსახურების ხარჯი 300 დოლარის ოდენობით;

სტეინის შეფასებით სამედიცინო ინსტრუმენტების მომსახურების ვადა შეადგენს 3 წელს, ხოლო ოფისის აღჭურვილობის – 5 წელს. მათი სალიკვიდაციო ღირებულება მომსახურების ვადის ბოლოს, სტეინის აზრით პრაქტიკულად ნულს გაუტოლდება.

დავალება:

1. მოახდინეთ საქმიანი გარიგებების გატარება მთავარ ჟურნალში;
2. გადაიტანეთ ჩანაწერები მთავარი ჟურნალიდან მთავარი წიგნის ანგარიშებზე;
3. მოამზადეთ საცდელი ბალანსი 31 მაისის თარიღით;
4. მოახდინეთ ცვეთის მაკორექტირებელი გატარებების ჩაწერა მთავარ ჟურნალში და მათი გადატანა მთავარი წიგნის შესაბამის ანგარიშებზე;
5. მოამზადეთ კორექტირებული საცდელი ბალანსი;
6. შეადგინეთ მაისის თვის მოგება-ზარალის ანგარიშგება;
7. შეასრულეთ დამასრულებელი გატარებების ჟურნალში ჩაწერა და მთავარი წიგნის ანგარიშებზე მონაცემების გადატანა;
8. მოამზადეთ საბალანსო ანგარიშგება ვერტიკალური ფორმატით, საბალანსო ანგარიშგების საკუთარი კაპიტალის განაკვეთში აჩვენეთ მისი სიდიდის ცვლილება;
9. მოამზადეთ დახურვის შემდგომი საცდელი ბალანსი.

ამოცანა № 49

მარტა კარტერის ფისკალური წელი ემთხვევა კალენდარულ წელს. ზემოთ წარმოდგენილია სააგენტოს კორექტირებული საცდელი ბალანსი ფისკალური წლის ბოლოს.

კარტერის სადაზღვევო სააგენტო
კორექტირებული საცდელი ბალანსი
31 დეკემბერი, 20---წ.

მიწა ----------	140 000	
შენობა ----------	90 000	
დაგროვილი ცვეთა: შენობა ----------		12 000
ოფისის აღჭურვილობა ----	4 000	
დაგრ. ცვეთა: ოფ. აღჭ. ----------		1 600
სავაჭრო მოთხოვნები ---------	12 800	
სათამასუქო მოთხოვნები ---	6 000	
ფული ----------	7 300	
მ. კარტერი, კაპიტალი ----------		132 300
მ. კარტერი, ამოღ. კაპიტ. --		24 000
სავაჭრო ვალდებულებები ----------		16 200
სათამასუქო ვალდებულებები ----------		100 000
შემოსავალი მომსახურებიდან ----------		89 500
რეკლამის ხარჯი ----------	12 500	
დაზღვევის ხარჯი ----------	2 800	
კომუნ. მომს. ხარჯი ----------	2 600	
ხელფასის ხარჯი ----------	46 200	
ცვეთის ხარჯი: შენობა ------	3 000	
ცვეთის ხარჯი:		
ოფისის აღჭურვილობა ------	400	
	351 000	351 000

დავალება: მოამზადეთ:

1. მოგება-ზარალის ანგარიშგება;
2. დამასრულებელი გატარებები ფისკალური წლის ბოლოს;
3. საბალანსო ანგარიშგება ვერტიკალური ფორმატით, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საკუთარი კაპიტალის განაკვეთში აჩვენეთ მისი სიდიდის ცვლილება.

VIII თავი. დ. ღ. გ. და მისი აღრიცხვა

დ.ღ.გ-ს აღრიცხვის მეთოდოლოგია დამოკიდებულია დ.ღ.გ-ს ადმინისტრირების წესზე. იგი მიეკუთვნება არაპირდაპირ გადასახადს და მისი გაანგარიშება წარმოებს საგადასახადო კოდექსის საფუძველზე. დ.ღ.გ. არის საქონლის წარმოების და განაწილების ყველა სტადიაზე დამატებული ღირებულების ნაწილის, აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანილი ყველა დასაბეგრი საქონლის ღირებულების ნაწილის სავალდებულო შენატანი ბიუჯეტში. დ.ღ.გ-სდადგენა ხდება მიწოდებული საქონლის და მომსახურების ფასზე დანამატის სახით. იგი მყიდველის გადასახადია და იხდის მომხმარებელი ამ ფასეულობის შეძენისას.

საგადასახადო კოდექსის შესაბამისად დ.ღ.გ-ს გადამხდელები არიან ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც სავალდებულო ან ნებაყოფლობითი წესით რეგისტრირებულნი არიან დ.ღ.გ-ს გადამხდელად.

დ.ღ.გ-ს გადამხდელად რეგისტრაცია წარმოებს დ.ღ.გ-თი დასაბეგრი ოპერაციის განსაზღვრულ მომენტამდე მიღწევისას ან არაუგვიანეს მეორე დღისა. საგადასახადო კოდექსის მიხედვით ზოგიერთი საწარმო განთავისუფლებულია დ.ღ.გ-ს გადასახადისაგან. დაბეგვრის ობიექტია დასაბეგრი ოპერაცია და დასაბეგრი იმპორტი. დ.ღ.გ-ს განაკვეთი შეადგენს დასაბეგრი ბრუნვის ან დასაბეგრი იმპორტის განსაზღვრულ პროცენტს და მისი გადახდა ხდება ყოველთვიურად განსაზღვრულ ვადაში.

დ.ღ.გ. დამატებითი ღირებულების გადასახადის აღრიცხვა – დ.ღ.გ-ს განაკვეთი დასაბეგრი ბრუნვის ან დასაბეგრი იმპორტის 18 %-ს შეადგენს. დ.ღ.გ-ს გადამხდელი ვალდებულია საგადასახადო ორგანოს გაუგზავნოს დ.ღ.გ-ს დეკლარაცია ყოველ საანგარიშო პერიოდზე არაუგვიანეს

ამ პერიოდის მომდევნო თვის 15 რიცხვისა. დ.ღ.გ-ს საანგარიშო პერიოდად ითვლება კალენდარული თვე.

დასაბეგრი ბრუნვიდან ბიუჯეტში შესატანი დ.ღ.გ-ს თანხა განისაზღვრება ამ ბრუნვაზე დარიცხულ დ.ღ.გ-ს თანხასა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურით ჩათვლილ დ.ღ.გ-ს შორის სხვაობა. (მიღებულ და გადახდილ დ.ღ.გ-ს შორის სხვაობა).

საანგარისგებო თვის განმავლობაში საწარმო შესყიდულ სასაქონლო მატერიალურ ფასეულობებზე იხდის დ.ღ.გ-ს ამ ფასეულობათა ღირებულებასთან ერთად, ან წარმოიქმნება მისი გადახდის ვალდებულება. აღნიშნული დ.ღ.გ. ექვემდებარება ჩათვლას ამით წარმოიქმნება მოთხოვნა ბიუჯეტისადმი. როდესაც საწარმო ყიდის სასაქონლო მატერიალურ ფასეულობებს მას უხდიან ღირებულებას, რომელშიც შედის ბიუჯეტისადმი გადასახდელი დ.ღ.გ. ე. ი. ერთდროულად წარმოიშობა შემოსავალი რეალიზაციიდან და ვალდებულება ბიუჯეტის მიმართ.

ბ.ა.ს.ს-ის დარიცხვის მეთოდით, სამეურნეო მოვლენების და ოპერაციების აღიარება ხდება მათი მოხდენისთანავე ე.ი. დ.ღ.გ-ს გადახდის ვალდებულება წარმოიქმნება საქონლის ან მომსახურების მიწოდებისთანავე.

ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს გადახდილი (3330) და გადასახდელი დ.ღ.გ. (3340). 3330- გადახდილი დ.ღ.გ. გამოიყენება გაყიდვის დროს და ის ყოველთვის კრედიტშია. 3340 – გადასახდელი დ.ღ.გ. გამოიყენება შეძენის დროს და ის დებეტშია. გადახდილი დ.ღ.გ-ს კრედიტში აღირიცხება ვალდებულება. მისი წარმოქმნა აისახება გატარებით;

დ – 1110 ან1410

კ – 6110

კ – 3330

მატერიალური ფასეულობების შეძენის მომენტში ჩასათვლელი დ.ღ.გ. აისახება გატარებით;

დ – 1600 სასაქონლო-მატერიალური მარაგი

დ – 3340 გადახდილი დ.ღ.გ. (ჩასათვლელი)

კ – 3110

როდესაც თანხა გადაირიცხება

დ – 3110

კ - 1210

საანგარიშო პერიოდის ბოლოს ერთმანეთს შეუდარდება გადასახდელი და ჩასათვლელი (გადახდილი) დ.ღ.გ. მიღებული ნაშთი მომდევნო წლისთვის გადაიტანება შესაბამის ანგარიშზე, ანუ უნდა მოხდეს ერთ-ერთი ანგარიშის განულება, კერძოდ რომელზეც მცირე ნაშთი გვაქვს. თუ მცირე ნაშთია 3340 ანგარიშზე მოვახდენთ შემდეგ გატარებას;

დ – 3330

კ – 3340

შემდეგ დავიანგარიშებთ 3330-ზე ნაშთს და რაც დაგვრჩება გადავრიცხავთ ბიუჯეტში:

თუ დ.ღ.გ. მოცემულია მთლიან თანხაში მის გამოსაცალკევებლად ვიყენებთ დ.ღ.გ-ს კოეფიციენტს ესენია 15.26 % ან 1.18.

პრაქტიკული სავარჯიშოები

დ.ღ.გ. დამატებითი ღირებულების გადასახადის აღრიცხვა

ამოცანა № 50

1. 2010 წელს დაარსდა საწარმო, რომლის მფლობელი იყო ინდ. მეწარმე ბექა ქურხული. საწესდებო კაპიტალი 40 000 ლარია. ეს არის შენობა – 25 000, ოფისის აღჭურვილობა – 5 000; ფული სალაროში – 5 000; ავტომობილი – 5 000 ლარი.
2. ნაღდი ანგარიშსწორებით შეძენილია საქონელი 2 000 ლარი + დ.ღ.გ..
3. კრედიტში შეძენილია ავეჯი 2 500 ლარის ღირებულების + დ.ღ.გ.
4. აღებულია გრძელვადიანი სესხი 7 000 ლარი წლიური

16 % - იანი საპროცენტო განაკვეთით, ეს თანხა საბანკო ანგარიშზეა.

5. რეალიზებულია 2 000 ლარის თვითღირებულების საქონელი 3 000 ლარად + დ.ღ.გ. ნახევარი მიღებულია სალაროში, ნახევარი მისაღებია.
6. ბანკიდან სალაროში შეტანილია 1 300 ლარი.
7. შეძენილია კომპიუტერი შემდგომი გადახდის პირობით 2 300 ლარად.
8. ნაღდი ანგარიშსწორებით გადახდილია ტელეფონის ხარჯი – 52 ლარი + დ.ღ.გ;
9. გრძელვადიან სესხს დაერიცხა ერთი თვის საპროცენტო ხარჯი;
10. გაქირავებულია საწარმოს ერთი ოთახი. წლიური საიჯარო გადასახადი 6 000 ლარია. დარიცხულია ერთი თვის საიჯარო შემოსავალი;
11. გადარიცხულია იჯარის ხარჯი 700 ლარი + დ.ღ.გ;
12. მიღებულია 10 400 ლარის საპროცენტო შემოსავალი დ.ღ.გ.-ს ჩათვლით უნაღდო ანგარიშსწორებით;

დავალება: მოახდინეთ შესაბამისი ბუღალტრული გატარებები, აწარმოეთ რეგისტრაციის ჟურნალი, გახსენით T ანგარიშები, შეადგინეთ საცდელი ბალანსი, მოგება-ზარალის ანგარიშგება, დროებით ანგარიშებს გაუკეთეთ დახურვები, შეადგინეთ საბოლოო ბალანსი.

დ.ღ.გ. დამატებითი ღირებულების გადასახადის აღრიცხვა

დ.ღ.გ.-ს განაკვეთები – დ.ღ.გ.-ს განაკვეთი დასაბეგრი ბრუნვის ან დასაბეგრი იმპორტის 18 %-ს შეადგენს.

დ.ღ.გ.-ს გადამხდელი ვალდებულია საგადასახადო ორგანოს გადაუგზავნოს დ.ღ.გ.-ს დეკლარაცია ყოველ საანგარიშო პერიოდზე არაუგვიანეს ამ პერიოდის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

დ.ღ.გ.-ს საანგარიშგებო პერიოდად ითვლება კალენდარული თვე.

3330 – ანგარიში – გადასახდელი დ.ღ.გ. გამოიყენება გაყიდვის დროს და ყოველთვის კრედიტშია.

3340 – ანგარიში – გადასახდელი დ.ღ.გ.გამოიყენება შეძენის დროს და ყოველთვის დებეტშია.

განვიხილოთ ამოცანა № 50-ის მეორე დღეს განხორციელებული ოპერაციის დ.ღ.გ.-ს გატარება.

მაგ: ნაღდი ანგარიშსწორებით შეძენილია საქონელი 2 000 ლარის + დ.ღ.გ.. ვინაიდან 2 000-ის 18% არის 360 ლარი, შესრულებულ ოპერაციას ექნება შემდეგი გატარება.

დ – 3340 – 360

დ – 1610 – 2 000

კ – 1110 – 2 360

როდესაც გავქვს თანხა მიღებული დ.ღ.გ.-სთან ერთად, მაგ: ამოცანა № 50-ის მე-12 დღეს განხორციელებული ოპერაცია: მიღებულია 10 400 ლარის საპროცენტო შემოსავალი დ.თ.გ.- ს ჩათვლით უნაღდო ანგარიშ-სწორებით. ამ შემთხვევაში მიღებულ თანხას 10 400 ლარს ვამრავლებთ 15,26 % = 1 587,04 ე.ი. 1 587 არის დ.ღ.გ.

არსებობს დ.ღ.გ.-ს გამოყოფის კიდევ მეორე ხერხი, რომლის დროსაც საპროცენტო შემოსავალს, ე.ი. ჩვენს შემთხვევაში 10 400-ს ვყოფთ 1,18; ვიღებთ 8 813,56.

10 400 – 8 813,56 = 1 586,44 – მიღებული თანხა არის დ.ღ.გ. მას ექნება გატარება.

დ – 1210 – 10 400

კ – 3330 – 1 586,44

კ – 8110 – 8 813,56

ამოცანა № 51

საწარმოს საწყისი ნაშთები წლის დასაწყისში:

1210 – 1 800 ლარი; 1110 – 3 000 ლარი; 1610 – 700 ლარი; 5150 – 18 000 ლარი; 2130 – 17 800 ლარი; 4140 –

5 300 ლარი; 1620 – 350; 3110 – 350 ლარი.

1. შეძენილია ტრანსპორტი 6 300 ლარად კრედიტში;
2. კრედიტში რეალიზებულია 700 ლარის მომსახურება;
3. აღებულია ბანკის მოკლევადიანი სესხი 1 500 ლარი წლიური 11%-იანი განაკვეთით. ეს თანხა ნახევარი სლაროშია, ნახევარი საწარმოს ჩაერიცხა ბანკში.
4. რეალიზებულია 500 ლარის საქონელი 1 000 ლარად + დ.ღ.გ. ნახევარი მიღებულია სალაროში, 250 ლარი ჩაირიცხა ბანკში, 340 ლარი მისაღებია;
5. უნაღდო ანგარიშსწორებით გადახდილია ტელეფონის ხარჯი – 275 ლარი თანხა მოიცავს დ.ღ.გ-ს;
6. ნაღდი ანგარისსწორებით მიღებულია შემოსავალი მომსახურებიდან 7 000 ლარი.
7. რეალიზებულია 350 ლარის ნედლეული 730 ლარად, დ.ღ.გ.-ს ჩათვლით. 400 ლარი – უნაღდო ანგარიშსწორებით იქნა ჩარიცხული. დანარჩენი მიღებულია ნაღდი ანგარიშსწორებით.
8. შ.პ.ს. „მონიტორს“ გაუწია მომსახურება 2 100 ლარის + დ.ღ.გ.. 1000 ლარი მიღებულია სალაროში, 800 ლარი ჩაირიცხა ბანკში, დანარჩენი მისაღებია.
9. მადაზია „ბელუქსიდან“ 3 თვეში გადახდის პირობით შეიძინა 4 000 ლარად ავეჯი, თანხა მოიცავს დ.ღ.გ.-ს.
10. საწარმომ დაიქირავა საოფისე ფართი. წლიური გადასახადი 8 400 ლარია. 2 თვის თანხა წინასწარ იქნა გადახდილი ნაღდი ანგარისსწორებით.
11. გადახდილია დაზღვევის ხარჯი 900 ლარი, კონსულტაციის ხარჯი 300 ლარი დ.ღ.გ.-ს ჩათვლით, ტელეფონის ხარჯი 40 ლარი + დ.ღ.გ.
12. მიღებულია საპროცენტო შემოსავალი 5 500 ლარი წლის ბოლოს. თანხა ჩაირიცხა საბანკო ანგარიშზე.

დავალება: მოახდინეთ შესაბამისი ბუღალტრული გატარებები, აწარმოეთ რეგისტრაციის ჟურნალი, მთავარი

დავთარი, საცდელი ბალანსი, მოგება-ზარალის ანგარიშგება, შეადგინეთ საბოლოო ბალანსი.

ამოცანა № 52

საწარმოს აქვს შემდეგი საწყისი ნაშთები:

1110 – 4 200; 1210 – 3 000; 1410 – 400; 3210 – 1 500; 5150 – 3 450; 4140 – 3 600; 2160 – 3 650; 3110 – 2 700

1. გადახდილია შენობის იჯარის თანხა 850 ლარი (სალაროს გასავლის ორდერი № 7);
2. შეძენილია 850 ლარის ნედლეული + დ.ღ.გ. 550 გადრიცხვით. დანარჩენი გადასახდელია.
3. გადახდილია ტელეფონის ხარჯი 50 ლარი + დ.ღ.გ; კონსულტაციის ხარჯი 70 ლარი დ.ღ.გ.-ს ჩათვლით. დაზღვევის ხარჯი 75 ლარი ნაღდი ანგარიშსწო-რებით (სალაროს გასავლის ორდერი №8);
4. შეძენილია 1 150 ლარის საქონელი + დ.ღ.გ. 700 ლარი გადარიცხვით, დანარჩენი გადასახდელია.
5. გასტუმრებულია კრედიტორული დავალიანება 470 ლარი: 270 სალაროდან დანარჩენი ბანკიდან;
6. შეძენილია ავტომანქანა 3 800 ლარად + დ.ღ.გ. 800 ლარი გადარიცხა საწარმომ, 500 ლარი გადაიხადა სალაროდან, დანარჩენი ვალია;
7. შეძენილია საწვავი კრედიტით, რომელიც პირდაპირ დაიხარჯა წარმოებაში 335 ლარის დ.ღ.გ.-ს ჩათვლით;
8. თელასიდან მიღებულია ანგარიშფაქტურა 173 ლარზე. თანხა მოიცავს დ.ღ.გ.-ს. ეს თანხა გადახდილი იქნება 10 დღის შემდეგ.
9. აღებულია გრძელვადიანი სესხი 2 800 ლარი, წლიური 18 %-იანი განაკვეთით. ნახევარი ბანკში ჩაირიცხა, ნახევარი სალაროში.
10. დარიცხულია პერსონალის ხელფასი 450 ლარი (ხელ-

ფასის უწყისი №2);

11. საწარმომ გაუწია კლიენტს მომსახურება და მიიღო შემოსავალი 250 ლარი. თანხა სალაროშია (სალაროს შემოსავლის ორდერი №5).

დავალება: შეადგინეთ მოცემული საწარმოს საბოლოო ბალანსი გატარებების, T ანგარიშების, მოგება-ზარალის ანგარიშგების და დახურვების შემდგომ.

IX თავი. ხელფასი და მისი აღრიცხვა

9.1. ხელფასი, მისი დარიცხვა და გაცემა

დარიცხული ვალდებულებების ერთ-ერთი სახეა დარიცხული ხელფასი. პროუქციის დამზადებაზე მატერიალურ დანახარჯებთან ერთად მნისვნელოვანია შრომითი დანახარჯები, რომელიც აგრეთვე შეიტანება პროდუქციის თვითღირებულებაში. ხელფასი დახარჯული შრომის ღირებულებაა ფულად ფორმაში. იგი შრომითი კანონმდებლობის შესაბამისად გაიცემა. ამჟამად პრაქტიკაში გამოიყენება დროითი და სანარდო ხელფასის გარკვეული კომბინაცია.

ხელფასი მოიცავს ყველა სახის გამომუშავებას, აგრეთვე პრემიებს, დანამატებს და სოციალურ შეღავათებს. ხელფასი ერთი მხრივ წარმოადგენს წარმოების ხარჯების მნიშვნელოვან ნაწილს და მეორეს მხრივ საწარმოს ვალდებულებას მუშა-მოსამსახურეთა მიმართ. მისი დარიცხვა წარმოებს ყოველთვიურად. Xელფასი გაიცემა თვეში ერთხელ.

გასაცემი ხელფასის გამოსათვლელად საჭიროა საათანადო მონაცემები ნამუშევარი დროისა და შესრულებუ-

ლი სამუშაოს შესახებ, რისთვისაც გამოიყენება სხვადასხვა დოკუმენტები: ქრონობარათი, შეკვეთის სააღრიცხვო ბარათი, ინდივიდუალური გამომუშავების ბარათი, ტაბელი და ა.შ.

პროდუქციის თვითღირებულების კალკულაციის მიზნებისათვის იდენტიფიცირებული უნდა იქნას პირდაპირი და არაპირდაპირი ხელფასი. პირდაპირი ხელფასი მიეცემა კონკრეტულ სამუშაოზე მომუშავე მუშას. ეს ხელფასი შრომის გაწევისთანავეა ცნობილი.

არაპირდაპირი ხელფასი გაიცემა ისეთ სამუშაო დროზე, რომელიც კონკრეტულად არც ერთი სამუშაოს შესრულებაზე არ იხარჯება. მაგალითად ინჟინრის ხელფასი, რომელიც მუშაობს დანადგარებზე რომელთა საშუალებით მრავალი პროდუქცია მზადდება.

მუშა-მოსამსახურეებთან ანგარიშსწორების აღსარიცხავად გამოიყენება „ საანგა-რიშსწორებო უწყისი“, სადაც წარმოებს ხელფასის დარიცხვა, აგრეთვე ხელფასიდან დაკავების და ხელზე გასაცემი თანხის გაანგარიშება. მის საფუძველზე ივსება გადახდის უწყისი.

ხელფასის დარიცხვა წარმოქმნის ვალდებულებას, ვალდებულება კი იფარება მუშა-მოსამსახურეებისათვის ფულადი თანხის ან სხვა აქტივების გაცემით. ხელფასის ხარჯი შეიძლება წარმოგვეშვას საწარმოში, მიმოქცევაში, ადმინისტრაციაში, დაუმთავრებელ მშენებლობასა და დაუმთავრებელ წარმოებაში. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა კატეგორიის ხელფასის ხარჯის დარიცხვის ბუღალტრულ ასახვას აქვს შემდეგი სახე:

დ – 7120 - პირდაპირი ხელფასი

დ – 7150 – არაპირდაპირი ხელფასი

დ – 7320 – შრომის ანაზღაურება და საკომისიო გასამრჯელო- ვაჭრობის სფერო.

დ - 7410 – შრომის ანაზღაურება – ადმინისტრაციის ხელფასი

დ – 2120 – დაუმთავრებელი მშენებლობა-მშენებლო-

ბაზე მომუშავეთა ხელფასი

დ – 1630 – დაუმთავრებელი წარმოება (ფუნქციური დანიშნულების მიხედვით ხარჯების აღრიცხვისას)

კ – 3130 – გადასახდელი ხელფასი

საგადასახადო კანონმდებლობით საშემოსავლო გადასახადის გადამხდელები არიან რეზიდენტი და არა რეზიდენტი ფიზიკური პირები, რომლებსაც საგადასახადო წლის განმავლობაში გააჩნიათ დასაბეგრი შემოსავლები. მუშა-მოსამსახურეთა ხელფასიდან საშემოსავლო გადასახადის დაკავებით წარმოიქმნება ვალდებულება ბიუჯეტის წინაშე.

დებეტი – 3130 – გადასახდელი ხელფასები

კრედიტი – 3320 – გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი

ხელფასის გაცემა წარმოებს საწარმოს სალაროდან ან ბანკიდან. განვიხილოთ ორივე შემთხვევა.

ხელფასის გაცემა საწარმოს სალაროდან

ბანკში მიგვაქვს ჩეკი შევსებული გადასახდელი ხელფასის თანხით და საგადასახადო დავალება ჩვენი ანგარიშიდან ხელფასის საშემოსავლო გადასახადის გადარიცხვაზე. როდესაც გამოვიტანთ ხელფასს სალაროში, შევავსებთ სალაროს შემოსავლის ორდერს და მოვახდენთ შემდეგი სახის ბუღალტრულ გატარებას.

დებეტი – 1110

კრედიტი – 1210

როდესაც დავარიგებთ ხელფასს, დავხურავთ ყველა უწყისს გამოვწერთ სალაროს გასავლის ორდერს და მოვახდენთ შემდეგი სახის ბუღალტრულ გატარებას.

დებეტი – 3130

კრედიტი – 1110

როდესაც ბანკიდან მოვიტანთ ბანკის ამონაწერს იქ დაფიქსირებული იქნება გადარიცხული საშემოსავლო გადასახადი, რაზეც მოვახდენთ შემდეგი სახის ბუღალ-

ტრულ გატარებას.

დებეტი – 3320

კრედიტი – 1210

ბანკიდან ხელფასის გაცემისას ბანკში მიგვაქვს ან ელექტრონულად გადავაგზავნით გამოწერილ სელფასის უწყისს და საგადასახადო დავალებას. ბანკი რამოდენიმე საათში გაუაქტიურებს თანხას თანამშრომელებს სახელფასო ბარათებზე. ბანკის ამონაწერის საფუძველზე მოვახდენთ შემდეგი სახის ბუღალტრულ გატარებას.

დებეტი – 3130	დებეტი – 3320
კრედიტი – 1210	კრედიტი – 1210

შვებულების ხელფასის აღრიცხვა

საქართველოს შრომითი კანონმდებლობა ითვალისწინებს წელიწადში ერთხელ მუშკს მიეცეს 24 დღიანი ფასიანი შვებულება, როცა იგი სამუშაოზე არ იმყოფება. ამ მიზნით მუშების ხელფასს ემატება დანამატი შვებულების ხელფასისათვის, რაც საშუალებას იძლევა მუშას გარანტირებული ჰქონდეს შვებულების ანაზღაურება.

შვებულების თანხის გამოსათვლელად წინა 3 თვის ხელფასი ჯერ გაიყოფა 3-ზე და შემდეგ 30 დღეზე. მიღებული სიდიდე გამრავლდება შვებულების დღეთა რიცხვზე (შაბათის და კვირის დღეების ჩათვლით).

მმართველი პერსონალისათვის შვებულების ხელფასისთვის წინასწარი ვალდებულებები არ წარმოიშობა, რადგან მმართველები უშუალოდ პროდუქციის დამზადებაზე არ მუშაობენ და ამდენად მათი შვებულებისათვის თანხების წინსწარ დაგროვება საჭირო არაა. მათი შვებულების ანაზღაურება ჩვეულებრივ ხელფასის სახით აღირიცხება.

საშვებულებო ვალდებულებების დარიცხვა.

დ – შრომის ანაზღაურების ამსახველი ანგარიშები

კ – 3440 – დარიცხული საშვებულებო ვალდებულება

შვებულების ანაზღაურების დარიცხვა.

დ – 3440 – დარიცხული საშვებულებო ვალდებულება

კ – 3131 – გადასახდელი შვებულების ანაზღაურება

ყველა სახის გადასახადის დაკავების შემდეგ ხდება შვებულების ანაზღაურების გაცემა.

დ – 3131 – გადასახდელი შვებულების ანაზღაურება

კ – 1110 ან 1210

9.2. მუშაკთა მატერიალური წახალისების სისტემები

პრემიები გაიცემა მუშაკთა მატერიალური წახალისების მიზნით. მისი გაანგარიშება სხვადასხვა წესით ხდება. პრემიების გაცემა წარმოების ძირითად და დამხმარე მუშახელზე განიხილება, როგორც ჩვეულებრივი საწარმოო დანახარჯები და შეიტანება პროდუქციის თვითღირებულებაში. ყველა დანარჩენ პერსონალზე გადახდილი პრემია წარმოადგენს პერიოდის ხარჯს და მოგება-ზარალის ანგარისგებიდან ჩამოიწერება.

დროის ეკონომიისათვის პრემიის გამოთვლის ორი სისტემა გამოიყენება: ჰალსეის და როუანის.

ჰალსეის სისტემით მომუშავე პრემიას იღებს ნამუშევარი დროის ეკონომიის 50 % -ს ძირითადი ანაზღაურების საფუძველზე.

პრემია = [(დაშვებულ დროს – ფაქტიური დრო)] / 2 * საათობრივ ტარიფზე

როუანის სისტემით პრემიალური ანაზღაურება ეფუძვნება დახარჯული დროის დასაშვებ დროსთან ფარდობის კოეფიციენტს.

პრემია = დახარჯული დრო / დასაშვები დრო * დაზოგილი დრო * საატარიფო განაკვეთი.

პრემიის გადახდა საწარმოო პროგრამის გადაჭარბების ყოველი პროცენტისათვის მუშების უფრო მეტ დაინ-

ტერესებას იწვევს.

საწარმოში ზოგჯერ საჭირო მომუშავეთა ჯგუფური მატერიალური წახალისება. საერთაშორისო პრაქტიკაში პრემიის გამოთვლის კიდევ ერთი ხერხია მიღებული „წილი დამატებით ღირებულებაში“. ამ მეთოდის დროს საწარმოში ხდება შეთანხმება„დამატებით ღირებულებაში“ მუშაკთა ანაზღაურების 40 – %-იანი წილის შესახებ. თუ აღმოჩნდა, რომ მომუშავეებზე გაცემული ხელფასის საერთო თანხა დამატებულ ღირებულებაში დადგენლ წესზე ნაკლებია, მაშინ სხვაობის სიდიდის ტოლი თანხის ფარგლებში გაიცემა პრემია. დამატებული ღირებულება არის სხვაობა <u>შემოსავალსა და მატერიალურ დანახარჯებს შორის.</u>

პრაქტიკული სავარჯიშოები

ამოცანა № 53

გავატაროთ ხელფასის დარიცხვები, გამოვწეროთ ხელფასის უწყისი.

მონაცემები:

1. ადმინისტრაცია

	კონტრაქტით	სამუშაო დღეები
დირექტორი	1 000	23
ბუღალტერი	1 000	20
მდივანი	300	17

2. საწარმოო განყოფილება

მუშები უშვებენ A, B და C პროდუქციას.

არის 4 მუშა

	A	B	C
I მუშა	20	25	-
II მუშა	20	-	70
III მუშა	15	100	45
IV მუშა	-	35	60

A პროდუქციის ერთეულის დამზადებაზე მუშებს ხელშეკრულებით უხდიან 1.35 ლარს.B პროდუქციის დამზადებაზე – 2.75 ლარი, C პროდუქციის დამზადებაზე – 3.25 ლარს.

2. რეალიზაციის განყოფილება

არის 3 რეალიზატორი, კონტრაქტით თვეში აქვთ 150 ლარი. არდა ამისა ემატებათ გამომუშავება გაყიდულზე 0.8 ლარი.

	ნამუშევარი დღეები	გაყიდვების რაოდენობა
I რეალიზატორი	23	375
II რეალიზატორი	20	290
III რეალიზატორი	19	200

შენიშვნა: ამ თვეში სამუშაო დღეები იყო 23 დღე.

ამოცანა № 54

გავატაროთ ხელფასის დარიცხვები გამოვწეროთ ხელფასის უწყისები

გვაქვს შემდეგი მონაცემები

1. ადმინისტრაციული პერსონალი

	კონტრაქტით	სამუშაო დღეები
დირექტორი	1 000	23
ბუღალტერი	700	19
მდივანი	300	15
მენეჯერი	600	21

2. მუშები, რომლებიც უშვებენ A, Bდა C პროდუქციას. არის 6 მუშა

	A	B	C
I მუშა	50	-	200
II მუშა	20	100	-
III მუშა	-	80	175
IV მუშა	86	24	12
V მუშა	-	81	17
VI მუშა	200	25	77

პროდუქციის გამოშვებისას მუშებს უხდიან ხელშეკრულებით: A – 1.75; B – 0.84; C – 2.26.

3. გასაღების განყოფილება.

რეალიზატორები არიან ოთხნი. კონტრაქტით თვეში აქვთ 300 ლარი. ამ ხელფასს

	სამუშაო დღეები	გაყიდულის რაოდენობა
I რეალიზატორი	20	60
II რეალიზატორი	18	79
III რეალიზატორი	23	202
IV რეალიზატორი	17	55

შენიშვნა; სამუშაო დღე ამ თვეში იყო 23.

ამოცანა №55

საწარმო „აია“ყოველთვე ხელფასს უხდის მომსახურე პერსონალს. დასაქმებულია ადმინისტრაციული პერსონალი: დირექტორი, მენეჯერი და ბუღალტერი, რომელთა ხელფასები და სამუშაო დღეები მოცემულია ქვემოთ.

საწარმოში დასაქმებულია აგრეთვე ორი რეალიზატორი, რომელთაც კონტრაქტით თვეში აქვთ 300 ლარი. გარდა ამისა ემატებათ გამომუშავება გაყიდულზე 0,5 ლარი.

დავალება: გამოვწეროთ საწარმოს 2012 წლის სექტემბრის თვის უწყისი. აღნიშნულ თვეში სულ 23 სამუშაო დღეა.

გვაქვს შემდეგი მონაცემები

კონტრაქტით		სამუშაო დღეებ
დირექტორი	1 500	23
მენეჯერი	1 200	23
ბუღალტერი	1 000	23

	გაყიდვ. რაოდ.	სამუშ. დღეები
I რეალიზატორი	300	20
II რეალიზატორი	225	17

ამოხსნა:

გამოვწეროთ ხელფასის უწყისი

	ხელფასი	დარიცხული სულ	საშემოსავლო გადასახადი	სულ დაკავებები	ხელზე გასაცემი თანხა
დირექტორი	1 500	1 500	300	300	1 200
მენეჯერი	1 200	1 200	240	240	960
ბუღალტერი	1 000	1 000	200	200	800
სულ ადმინისტრაცია	3 700	3 700	740	740	2 960
I რეალიზატორი	410,87	410,87	82,17	82,17	328,70
II რეალიზატორი	334,24	334,24	66,85	66,85	267,39
სულ რეალიზატორები	745,11	745,11	149,02	149,02	596,09
სულ	4 445,11	4 445,11	889,02	889,02	3 556,09

ხელზე გასაცემი თანხაა: სამი ათას ხუთას ორმოცდა თექვსმეტი ლარი და ცხრა თეთრი.

ხელფასის დარიცხვა და მათი დაქვითვა.

1. დაერიცხა ადმინისტრაციას ხელფასი
   დებეტი – 7410 – 3 700
   კრედიტი – 3130 – 3 700
2. დაერიცხა რეალიზატორებს ხელფასი
   დებეტი – 7320 – 745,11
   კრედიტი – 3130 – 745,11
3. დაერიცხა საშემოსავლო

დებეტი – 3130 – 889,02
კრედიტი – 3120 -889,02

4. ხელფასის გაცემა
   დებეტი – 3130 – 3 556,09
   კრედიტი – 1110 ან 1210 – 3 556,09

ამოცანა №56

საწარმო ყოველთვე ხელფასს უხდის მომსახურე პერსონალს. დასაქმებულია ადმინისტრაციული პერსონალი: დირექტორი, დირექტორის მოადგილე და ბუღალტერი. საწარმო კონტრაქტით ხელფასს უხდის 5 მუშა- მოსამსახურე პერსონალს, რომლებიც უშვებენ A, B და C პროდუქტებს.

გამოვწეროთ 2011 წლის იანვრის თვის ხელფასის უწყისი, აღნისნულ თვეში სულ 23 სამუშაო დღეა.

გვაქვს შემდეგი მონაცემები:

	კონტრაქტით	სამუშაო დღეები
დირექტორი	1 500	23
დირექტ. მოადგილე	1 100	21
ბუღალტერი	800	15

	A	B	C
I მუშა	70	50	20
II მუშა	30	-	55
III მუშა	15	120	150
IV მუშა	55	60	-
V მუშა	-	70	145

A პროდუქციის ერთეულის დამზადებაზე მუშებს ხელშეკრულებით უხდიან 1,5 ლარს, B პროდუქციის დამზადებაზე – 3,35 ლარს, Cპროდუქციის დამზადებაზე – 3,5 ლარს.

ამოცანა №57

შ.პ.ს. „შოდა 09“ არის ცემენტის დამამზადებელი ქარხანა საწარმოში დასაქმებუ-ლია ადმინისტრაციული პერსონალი: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუ-ღალტერი. აგრეთვე ყოველთვე ხელფასს უხდის 7 დაქირა-ვებულ მუშა-მოსამსახურე პერსონალს, რომლებსაც კონ-ტრაქტით თვეში აქვთ 300 ლარი, გარდა ამისა ემატებათ გამომუშავება გაყიდულზე 0,7 ლარი.

გამოვწეროთ 2012 წლის თებერვლის თვის უწყისი. აღნიშნულ თვეში სულ 23 სამუშაო დღეა.

გვაქვს შემდეგი მონაცემები:

	კონტრაქტით	სამუშაო დღეები
დირექტორი	3 000	20
დირექტ. მოადგილე	2 500	21
ბუღალტერი	1 200	23

	სამუშაო დღეები	გაყიდვ. რაოდენობა
I მუშა	20	500
II მუშა	23	1 000
III მუშა	23	800
IV მუშა	21	1 200
V მუშა	23	1 800
VI მუშა	18	700
VII მუშა	23	2 220

X თავი. საბოლოო ბალანსი

10. 1 საღრიცხვო ციკლის დასრულება

საცდელი ბალანსის მომზადების შემდეგ მზადდება ფინანსური ანგარიშგება. კერძოდ ანგარიშგება მოგება-ზარალის შესახებ, ანგარიშგება კაპიტალის მოძრაობის შესახებ, ანგარიშგება ფულადი ნაკადების მოძრაობის შესახებ და ბალანსი.

როგორც ვიცით ანგარიშებს, რომლებსაც საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს რჩებათ ნაშთი, რომელიც ბალანსში გადაიტანება რეალურ ანუ საბალანსო ანგარიშებს უწოდებენ, ხოლო ანგარიშებს, რომლებიც ასახავენ საანგარიშო პერიოდში საკუთარი კაპიტალის ცვლილებას ნომინალური (დროებითი) ანგარიშები ეწოდება. რეალური ანუ მუდმივი ანგარიშებია აქტივების, ვალდებულებების და კაპიტალის ამსახველი ანგარისები. დროებითი ანგარიშებია შემოსავლების, ხარჯების და კაპიტალის ამოღების ანგარიშები.

საღრიცხვო ციკლის დამთავრება დროებითი ანგარიშების განულებას ნიშნავს. მათ გასანულებლად გამოიყენება სპეციალური ანგარიში „საანგარიშო პერიოდის მოგება-ზარალი“. ეს ანგარიში ნომინალურია (დროებითია) და თავისი ფუნქციის შესრულების შემდეგ ისიც დაიხურება სალდოს კაპიტალის ანგარიშზე გადატანით.

მოგება-ზარალის ანგარიშს პერიოდის ბოლოსათვის შეიძლება ჰქონდეს კრედიტის ნაშთი (სალდო), რომელიც საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგებას ნიშნავს და ზრდის მფლობელის საკუთარ კაპიტალს. თუ მოგება-ზარალის ანგარიშს დებეტის სალდო (ნაშთი) აქვს იგი საანგარიშო პერიოდის წმინდა ზარალს ნიშნავს. იგი ამცირებს მფლობელის საკუთარ კაპიტალს. რაც შეეხება ამოღებულ კაპიტალს იგი იხურება სალდოს პირდაპირი გადატანით კაპიტალის ანგარიშზე.

დამამთავრებელი გატარებები აისახება მთავარ სარეგისტრაციო ჟურნალში და ჩვეულებრივ გადაიტანება მთავარ წიგნში შესაბამის ანგარიშებზე. სანამ ფინანსური ინფორმაცია მიეწოდება მომხმარებელს სააჭიროა მისი კორექტირება. კორექტირება ეხება იმ ანგარიშებს, რომლებიც საანგარიშო პერიოდის მოგება-ზარალის გაანგარიშებასთან არის დაკავშირებული, ამიტომ კორექტირება ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება.

10.2 ანგარიშგება ფულადი ნაკადების მოძრაობის შესახებ

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების დანიშნულებაა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფულადი სახსრების შემოსავლის და ფულადი სახსრების გასავლის (ფულადი გადახდების) ჩვენება. ეს ანგარიშგება გვიჩვენებს ფულადი სახსრების მოძრაობის დინამიკას საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების დამასრულებელი პუნქტი – ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი (ცვლილება) გვიჩვენებს აქტივ – ფულადი სახსრების (მ/შ ფულადი ექვივალენტების) ცვლილებას საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფულადი სახსრების ქვეშ იგულისხმება ნაღდი ფული და დეპოზიტები მოთხოვნამდე, ხოლო ფულადი სახსრების ექვივალენტებად მიჩნეულია მაღალლიკვიდური მოკლევადიანი ინვესტიციები, რომლებიც უპრობლემოდ შეგვიძლია გადავცვალოთ ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ რაოდენობაზე და დროში მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. მოკლევადიანი ინვესტიცია შეიძლება ჩაითვალოს ფულად ექვივალენტად თუ მას აქვს დაფარვის მოკლე ვადა. მაგალითად სახელმწიფო ხაზინის

თამასუქი, ფასიანი ქაღალდები, ობლიგაციები და ა.შ.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება უზრუნველყოფს ინფორმაციას საწარმოს საინვესტიციო-საფინანსო საქმიანობის შესახებ საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ეს ანგარიშგება ინვესტორებს, კრედიტორებს და სხვა დაინტერესებულ პირებს აწვდის ინფორმაციას ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორების შესახებ როგორიცაა:

1) საწარმოს უნარი ფულადი სახსრების გამომუშავების შესახებ;
2) საწარმოს უნარი დაფაროს ვალდებულებები;
3) წმინდა მოგებასა და ფულადი სახსარების წმინდა ცვლილებას (ნაზრდს) შორის განსხვავების მიზეზები;
4) საწარმოს საინვესტიციო და საფინანსო მოღვაწეობის ფულადი და არაფულადი ასპექტები საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.

კომპანია „ორიონი“
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
1. იანვარი – 31 დეკემბერი 201... წ.

ფულადი სახსრების ნაკადები საოპერეაციო საქმიანობიდან:	(764	
მომხმარებლისგან მიღებული ფულადი სახსრები	000)	
მიღებული პროცენტები და დივიდენდები	(50 000)	
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	(16 000)	
მომწოდებლებზე და თანამშრომელებზე გაცემული ფულადი სახსრები		
გადახდილი პროცენტები		
გადახდილი გადასახადები		
საოპერაციო საქმიანობაზე გაცემული ფულადი სახსრები	(65 000)	(830
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	40 000	000)
	(170 000)	
ფულადი სახსრების ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:	12 000	50 000
ფასიანი ქაღალდების შეძენა	(126 000)	
ფულადი შემოსავლები ფასიანი ქაღალდების გაყიდვიდან		
გაცემული სესხები	75 000	
უკანმიღებული სესხები		
ძირითადი საშუალებების შეძენა		
ფულადი შემოსავლები ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	50 000	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	100 000	
	45 000	
ფულადი სახსრების ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(55 000)	(115
აქციების გამოშვება	**(40 000)**	000)
ობლიგაციების გამოშვება		
აღებული მ/სესხი		
დაფარული მ/სესხი		
გადახდილი დივიდენდები		
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან		
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ნაზრდი (ზრდა ან შემცირება) (50 000 – 115 000 + 100 000)		100 000
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშგებო წლის დასაწყისისათვის		35 000
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშგებო ერიოდის ბოლოსათვის (35 000 + 120 000)		120 000
		155 000

10.3. **კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება**

კომპანია „ორიონი“
1. იანვარი – 31 დეკემბერი 201...წ.

საკუთარი კაპიტალი	01. 01. 201..წ.	120 000
წმინდა მოგება წლის	(+)	60 000
სულ		180 000
კაპიტალის ამოღება	წლის (-)	(30 000)
საკუთარი კაპიტალი	31. 12 201 .წ.	150 000

XI თავი.საბუღალტრო აღრიცხვა შ.პ.ს-ში

სამეწარმეო საქმიანობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები განისაზღვრება საქართველოს კანონით „მეწარმეთა შესახებ“ (28.10.1994წ.).

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის საზოგადოება, რომლის პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება საზოგადოების ქონებით, ხოლო თითოეული პარტნიორის პასუხისმგებლობა მისი წილით – საწესდებო კაპიტალში. საწესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობა 200 ლარია. შენატანის ოდენობა თითოეული პარტნიორისათვის შეიძლება განსხვავებულად განისაზღვროს, მაგრამ იგი ათზე უნაშთოდ უნდა იყოფოდეს.

მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში გავრცელებულია შეზღუდული პასუხისმგებლობის მქონე კომპანიების რამოდენიმე ფორმა. ჩვენ განვიხილავთ იმ წესებს, რომელიც რეკომენდირებულია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტით.

კომპანიის ფინანსური სტრუქტურა დამოკიდებულია დაფინანსების წყაროებზე, რომელიც სხვადასხვაა. ფინანსების ნაწილი შეიძლება მიწოდებული იქნას მოცემული კომპანიის მფლობელთა (აქციონერების) მიერ ან გარეშე პირთაგან სავაჭრო მომწოდებლების, ბანკების ან სხვა კრედიტორებისაგან.

სააქციო კაპიტალი წარმოადგენს კაპიტალის ნაწილს, რომელიც კომპანიაში მისმა მფლობელებმა (აქციონერებმა) დააბანდეს. აქციონერთა კაპიტალი პირობითად შეიძლება დაიყოს: სააქციო კაპიტალი, რეზერვები და გაუნაწილებელი მოგება. მათი ჯამი უტოლდება კომპანიის წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულებას.

სააქციო კაპიტალში თითოეული აქციონერის მონაწილეობის საზომია „წილი“, რაც ამ აქციონერის საკუთრებაში არსებული აქციების რაოდენობის პროცენტულ შეფარდებას წარმოადგენს კომპანიის მიერ გამოშვებულ აქციათა საერთო რაოდენობასთან.

მოგების მიღების შემთხვევაში კომპანიის დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილე-ბით მისი ნაწილი დივიდენდების სახით აქციონერთა შორის ნაწილდება მათი წილის შესაბამისად. კომპანია აქციათა გამოშვების პროცესს შესაბამისი ნებართვის აღებით იწყებს, რომლის მისაღებად იგი ვალდებულია წარმოადგინოს წესდება გამოსაშვებად ნებადართული აქციათა მაქსიმალური რაოდენობის და აქციათა ნომინალური ღირებულების მითითებით.

კომპანიის მიერ ბრუნვაში გაშვებული აქციები არის გაყიდული ან სხვა რაიმე წესით რეალიზებული აქციები. აქციას აქვს ნომინალური და რეალური ფასი გამოშვებული რეალური აქციების ნომინალურ ღირებულებათა ჯამი წარმოადგენს საწესდებო კაპიტალს. სახელმწიფო კანონით განსაზღვრავს საწესდებო კაპიტალის იმ უმცირეს სიდიდეს, რომელიც უნდა გააჩნდეს ყველა რეგისტრირებულ კომპანიას.

ჩვეულებრივი აქციები არის კომპანიის მიერ გამოშვე-

ბული უბრალო აქციები. ჩვეულებრივი აქციების მფლობელთა უფლებას წარმოადგენს ხმის მიცემის უფლება და მოგების მიღების უფლება. ჩვეულებრივ აქციას ხშირად საწესდებო აქციასაც უწოდებენ. მათი მფლობელები არიან საწარმოს ნამდვილი მეპატრონეები. მათ შეუძლიათ მიიღონ მოგებიდან დივიდენდი, რომელიც წელიწადში შეიძლება გაიცეს ორჯერ ან ოთხჯერ – შუალედური დივიდენდის სახით.

ჩვეულრბრივ აქციებზე დივიდენდები არ გაიცემა მანამ, სანამარ გაიცემა დივიდენდები პრივილეგირებულ აქციებზე. პრივილეგირებული აქციები არ იძლევიან „ხმის“ უფლებას, მაგრამ მათ მფლობელებს აქვთ პრივილეგირებული უფლებები, მათზე გაიცემა ფიქსირებული დივიდენდები.

11.1. ინვესტიციების არსი , მიზანი, აღრიცხვა

ბასის-ის 25-ის მიხედვით „ინვესტიცია არის აქტივი, რომელსაც საწარმო ფლობს საკუთარი სიმდიდრის გასაზრდელად შემოსავლების (პროცენტების, როიალტების, დივიდენდებისა და საიჯარო ქირის) განაწილების საშუალებით კაპიტალის ან სხვა სახის სარგებლის (კომერციული საქმიანობიდან) გასადიდებლად ინვესტიციების ჩამდები საწარმოსათვის“.

ინვესტიცია ეწოდება კაპიტალის დაბანდებას, რომელიც ემსახურება ეკონომიკურ საქმიანობაში მოგების მიღებას. ინვესტიციები საწარმომ შეიძლება განახორციელოს სხვადსხვა მიზნით. ინვესტიციებს საწარმო შეიძლება ფლობდეს დამატებითი ფულადი წყაროს სახითაც, ან სულაც კომერციული ურთიერთობის გაძლიერების ან უპირეტესობის მოსაპოვებლად.

ინვესტიციების კლასიფიციკაცია შეიძლება სხვადა-

სახვა ნიშნით, შინაარსის მიხედვით ინვესტიციები არის მოკლევადიანი და გრძელვადიანი.

მოკლევადიანია ინვესტივია, რომელიც ადვილად რეალიზდება და არ არის გათვალისწინებული ერთ წელზე მეტხანს, ხოლო გრძელვადიანი ინვესტიციის მიზანია ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში სისტემატიურად დივიდენდების და პროცენტების მიღება და კაპიტალის გაზრდა.

ინვესტიცია თავისი შინაარსით არის ვალი და გულისხმობს ინვესტორისადმი გადასახდელ ფულად თანხას, რომელსაც ერიცხება პროცენტი და განსხვავდება სავაჭრო ვალისაგან. ინვესტიციების შემადგენლობაში უდიდესი ხვედრითი წილი უკავია ინვესტიციებს ფასიან ქაღალდებში. თუმცა ზოგიერთ მათგანს მატერიალური სახეც აქვს, მაგალითად ინვესტიციები უძრავ ქონებაში (მიწა, შენობა-ნაგებობები) ძვირფას ლითონებში (ოქრო, ვერცხლი).

ფასიან ქაღალდებს მიეკუთვნება: აქციები, ობლიგაციები, შემნახველი და სადეპოზიტო სერთიფიკატები, ოფციონები (ოფციონი მყიდველს ანიჭებს მომავალში, განსაზღვრულ დროს აქციის ყიდვის ან გაყიდვის უფლებას წინასწარ შეთანხმებულ ფასად. ასეთი უფლების მიღების სანაცვლოდ ოფციონის მყიდველი გამყიდველს უხდის განსაზღვრულ თანხას, რომელსაც პრემია ეწოდება), ფიუჩერსული კონტრაქტები (გარიგების არსი მდგომარეობს იმაში,რომ კონტრაქტით გათვალისწინებული აქტივის მიწოდება განხორციელდება უახლოეს მომავალში, მყიდველი უარის შემთხვევაში გადაიხდის ჯარიმას), სახაზინო ვალდებულებები და ა.შ.

ინვესტიციის თვითღირებულება არის ის თანხა, რითაც საწარმო მას თავის ბალანსში ასახავს აქტივების ანგარიშზე. იგი მოიცავს მისი შეძენის ღირებულებასა და შეძენასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს.

ინვესტორი ყოველთვის დგას სერიოზული დანაკარგების რისკის წინაშე, რადგან არ არსებობს არც ერთი ფასიანი ქაღალდი რომელსაც ერთდროულად გააჩნია ინ-

ვესტიციის ყველა თვისება – უსაფრთხოება, შემოსავლის სტაბილურობა, დაბანდების ზრდა და ლიკვიდურობა.

საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ემიტენტის სახელით შეიძლება გამოვიდეს სახელმწიფო, სახელმწიფო ორგანო, მუნიციპალური მმართველობის ორგანო, საწარმო და საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი, აგრეთვე საზღვარგარეთის სახელმწიფოები და მათ ტერიტორიაზე რეგისტრირებული იურიდიული პირები.

11.2. მოკლევადიანი ინვესტიციების აღრიცხვა

ინვესტიციების მოძრაობის ბუღალტრულმა აღრიცხვამ უნდა უზრუნველყოს ინვესტიციების შეფასება და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვა ბასის პრინციპების შესაბამისად. მოკლევადიანი ინვასტიციების აღსარიცხავად ამჟამად მოქმედ ანგარიშთა გეგმაში გამოყოფილია 1300 „მოკლევადიანი ინვესტიციების“ ანგარიში, რომელშიც გაერთიანებულია შემდეგი ანგარიშები:

1310 - „მოკლევადიანი ინვესტიციები საწარმოთა ფასიან ფაღალდებში“;

1320 - „მოკლევადიანი ინვასტიციები სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში“;

1330 - „გრძელვადიანი ინვესტიციების მიმდინარე ნაწილი“;

1390 - „სხვა მოკლევადიანი ინვესტიციები“.

ეს ანგარიში აქტიურია, ინვესტიციის შეძენა აისახება დებეტში, ხოლო გაყიდვა კრედიტში. მოკლევადიანი ინვესტიციის განხორციელება ხდება აქციების და ობლიგაციების შეძენის გზით. საწარმოს მიერ აქციების შეძენა ხდება

აქციის თვითღირებულებით ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორების გზით, ან სხვა აქტივზე გაცვლით:

აქციის შეძენა

დებეტი – 1311 – მოკლევადიანი ინვესტიციები აქციებში
კრედიტი – 1110 ან 1210 ფულადი საშუალებები

დივიდენდის მიღება:
დებეტი – 1110 ან 1210 ფულადი საშუალებები
კრედიტი – 8120 – შემოსავალი დივიდენდებიდან სხვა აქტივზე გაცვლა
დებეტი – 1300 მოკლევადიანი ინვესტიციები
კრედიტი –აქტივები (გაცვლაში მონაწილე) რეალური ღირებულებით

ინვესტიციების გაყიდვა. ინვესტიციების გაყიდვის შემთხვევაში წმინდა ამონაგებს უნდა დაუპირისპირდეს ინვესტიციების თვითღირებულება.

მოგების შემთხვევაში:
დებეტი – 1110 ან 1210
კრედიტი – 1300 მოკლევადიანი ინვესტიციები (თვითღირებულება)
კრედიტი – 8130 არასაოპერაციო მოგება

ზარალის შემთხვევაში:
დებეტი – 1110 ან 1210
დებეტი – 8220 – არასაოპერაციო ზარალი
კრედიტი – 1300 – მოკლევადიანი ინვესტიციები.

პრაქტიკული სავარჯიშოები

ამოცანა № 58

საწარმომ აპრილში შეიძინა 15 ლარის ნომინალური ღირებულების 600 ცალი აქცია, თითოეული 60 ლარად. ბროკერს მომსახურებისათვის გადაუხადა 300 ლარი. ანგარიშსწორება განხორციელდა ნაღდი ფულით. გაიანგარი-

შეთ ინვესტიციის შეძენის თვითღირებულება და მოახდინეთ ბუღალტრული გატარება.

ამოცანა № 59

შპს „ბეტამ“ შეიძინა 4000 ცალი ჩვეულებრივი აქცია. ერთი ცალი აქციის ნომინალური ღირებულებაა 15 ლარი, ხოლო შესყიდვის ფასი 20 ლარი. აქციების შესყიდვასთან დაკავშირებით ბროკერის საკომისიომ შეადგინა 600 ლარი.

განსაზღვრეთ აქციების შეძენის თვითღირებულება, ავსახოთ აღრიცხვაში დაბანდებული ფინანსური ინვესტიცია.

11.3. გრძელვადიანი ინვესტიციების აღრიცხვა

ანგარიშთა გეგმაში გრძელვადიანი ინვესტიციების აღსარიცხავად გამოიყენება 2400 „გრძელვადიანი ინვესტიციების ანგარიში“. იგი მოიცავს:

- 2410 – გრძელვადიანი ინვესტიციები საწარმოთა ფასიან ქაღალდებში;
- 2420 – გრძელვადიანი ინვესტიციები სახელმწიფოს ფასიან ქაღალდებში;
- 2430 – მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში;
- 2490 – სხვა გრძელვადიანი აქტივები.

ეს ანგარიში აქტიურია, რაც იმას ნიშნავს, რომ მის დებეტში იწერება ზრდა, ხო-ლო კრედიტში კლება. გრძელვადიანი ინვესტიციების აღრიცხვას და ფინანსურ ანგა-რიშგებაში მათ ასახვას განსაზღვრავს შემდეგი გარემოებები;

1. ინვესტორის გადაწყვეტილება ინვესტიციის შენარჩუნების ვადის შესახებ;
2. საინვესტიციო ოპერაციების გავლენა ინვესტორის ფინანსურ-ეკონომიკურ საქმიანობაზე. ინვესტორის დამოკიდებულება ინვესტირებული საწარმოს ოპერატიულ და ფინანსურ –ეკონომიკურ საქმიანობაზე;
3. ინვესტიციის მიზანი;
4. ინვესტიციის მიმოქცევის რეჟიმის სპეციფიკა.

გრძელვადიანი ინვესტიციები შეიძლება განხორციელდეს აქციების და ობლიგაციების სახით.

გრძეელვადიანი ინვესტიციების შეძენა აქციებში;

დებეტი – 2415 – გრძელვადიანი ინვესტიციები აქციებში

კრედიტი – 1110 ან 1210

გრძელვადიანი ინვესტიციის (აქცია) გაყიდვა მოგების შემთხვევაში:

დებეტი – 1110 ან 1210

კრედიტი – 2410 –გრძელვადიანი ინვესტიციები საწარმოთა ფასიან ქაღალდებში

კრედიტი – 8130 არასაოპერაციო მოგება გრძელვადიანი ინვესტიციის (აქციის) გაყიდვა ზარალის შემთხვევაში:

დებეტი – 1110 ან 1210

დებეტი –8220 – არასაოპერაციო ზარალი

კრედიტი - 2410 – გრძელვადიანი ინვესტიციები საწარმოთა ფასიან ქაღალდებში.

პრაქტიკული სავარჯიშო

ამოცანა № 60

შპს „მშენებელმა“ შეიძინა შპს „ორბიტას“ 2 000 ცალი აქცია, თითოეული 25 ლარად. ბროკერს მომსახურებისათვის გადაუხადა 1 000 ლარი. შპს „მშენებელის“ ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება აქციების ერთ

წელზე მეტ ხანს შენარჩუნების შესახებ. საინვესტიციო პოლიტიკის ცვლილების გამო შპს „მშენებელმა“ გაყიდა „ორბიტას“ აქციების ნაწილი. კერძოდ 800 ცალი თითოეული 28 ლარად.

განსაზღვრეთ აქციების თვითღირებულება, შეძენა და გაყიდვა.

11.4. ძირითადი საშუალებების აღრიცხვა

აქტივების ის ნაწილი, რომელებიც იმყოფებიან საწარმოს განკარგულებაში და გამოიყენება პროდუქციის დამზადების და მომსახურების გასაწევად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის და განკუთვნილია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად არის ძირითადი საშუალებები ანუ მატერიალური აქტივები.

წარმოების ყველა საშუალება არ მიეკუთვნება ძირითად საშუალებებს. ბასის 16-ის პუნქტი – 8-ის მიხედვით ძირითად საშუალებად აღიარდება ისეთი მატერიალური აქტივი, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

- მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს;
- საწარმოსათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედო შეფასება.

ზოგიერთ შემთხვევაში ძნელია ობიექტის შეფასება ძირითად საშუალებად. ამიტომ ბასის თანახმად საღრიცხვო ობიექტის იდენტიფიცირება უნდა მოხდეს კონ-

კრეტულ ვითარებაში განსჯის საფუძველზე. აქტივის მაკომპლექტებელი ნაწილები აღიარდება დამოუკიდებელ ობიექტად, თუ მათ გააჩნიათ განსხვავებული სასაგებლო მომსახურების ვადა და შედაბამისად ეკონომიკური სარგებლის მიღება სხვადასხვა დროს (ავტომანქანა მისი ძრავა, თვითმფრინავი და მისი ძრავა და ა.შ.)

ძირითადი საშუალებების კლასიფიკაცია ხდება შემდეგი ნიშნებით:

1. ეკონომიკური დანიშნულების მიხედვით:
2. საკუთრების ნიშნის მიხედვით;
3. წარმოების საქმიანობაში მონაწილეობის ხარისხის მიხედვით;
4. დანიშნულების მიხედვით.

შეძენილი ძირითადი საშუალებების აქტივად აღიარებისათვის საწარმომ უნდა შეაფასოს ამ აქტივით მომავალში მისაღები ეკონომიკური სარგებელი. ძირითადი საშუალების შეფასება ხდება მისი შეძენის ღირებულების საფუძველზე, ხოლო თუ ის შექმნილია საწარმოში, მისი ღირებულების საიმედო გაზომვა უნდა მოხდეს აქტივის წარმოებაზე გაწეული დანახარჯების შესაბამისად.

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება:

1) პირვანდელი ანუ შეძენის თვითღირებულებით – ეს არის შემოსული ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციაში ჩართვამდე გაწეული დანახარჯების ერთობლიობა;
2) ნარჩენი ანუ საბალანსო ღირებულება – არის პირვანდელ ღირებულებას გამოკლებული ძირითადი საშუალებების დაგროვილი ცვეთა;
3) სალიკვიდაციო ღირებულება – არის ნეტო თანხა, რომლის უკან მიღებას მოელის საწარმო აქტივის შემდგომი გამოყენების შედეგად, რომელშიც ჩართულია სალიკვიდაციო ღირებულება. ძირითადი საშუალებების ღირებულების უკან მიღება ხდება ცვეთის დარიცხვის გზით.

4) რეალური ღირებულება – არის თანხა, რომლითაც შეიძლება აქტივი გაიცვალოს ურთიერთდამოუკიდებელ, დაინტერესებულ და საქმისმცოდნე მხარეებს შორის.

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით. ბასს-ით აქტივის თვითღირებულება არის აქტივის შეძენის ან შექმნის დროს გადახდილი ფულის ან ფულის ექვივალენტების, ან სხვა სახის საზღაურის რეალური ღირებულების თანხა.

ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე და ფორმდება „ძირითადი საშუალებების მიღება-ჩაბარების აქტით“, რომელშიც მითითებულია მათი ღირებულება და ძირითადი ტექნიკური მახასიათებლები. შეძენილი ძირითადი საშუალება არის საინვენტარო ობიექტი და მას ენიჭება საინვენტარო ნომერი და ამ ნომრით აღირიცხება ეს ობიექტი საწარმოში მისი გამოყენების ვადის განმავლობაში.ძირითადი საშუალებები შეიძლება მიღებულ იქნას: ფულადი საშუალების გადახდით, წარმოება საკუთარი ძალებით, სხვა აქტივზე გაცვლით, შეძენა განვადებით, უსასყიდლოდ მიღება (გრანტით).

განსაკუთრებულ აქტივებს უწოდებენ ისეთ აქტივებს, რომელთა დანიშნულებით გამოსაყენებელ მდგომარეობაში მოსაყვანად ან გასაყიდად მომზადებისათვის საჭიროა დროის მნიშვნელოვანი პერიოდი.

ძირითადი საშუალების გამოყენება საჭიროებს მოვლას, შენახვას, რემონტს. ძირითადი საშუალების რემონტის ჩატარების მიზანია აქტივის მუშა მდგომარეობის შენარჩუნება ტექნიკური უზრუნველყოფის, მოვლის, დაზიანებული ფუნქციის აღდგენისა და სხვა მსგავსი სამუშაოების ჩატარების გზით. ძირითადი საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებულ ხარჯებს სტანდარტები განიხილავს როგორც: ყოველდღიური მომსახურების ხარჯებს და პერიოდულ ხარჯებს.

ძირითადი საშუალების რემონტი ხორციელდება წინასწარ შედგენილი გეგმა-გრაფიკით. ხარჯები, რომელიც გაწეულია აქტივებისაგან მისაღები ეკონომიკური სარგებლის აღდგენისა და შენარჩუნების მიზნით, მიეკუთვნება რემონტის ხარჯებს და აღიარებული უნდა იქნას მათი გაწევისთანავე. სარემონტო სამუშაოები პერიოდულობისა და მოცულობის მიხედვით იყოფა: მიმდინარე, საშუალო და კაპიტალურ რემონტად.

სარემონტო სამუშაოების დაწყებამდე უნდა შედგეს დოკუმენტები; დეფექტების უწყისი და ხარჯთნუსხა. ძირითადი საშუალებების რემონტი შეიძლება ჩატარდეს ორი წესით: სამეურნეო და საიჯარო. სამეურნეო წესით რემონტის ჩატარება ნიშნავს სამუშაოების ჩატარებას საკუთარი ძალებით, ხოლო საიჯარო წესით რემონტს ატარებს მოიჯარე ორგანიზაცია.

თუ სარემონტო სამუშაოები ტარდება საიჯარო წესით, მოიჯარე ორგანიზაციას თანხის ნაწილი წინასწარ გადაერიცხება ავანსის სახით რაზედაც შედგება შემდეგი ბუღალტრული გატარება.

დებეტი – გადახდილი ავანსები

კრედიტი – ფული საბანკო ანგარიშზე

სარენონტო სამუშაოების დამთავრებისას დგება სამუშაოთა მიღება-ჩაბარების აქტი და ხდება შემდეგი სახის ბუღალტრული გატარება

დებეტი – რემონტის ხარჯები

კრედიტი – მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები

ადრე გადახდილი ავანსის ჩათვლისათვის ხდება შემდეგი სახის ბუღალტრული გატარება;

დებეტი – მომსახურებიდან წარმოშობილი ვალდებულებები

კრედიტი - გადახდილი ავანსები

მოიჯარადესთან საბოლოო ანგარიშსწორების შემდეგ მოხდება შემდეგი სახის ბუღალტრული გატარება:

დებეტი – მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები

კრედიტი – ფული საბანკო ანგარიშზე.

მაგალითი;

კომპანიამ იყიდა შენობა, რომლის ექსპლუატაცია რემონტის გარეშე შეუძლებელია. შენობაში 3 თვის განმავლობაში ტარდებოდა შემდეგი სამუშაოები: სახურავის გადახურვა, კარ-ფანჯრის, იატაკის, ელექტრო გაყვანილობის გამოცვლა, გათბობის სისტემის დაყენება. დანახარჯებმა შეადგინა 51 700 ლარი.

ეს ოპერაციები ანგარიშებზე აისახება შემდეგნაირად:

3 თვის განმავლობაში სარემონტო სამუშაოებზე გაწეული დანახარჯების დაგროვება ხდება „დაუმთავრებელი მშენებლობის“ ანგარიშზე.

დებეტი – 2120 დაუმთავრებელი მშენებლობა - 51 700

კრედიტი – 1210 ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში 51 700

3 თვის ამოწურვისას სარემონტო სამუშაოები დასრულდება და დანახარჯები აქტივად აღიარდება.

დებეტი – 2130 შენობები

კრედიტი – 2120 დაუმთავრებელი მშენებლობა

ძირითადი საშუალებების გასვლის აღრიცხვა

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის აღრიცხვა ითვალისწინებს გასული ძირითადი საშუალების ჩამოწერას და მიღებული ფინანსური შედეგის დადგენას. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის მიზზი შეიძლება იყოს: გაყიდვა, ლიკვიდაცია, უსასყიდლოდ გადაცემა და სხვა.

გასვლის ყველა შემთხვევა ფორმდება შესაბამისი აქტით, რომლის შემდეგაც უნდა მოხდეს გასული ძირითადი საშუალების და ექსპლუატაციის მთელ მანძილზე

დაგროვილი ცვეთის ჩამოწერა.

მაგალითად:

საწარმომ გაყიდა დანადგარი, რომლის თვითღირებულება 20 000 ლარია. გაყიდვის მომენტისათვის დანადგარზე დარიცხული იყო 3 300 ლარის ცვეთა. ანადგარი გაიყიდა 26 000 ლარად. დანადგარის რემონტისათვის მუშებს დაერიცხათ ხელფასი 200 ლარი.

ბუღალტრული გატარებები:

დებეტი – 1210 ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	26 000
დებეტი – 2250 მანქანა-დანადგარის ცვეთა	3 300
კრედიტი – 2150 მანქანა- დანადგარი	20 000
კრედიტი – 3130 გადასახდელი ხელფასი	200
კრედიტი – 8130 არასაოპერაციო მოგება	9 100

ამოცანა № 61

ავტოავარიის შედეგად განადგურდა „მერსედესი“, რომლის პირვანდელი ღირებულებაა 7 000 ლარი, დაგროვილი ცვეთა 4 000 ლარია. მანქანა 1 000 ლარად ნაღდი ანგარისსწორებით ჩაბარდა ჯართად.

დავალება: ასახეთ მანქანის განადგურების შედეგი.

11.5. ფინანსური იჯარის აღრიცხვა

ძირითადი საშუალების მიღების ერთერთი სახეა მისი მიღება იჯარით. ბასის 17-ის მიხედვით იჯარა არის მხარეთა ურთიერთშეთანხმება, რომლის მიხედვით მეიჯარე შემოსავლების მიღების მიზნით გადასცემს მოიჯარეს აქტივის გამოყენების უფლებას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის განმავლობაში. აქტივებთან დაკავშირებული რისკებისა და ეკონომიკური სარგებლის მიხედვით იჯარა არის ფინანსური და ჩვეულებრივი.

ფინანსური იჯარა გულისხმობს აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მფლობელის მიერ, მოიჯარისათვის.

ბასის 17-ის შესაბამისად იჯარაა ფინანსურია თუ:

1. იჯარის ხელშეკრულების თანახმად მოიჯარეს გადეცემა აქტივის საკუთრების უფლება იჯარის ვადის დამთავრების შემდეგ;
2. მოიჯარეს უფლება აქვს აქტივი შეიძინოს ისეთი ფასით, რომელიც მოსალოდნელია, რომ მნიშვნელოვნად დაბალი იქნება აქტივის რეალურ ღირებულებაზე, რომელიც მას ექნება უფლების გამოყენების მომენტში. ამასთან იჯარის დასაწყისისათვის არსებობს გონივრული რწმენა, რომ ეს უფლება გამოყენებული იქნება;
3. იჯარის ვადა მოიცავს აქტივის ეკონომიკური მომსახურების ვადის ძირითად ნაწილს, მაშინაც კი, როდესაც საკუთრების უფლების გადაცემა არ ხდება;
4. იჯარის დასაწყისისათვის მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულეება შეადგეენს მინიმუმ იჯარით გაცემული აქტივის პრაქტიკულად მთლიან რეალურ ღირებულებას;
5. იჯარით გაცემულ აქტივებს აქვთ სპეციფიკური შინაარსი და მხოლოდ მოიჯარეს შეუძლია მათი გამოყენება აქტივის არსებითი მოდიფიკაციის გარეშე.

ფულის ფასზე მოქმედებს ინფლაციის დონე, რის გამოც ფული დღეს უფრო მეტი ღირს, ვიდრე ფულის იგივე ოდენობა მომავალში. ფულის მომავალი ღირებულება არის, ფულის ერთი ერთეულის ინვესტირებით მომავალში მისაღები თანხები გარკვეული საპროცენტო განაკვეთის და ვადების პირობებში. მიმდინარე ღირებულება მიიღება მომავალი ღირებულებიდან საპროცენტო შემოსავლის გამოკლებით. ანუ მომავალი ღირებულება უნდა შემცირდ-

ეს საპროცენტო შემოსავლით. ღირებულების შემცირებას უწოდებენ <u>დისკონტირებას.</u>საპროცენტო შემოსავალი შეიძლება გაანგარიშებულ იქნეს მარტივი და რთული პროცენტით.

მოიჯარის ბალანსში ფინანსური იჯარა აისახება გრძელვადიანი აქტივისა და შესაბამისი ვალდებულების სახით, რომლის საფუძველია საიჯარო ხელშეკრულება. მასში მოცემულია იჯარის ღირებულება, რომელიც თავისი ეკონომიკური ბუნებით ინვესტიციას წარმოადგენს. იჯარის ღირებულება მოიცავს საინვესტიციო ღირებულებას და მინიმალურ საიჯარო გადასახადს.

საპროცენტო თანხის გადახდა და მიღება ხდება ერთჯერადად და მრავალჯერადად განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში. თანხები, რომელთა გადახდა ხდება ერთნაირი პერიოდულობით <u>ანუიტეტი- ფინანსური რენტა-</u>ეწოდება.

ფინანსური იჯარის აღრიცხვა მოიჯარესსთან;

აღებულია ძირითადი საშუალებები იჯარით

დებეტი –ძირითადი საშუალებები

კრედიტი – ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე გრძელვადიან ფინანსურ ვალდებულებებში გამოყოფილია იჯარის მიმდინარე ნაწილი;

დებეტი – ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე

კრედიტი – ფინანსური იჯარის მიმდინარე ნაწილი დარიცხულია ძირითად საშუალებებზე იჯარით კუთვნილი საიჯარო ქირა:

დებეტი – საიჯარო ქირის ხარჯი

კრედიტი – დარიცხული ვალდებულებები საიჯარო ქირაზე მოიჯარის მიერ დაფარულია ფინანსურ იჯარაზე ვალდებულებების მიმდინარე წილი და საიჯარო ქირა:

დებეტი – ფინანსური იჯარის ვალდებულების მიმდინარე წილი

დებეტი – დარიცხული ვალდებულება საიჯარო ქირაზე

კრედიტი - ფული საბანკო ანგარიშზე

იჯარით აღებული ძირითადი საშუალებების კუთვნილი ცვეთის გაანგარიშება ხდება ისე როგორც საკუთარ ძირითად საშუალებებზე.

11.6. არამატერიალური აქტივების აღრიცხვა

არამატერიალურ აქტივს არ გააჩნია ფიზიკური ფორმა. ბასის 38 „არამატერიალური აქტივების“ თანახმად არამატერიალური აქტივები არის იდენტიფიცირებული არაფულადი აქტივი ფიზიკური ფორმის გარეშე. არამატერიალური აქტივებია: ლიცენზია, პატენტი, საავტორო უფლება, უფლება ტირაჟირებაზე, ნოუ-ჰაუ, ფრანშიზი, სავაჭრო მარკები, ნიშნები, ემბლემები, საფირმო სახელები, შეთანხმებები და კონტრაქტები, ქიმიური ფორმულა, პროექტები, ნახაზები და სხვა.

ეს აქტივები შეიძლება იყოს რეგისტრირებული ან არა. ჩამონათვალიდან აქტივად აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ის აკმაყოფილებს არამატერიალური აქტივების იდენტიფიცირებისა და აღიარების კრიტერიუმებს.

აქტივი არის რესურსი: თუ მას საწარმო აკონტროლებს წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად; და მომავალში თუ შესაძლებელია მისგან ეკონომიკური სარგებლის შემოდინება.

აქტივი აკმაყოფილებს არამატერიალური აქტივების განმარტების იდენტიფიცირებადობის კრიტერიუმს თუ :

1) განცალკევებადია. ესეიგი შესაძლებელია მისი გამოყოფა და გაყიდვა;
2) წარმოიქმნება სახელშეკრულებო ან სხვა იურიდიული უფლებებით, მიუხედავად იმისა შესაძლებელია თუ არა აღნიშნული უფლების გადაცემა ან განცალკევება საწარმოსაგან ან სხვა უფლებებისა და მოვალეობებისგან.

არამატერიალური აქტივის აღიარების კრიტერიუმებია:

- მოსალოდნელია აქტივზე მიკუთვნებადი მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება;
- შესაძლებელია აქტივის თვითღირებულების საიმედო შეფასება.

არამატერიალური აქტივის მიღება შეიძლება სხვადასხვა გზით: ცალკე შეძენა, გრანტით, გაცვლით. შეძენა საწარმოთა გაერთიანების გზით, წარმოება საკუთარი ძალებით.

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივის შეძენისათვის გადახდილი ფასი არის ამ აქტივის რეალური ღირებულება. ზოგჯერ არამატერიალური აქტივის მუშა მდგომარეობაში მოსაყვანად საჭიროა დამატებითი ხარჯები. გაწეული პირდაპირი დანახარჯების ჯამით ყალიბდება არამატერიალური აქტივის თვითღირებულება.

მაგალითად: საწარმოს ხელმძღვანელობამ კომპანია „ალფასგან“ 15 წლიანი ვადით შეიძინა მაკარონის წარმოების ფრანშიზი, რაშიც გადაიხადა 43 000 ლარი. იურიდიულ გაფორმებაზე დაიხარჯა 3 500 ლრი.

განვსაზღვროთ ფრანშიზის თვითღირებულება და ავსახოთ მისი შეძენა ანგარიშებზე.

შეძენილი ფრანშიზის თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს და დანახარჯებს ამ უფლების ასამოქმედებლად:

დებეტი – 2599 – ფრანშიზი

კრედიტი – 1210 ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში

არამატერიალური აქტივის შეძენა ნაღდი ფულით:

დებეტი – არამატერიალური აქტივი

დებეტი – გადახდილი დღგ

კრედიტი – სალარო

არამატერიალური აქტივის შეძენა შემდგომი გადახდის პირობით

დებეტი – არამატერიალური აქტივები

კრედიტი – ვალდებულებები მოწოდებიდან

არამატერიალური აქტივის მიღება უსასყიდლოდ გატარდება:

დებეტი – არამატერიალური აქტივები

კრედიტი – არასაოპერაციო შემოსავალი

საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებთან დაკავშირებული ხარჯები, რომლებიც გაწეულია წარმოების სრულყოფაზე, მის დაპროექტება-გამოცდაზე, აისახება არამატერიალური აქტივების ანგარიშის დებეტში, ხოლო კრედიტში იქნება შესაბამისად გაწეული ხარჯების ამსახველი ანგარიშები:

დებეტი – არამატერიალური აქტივები

კრედიტი – მასალები, დარიცხული ხელფასი და სხვა.

არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის აღრიცხვა

არამატერიალური აქტივების გამოყენება მიმდინარეობს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში და საწარმო მისგან ღებულობს ეკონომიკურ სარგებელს. შესაბამისობის პრინციპიდან გამომდინარე, მიღებული შემოსავალები შესაბამისობაში უნდა იყოს მის მიღებასთან დაკავშირებულ ხარჯებთან.

არამატერიალური აქტივი გრძელვადიანი აქტივების ის ნაწილია, რომლებიც ხანგრძლივად ემსახურებიან საწარმოს, იძლევიან ეკონომიკურ სარგებელს და მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში კარგავენ ეკონომიკური სარგებლის გამომუშავების უნარს, ანუ განიცდიან ამორტიზაციას.

ამორტიზაცია არის არამატერიალური აქტივის ცვეთის თანხის სისტემატური ჩამოწერა მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლომომსახურების ვადის განსაზღვრისას საწარმომ უნდა შეაფასოს შეზღუდულია თუ განუსაზღვრელია არამატერიალური აქტივის გამოყენების ვადა და თუ მისი გამოყენების ვადა შეზღუდულია უნდა დადგინდეს მისი ხანგრძლივობა.

შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზირებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე. ამორტიზაცია შეიძლება დაერიცხოს სხვადასხა მეთოდით: წრფივი, შემცირებადი ნაშთის, წარმოების ერთეულთა ჯამის და სხვა მეთოდებით.

მაგალითად:

კომპანიამ ლიცენზიაში, რომლის მოქმედების ვადა შეადგენს 4 წელიწადს გადაიხადა 800 ლარი. ასევე ახალ ტექნოლოგიებში გადაიხადა 3 000 ლარი. მენეჯერმა დაასაბუთა, რომ შეძენილი ახალი ტექნოლოგია საწარმოს სარგებელს მოუტანს 3 წლის განმავლობაში. მენეჯერი გამოიყენებსამორტიზაციის დარიცხვის წრფივ მეთოდს.

ამორტიზაციის წლიური თანხა შეადგენს:

ლიცენზიისათვის – 800/4 = 200 ლარი

ტექნოლოგიებისათვის - 3 000/3 = 1 000

არამატერიალური აქტივის ამორტიზაციის დარიცხვა ბუღალტრულად აისახება ანგარიშებზე

დებეტი – 7170 ცვეთა და ამორტიზაცია (ტექნოლოგიების) 1 000
დებეტი – 7455 ცვეთა და ამორტიზაცია (ლიცენზიის) 200
კრედიტი – 2610 ლიცენზიის ამორტიზაცია 200
კრედიტი – 2630 პატენტების ამორტიზაცია 1 000

ბასის 36-ის თანახმად განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე აქტივები არ უნდა იქნეს ამორტიზებული. საწარმომ განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები უნდა შეამოწმოს გაუფასურებაზე. მას უნდა ჩაუტარდეს ტესტირება და განისაზღვროს ის გარემოებანი, რომელმაც განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადა უსასრულოდ დააფიქსირა.

განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ნიმუშია გუდვილი(გუდვილი არის სხვაობა შეძენილ საწარმოს ნაყიდობის ფასსა

და მის წმინდა აქტივების ღირებულებას შორის. გუდვილი სიტყვა ითარგმნება როგორც „კეთილი ნება“),რადგან შეუძლებელია საიმედოდ განისაზღვროს მისი სასარგებლო მომსახურების პერიოდი. ფასს 3-ის მიხედვით საწარმოთა გაერთიანებაში შეძენილი გუდვილი თავდაპირველი აღიარების შემდეგ უნდა შეფასდეს თვითღირებულებით, რომელსაც გამოაკლდება ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალი.გუდვილი გაუფასურებაზე უნდა შემოწმდეს ყოველწლიურად ან უფრო ხშირად.

არამატერიალური აქტივის გასვლა

არამატერიალური აქტივის გასვლა შეიძლება მოხდეს: გაყიდვით, ფინანსური იჯარით გადაცემით, უსასყიდლოდ გადაცემით, აგრეთვე თუ მას არ მოაქვს სარგებელი არც გამოყენების დროს და არც მისი შემდგომი გასვლის შედეგად.

არამატერიალური აქტივის გასვლისას წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი განსაზღვრული უნდა იქნას, როგორც სხვაობა აქტივის გასვლის წმინდა შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და უნდა აღიარდეს როგორც მოგება ან ზარალი მოგების და ზარალის ანგარიშგებაში.

მაგალითი:

კომპანიამ გაყიდა სავაჭრო მარკა, რომლის თვითღირებულება შეადგენდა 57 000 ლარს, გაყიდვის მომენტში ამორტიზაცია შეადგენდა 22 000 ლარს. სავაჭრო მარკა გაიყიდა 50 000 ლარად. განვსაზღვროთ ამ ოპერაციით მიღებული შედეგი და აქტივის გაყიდვა.

50 000 – (57 000 – 22 000) = 15 000

ოპერაციის ასახვა

დებეტი – 1210 ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში – 50 000

დებეტი – 2692 სავაჭრო მარკის ამორტიზაცია - 22 000

კრედიტი – 2592 სავაჭრო ნიშნები და სახელები - 57 000

კრედიტი – 8130 არასაოპერაციო მოგება - 15 000

ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის სტრუქტურა
აქტივები

1000	**მიმდინარე აქტივები**	
1100	**ნაღდი ფული სალაროში**	
	1110	ეროვნული ვალუტა სალაროში
	1120	უცხოური ვალუტა სალაროში
1200	**ფული საბანკო ანგარიშებზე**	
	1210	ეროვნული ვალუტა ბანკში
	1220	უცხოური ვალუტა ბანკში
	1230	უცხოური ვალუტა არარეზიდენტ ბანკში
	1290	ფული სხვა საბანკო ანგარიშებზე
1300	**მოკლევადიანი ინვესტიციები**	
	1310	მოკლევადიანი ინვესტიციები საწარმოთა ფასიან ქაღალდებში
	1320	მოკლევადიანი ინვესტიციები სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში
	1330	გრძელვადიანი ინვესტიციების მიმდინარე ნაწილი
	1390	სხვა მოკლევადიანი ინვესტიციები
1400	**მოკლევადიანი მოთხოვნები**	
	1410	მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურე-ბიდან
	1415	საეჭვო მოთხოვნების კორექტირება
	1420	მოთხოვნები მეკავშირე საწარმოს მიმართ

	1430	მოთხოვნები საწარმოო პერსონალის მიმართ
	1440	მოთხოვნები ხელმძღვანელებისა და სამეთვალყურეო ორგანოების წევრების მიმართ
	1450	მოთხოვნები პარტნიორებზე გაცემული სესხიდან
	1460	კაპიტალის შევსებაზე პარტნიორების გრძელვადიანი მოთხოვნების მიმდინარე ნაწილი
	1470	გრძელვადიანი მოთხოვნების მიმდინარე ნაწილი
	1480	მომწოდებელზე გადახდილი ავანსები
	1490	სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები
1500	**მოკლევადიანი სათამასუქო მოთხოვნები**	
	1510	მიღებული მოკლევადიანი თამასუქები
	1520	მიღებული გრძელვადიანი თამასუქების მიმდინარე ნაწილი
1600	**სასაქონლო-მატერიალური მარაგი**	
	1610	საქონელი
	1620	ნედლეული და მასალები
	1630	დაუმთავრებელი წარმოება
	1640	მზა პროდუქცია
	1650	სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი
1700	**წინასწარ გაწეული ხარჯები**	
	1710	წინასწარ აუნაზღაურებელი მომსახურება
	1720	წინასწარ გადახდილი საიჯარო ქირა
	1790	სხვა წინასწარ გაწეული ხარჯები

1800	**დარიცხული მოთხოვნები**	
	1810	მისაღები დივიდენდები
	1820	მისაღები პროცენტები
	1890	სხვა დარიცხული მოთხოვნები
1900	**იმდინარე აქტივები**	
	1910	სხვა მიმდინარე აქტივები

გრძელვადიანი აქტივები

2000	**მიმდინარე აქტივები**	
2100	**ძირითადი საშუალებები**	
	2110	მიწის ნაკვეთები
	2120	დაუმთავრებელი მშენებლობა
	2130	შენობები
	2140	ნაგებობები
	2150	მანქანა-დანადგარები
	2160	ოფისის აღჭურვილობა
	2170	ავეჯი და სხვა მოწყობილობა
	2180	სატრანსპორტო საშუალებები
	2190	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა
2200	**ძირითადი საშუალებების ცვეთა**	
	2230	შენობების ცვეთა
	2240	ნაგებობების ცვეთა
	2250	მანქანა-დანადგარების ცვეთა
	2260	ოფისის აღჭურველობის ცვეთა

	2270	ავეჯის და სხვა მოწყობილობის ცხეთა
	2280	სატრანსპორტო საშუალებების ცვეთა
	2290	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობის ცვეთა
2300	**გრძელვადიანი მოთხოვნები**	
	2310	მიღებული გრძელვადიანი თამასუქები
	2320	ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები
	2330	მოთხოვნები საწესდებო კაპიტალის შევსებაზე
	2340	გადავადებული საგადასახადო აქტივი
	2390	სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები
2400	**გრძელვადიანი ინვესტიციები**	
	2410	გრძელვადიანი ინვესტიციები საწარმოთა ფასიან ქაღალდებში
	2420	გრძელვადიანი ინვესტიციები სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში
	2430	მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში
	2490	სხვა გრძელვადიანი ინვესტიციები
2500	**არამატერიალური აქტივები**	
	2510	ლიცენზიები
	2520	კონცესიები
	2530	პატენტი
	2540	გუდვილი
	2590	სხვა არამატერიალური აქტივები
2600	**არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია**	
	2610	ლიცენზიების ამორტიზაცია

	2620	კონცენსიების ამორტიზაცია
	2630	პატენტის ამორტიზაცია
	2640	გუდვილის ამორტიზაცია
	2690	სხვა არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია

ვალდებულებები

3000	**მიმდინარე ვალდებულებები**	
3100	**მოკლევადიანი ვალდებულებები**	
	3110	მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები
	3120	მიღებული ავანსები
	3130	გადასახდელი ხელფასები
	3140	როიალტი
	3150	საკომისიო გადასახდელები
	3160	ვალდებულებები საწარმოო პერსონალის მიმართ
	3170	ვალდებულებები მეკავშირე საწარმოების წინაშე
	3190	სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები
3200	**მოკლევადიანი სესხები**	
	3210	მოკლევადიანი სესხები
	3220	სესხები პარტნიორებისაგან
	3230	გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი
3300	**საგადასახადო ვალდებულებები**	
	3310	გადასახდელი მოგების გადასახადი

	3320	გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი
	3330	გადასახდელი დღგ
	3340	გადახდილი დღგ
	3350	გადასახდელი აქციზი
	3360	გადახდილი აქციზი
	3370	სოციალური გადასახადი
	3380	ქონების გადასახადი
	3390	სხვა საგადასახადო ვალდებულებები
3400	**დარიცხული ვალდებულებები**	
	3410	გადასახდელი პროცენტი
	3420	გადასახდელი დივიდენდები
	3430	ვალდებულება საგარანტიო მომსახურებაზე
	3490	სხვა დარიცხული ვალდებულებები

4000	**გრძელვადიანი ვალდებულებები**	
4100	**გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები**	
	4110	გასანაღდებელი ობლიგაციები
	4120	გასანაღდებელი თამასუქები
	4130	ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე
	4140	გრძელვადიანი სესხები
	4190	სხვა გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები
4200	**სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები**	
	4210	გადავადებული მოგების გადასახადი
	4220	ხვა გრძელვადიანი ვალდებულებببი
4300	**ნარიცხები**	
	4310	საპენსიო უზრუნველყოფის ანარიცხები

	4320	სხვა ანარიცხები
4400	**გადავადებული შემოსავალი**	
	4410	გადავადებული შემოსავალი

საკუთარი კაპიტალი

5000	**გრძელვადიანი ვალდებულებები**	
5100	**საწესდებო კაპიტალი**	
	5110	ჩვეულებრივი აქციები
	5120	პრივილეგირებული აქციები
	5130	გამოსყიდული საკუთარი აქციები
	5140	საემისიო კაპიტალი
	5150	საწესდებო კაპიტალი შპს-ში
	5160	პარტნიორთა დამატებითი შენატანი
5200	**პარტნიორთა კაპიტალი (შეზღუდული პასუხისმგებლობის არმქონე სახოგადოებაში)**	
	5210	პარტნიორთა კაპიტალი
	5220	ამოღებული კაპიტალი
5300	**მოგება/ზარალი**	
	5310	გაუნაწილებელი მოგება
	5320	დაუფარავი ზარალი
	5330	საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი
5400	**რეზერვები და დაფინანსება**	
	5410	სარეზერვო კაპიტალი
	5420	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი
	5430	ინვესტიციების გადაფასების რეზერვი

	5490	სხვა რეზერვები და დაფინანსება

შემოსავლები და ხარჯები

6000	**საოპერაციო შემოსავლები**	
6100	**შემოსავლები ჩვეულებრივი საქმიანობიდან**	
	6110	შემოსავალი რეალიზაციიდან
	6120	გაყიდული საქონლის დაბრუნება და ფასდათ-მობა
	6190	სხვა საოპერაციო შემოსავლები
7000	ჩვეულებრივი საქმიანობის ხარჯები	
7100	რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება (პრო-დუქციის მწარმოებელი და მომსახურების სფეროს საწარმოებისათვის)	
	7110	ძირითადი მასალების დანახარჯენი/შეძენა
	7120	პირდაპირი ხელფასი
	7130	სოციალური დანარიცხები პირდაპირ ხელფასზე
	7140	დამხმარე მასალების დანახარჯები/შეძენა
	7150	არაპირდაპირი ხელფასი
	7160	სოციალური დანარიცხები არაპირდაპირ ხელ-ფასზე
	7170	ცვეთა და ამორტიზაცია
	7180	რემონტის დანახარჯები
	7185	სასაქონლო-მატერიალური მარაგის კორექტირე-ბა
	7190	სხვა საოპერაციო ხარჯები
7200	**რეალიზებული საქონლის თვითღირებულება (სავაჭრო საწარმოსათვის)**	

	7210	გაყიდული/შეძენილი საქონელი
	7220	შეძენილი საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა
	7290	სასაქონლო-მატერიალური მარაგის კორექტირება
7300	**მიწოდების ხარჯები**	
	7310	რეკლამის ხარჯები
	7320	შრომის ანაზღაურება და საკომისიო გასამრჯელო
	7330	შრომის ანაზღაურებაზე დანარიცხები
	7340	თრანსპორტირების და შენახვის ხარჯები
	7390	მიწოდების სხვა ხარჯები
7400	**საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები**	
	7410	შრომის ანაზღაურება
	7415	სოციალური ანარიცხები
	7420	საიჯარო ქირა
	7425	საოფისე ინვენტარი
	7430	კომუნიკაციის ხარჯები
	7435	დაზღვევა
	7440	ღემონტი
	7445	კომპიუტერის ხარჯები
	7450	საკონსულტაციო ხარჯები
	7455	ცვეთა და ამორტიზაცია
	7460	საეჭვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯები
	7465	სხვა საგადასახადო ხარჯები

	7490	სხვა საერთო ხარჯები
8000	**არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები**	
8100	**არასაოპერაციო შემოსავალი**	
	8110	საპროცენტო შემოსავალი
	8120	დივიდენდები
	8130	არასაოპერაციო მოგება
	8140	სავალუტო საკურსო სხვაობის შემოსავალი
	8190	სხვა არასაოპერაციო შემოსავალი
8200	**არასაოპერაციო ხარჯები**	
	8210	საპროცენტო ხარჯები
	8220	არასაოპერაციო არასაგადასახადო ხარჯი
	8230	არასაოპერაციო ზარალი
	8240	სავალუტო საკურსო სხვაობის ხარჯი
	8290	სხვა არასაოპერაციო ხარჯები
	8210	საპროცენტო ხარჯი
9000	**განსაკუთრებული და სხვა შემოსავლები და ხარჯები**	
9100	**განსაკუთრებული შემოსავლები და ხარჯები**	
	9110	განსაკუთრებული შემოსავლები
	9120	განსაკუთრებული ხარჯები
9200	**სხვა ხარჯი**	
	9210	მიმდინარე მოგების გადასახადი
	9220	გადავადებული მოგების გადასახადის ხარჯი
	9230	გადავადებული საგადასახადო აქტივის სარგებელი

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ. თბილისი 2006წ.
2. ბუღალტრული აღრიცხვა. ა. ხორავა, ნ. კვატაშიძე, ნ.სრესელი, ზ. გოგრიჭიანი. თბილისი 2014 წ.
3. ბუღალტრული აღრიცხვა. ი. ბერიშვილი, მ. მაისურაძე. თბილისი 2005წ.
4. ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები. ე. ხარაბაძე. თბილისი 2007წ.
5. ფინანსური აღრიცხვა. ღ. ძაძამია. თბილისი 2000წ.
6. ფინანსური აღრიცხვის საფუძვლები. ზ.ნიკვაშვილი, დ. ბეჟანიშვილი თბილისი 2001 წ.
7. ბუღალტერია (ამოცანათა კრებული) ი. გოდერძიშვილი, ი. ფრანგიშვილი თბილისი 2013წ.
8. ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარ-ტებისა და ინტერპრეტაციების ჩათვლით 2007წ. 1 იან-ვრის მდგომარეობით. თბილისი 2007წ.
9. აღრიცხვა და გადასახადები. ლ. გრიგალაშვილი. თბი-ლისი 2007წ.
10. საქართველოს საგადასახადო კოდექსი თბილისი 2014წ.
11. მმართველობითი აღრიცხვა. ი. ჭილაძე თბილისი 2008წ.